

8(65)

3-20

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. უკრძნალი

განათლება

(წილიწადი შერთხუ)

II

თებერვალი

1911 წ.

რ-68864



898



შინაარსი: 1. როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება იაკობ გოგებავილისა. 2. შეკრებითი კითხვა დ. ოძისა. 3. ფსიხო-ფიზიოლოგია—დამიანის და ცხოველების განსხვავება ორგანოებში (პროფ. ბესუ და დოფლეისი) ლ. ბოცვაძისა. 4. ინდოელი ბრძენი ბუდა კახაბერისა. 5. დავ. მისიელ თუშანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ალ. ხახანაშვილისა. 6. სხვა და სხვა ჩვეულებანი საინჯილოში ზ. ედილისა. 7. ავადმყოფი (დექსი) აკაკისა. 8. თხოვანი (დექსი) დუბუ მეგრელისა. 9. ბნელი ძალა (თარგმანი) ვალიკოსი. 10. წუწკი შშიერის მსამისელი (იგავი „ქილოა და დამნიდან“) თ. მაგამაძისა. 11. შენაწებული ცოდვილი (დეკ. ტოლსტოიდან) მ. კ. კახაძისა. 12. ბუხების წიადში (დექსი) დ. თურდოსპირელისა. 13. სადა ხარ? (დექსი) ლადო გეგეჭკორისა. 14. სიზმრად (დექსი) ბაჩანასი. 15. სოციოლოგია (წერილი მეორე) სოციოლოგიური კვლევის საშუალებანი სიმ. ავალიანისა. 16. შინაგანი მიმოხილვა—საკითხი სტიმენდიების დანიშნისა ივ. ვართაგავასი. 17. მცირე შენიშვნა საეურადღობო საკითხის გამო დედისა. 18. ედევ სახალხო სკოლების მასწავლებლების შესისის გამო. 19. ბაბლიკრაფის ეგნ. ხრამელაშვილის ანთამუტიკის სახელმძღვანელო დ. ქადაგიძისა. 20. უცხოეთი. ხლობის მისიშეულობა მასწავლებელს და მოწათვით შორის. 21. შოწერილი აშუბი: წერილი გურიიდან ბ. ოცხანელისა. წერილი სამესხეთიდან მესხი კოტე გვარამაძისა. 22. წერალი რედაქციის შიშართ (ვარლამ იმერელისა. 23. განცხადება.

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სელიტრატური 45/407

„ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მეორე)

ყოველდღიური გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული.

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებანი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს.

8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი. აღრგის გამოსაცემელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

რედაქცია: დია 9—7 სსთა.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“

განათლება

(წელიწადი მეოთხე)

II

თებერვარი

1911 წ.

ეურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ეურნალი დაეთმობათ წლიურად
100 რ. მანათად.

ცალკე ნომ-
რის ფასი
30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** - წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და
„ნაკადლის“ რედაქციაში. წერილები და
ეურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: Тифлисъ Дворянская Гравинская
Гимназия Л. Г. Боввадзе.

1911
1912

როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება

შემდეგ ბატონ-ყმობის გადაყრდნისა საქართველოში 1864 წელს, ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანაო. ვისგან უნდა მოელოდეს ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასაო? რა საკვირელია, არა ბიუროკრატიისგან, რომელიც ამისათვის თავს სულაც არ გაიცხვლებს, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგანაო. ამ საზოგადოებას კი მხოლოდ მაშინ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჭადულს გლეხობას, როცა იგი შექმნის რაიმე ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება გა-

ნათლების მოფენა ხალხშიო. ამ მოსაზრებამ დაბადა წადილი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა. მაგრამ წადილის განხორციელებას ესაქიროებოდა პროპაგანდა საზოგადოებაში, მოძრაობის დაბადება და გაძლიერება. ამას ხელი მოუმართა იმ ვარემოებამ, რომ მაშინ, სამოციანს წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდიდის ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც იკრიბებოდნენ ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელი.

ამ გვარ ოჯახთა შორის თვალსაჩინოდ განირჩეოდა ოჯახობა იოსებ მამაცაშვილისა. აქ, მესამოცი წლების მეორე ნახევარში, იკრიბებოდნენ ქართველ ინტელიგენტთა გარდა, არაგორესი-

ლი რუსები და ზოგი გაქართველებული სომხებიცა. ქართველებში აქ ნახავდით: ჩვენს სასიქადულო ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, მასპინძლის სიძეს, დიმიტრი მუსხელაშვილსა, კონსტანტინე მამაცაშვილსა, დოკტორს გეგე მალაღიშვილსა, ვახტანგ თულაშვილსა, ანტონ ფურცელაძესა და სხვებსა. რუსთავან მუღმივ დამსწრე იყო ამ კულტურულის საღამოებისა ცნობილი პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი ნიქიერი და განვითარებული მეუღლით, რომელმაც დაარსა ქურნალი „Дѣтскій Садъ“ და რომლის დაახლოებით გაცნობამ დამიბადა აზრი შემედგინა და გამომეცა „კონა“ პირველ დაწყებით მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან.



ო. გოგებაშვილი.

აქ დარბაისლური საუბარი ხშირად გადაიქცეოდა ხოლმე კამათად სხვა და სხვა საკითხების შესახებ, იკითხებოდა რეფერატები, რჩეული სტატიები და წიგნები და იმართებოდა დებატები.

ამ საზოგადოებას მემზიდველს ძალას უმატებდნენ ინსტიტუტს ახლად დასრულებულნი მასპინძლის ასულნი: დარკო, ბაბაღე და ელო, (ასე დამზადდნენ ებახდნენ ბევრნი წევრნი ამა კრებულისა), რომელნიც ყოველთვის მხურვალე მონაწი-

ლეობას იღებდნენ საუბარსა და ბაასში.

ამ წრეს 1870 წელში მიემატნენ ორნი განათლებულნი ახალგაზრდა ქართველნი, რომელნიც მოსკოვის სასულიერო აკადემიაში კურსის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ და თბილისში გამწესდნენ სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. ესენი იყვნენ: ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.

ამავე წრეს ამშვენებდა ხანდახან, ახალციხიდან ჩამოსვლის დროს, ანნა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა, ღვიძლი და ნიკოლოზ ლოდობერიძისა. ეს იმერეთის ასული მაშინ საუკეთესო მანდილოსნად იყო მიმჩნეული მთელს შვედებულს საქართველოში თავისი იშვიათი კუკით, მომხიბლავ ვულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში. მან, სხვათა შორის, დააფუძნა იმ დროს საქველმოქმედო საზოგადოება ახალციხეში და დააწესა საქალებო სკოლა, რომელიც დღემდინ არსებობს.—

სწორედ ამ წრეში დაიბადა და აღიზარდა ჰაზრი წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა. სულ თავდაპირველად ამ საზოგადოებას ჰქონდა კერძო წრის ხასიათი. ყოველს წევრს ამ წრისასა კასაში შეჰქონდა განსაზღვრული ფული, რომლითაც უნდა დაარსებულიყვნენ კერძო სკოლები სოფლად. პირველი კერძო სკოლა დავაარსეთ სოფელს ხოვლეში იოსებ მამაცაშვილის ასულის მარიამის სახელობაზე, რომელიც მეუღლედ ჰყავდა ხოვლელს მემამულეს თავადს გიორგი ჯავახიშვილსა. მაგრამ პირველს ნაბიჯზედვე წინ გადაგვედგომა დაბრკოლება. ჩვენ ვითხოვეთ კნენა ჯავახიშვილის სახელზე ოთხი წლის კურსი და სწავლება ქართულს ენაზე ყველა საგნე-

ბისა ოთხივე წლის განმავლობაში. მთავრობამ ნება დაგვართო დედო-ენაზე სწავლებისა მხოლოდ სამის წლის განმავლობაში და მეოთხე წელს კი მოითხოვა რუსულის ენის ხმარება საგნების სწავლის

დროსა. არაფრად გვეპიტნავა; მაგრამ რას ვიზამდით. გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავაჩაღეთ სწავლა. მაგრამ საქმემ ფრთები ვერ გაშალა, რადგანაც დედა-ენის უფლების შეზღუდვამ



ცივი წყალი გადასხა წრის წევრებს. ჩვენ გვსურდა სამავალითო სკოლა დაგვეარსებინა, რომლისათვისაც უნდა მიეზამნათ ყველა სოფლის სკოლებსა; მაგრამ სამოსწავლო ბიუროკრატია მეტად დააკოჭლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუ-

კარგა მიშვიდევლობის ძალა. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არც ერთი სხვა სკოლა ამ წრეს აღარ გაუხსნია, და მხოლოდ სოფლის ერთს სკოლას აწარმოებდა, ისიც ვაინაჩრობით.

საქმის მდგომარეობამ დავგარწმუნა, რომ ჩვენის მიზნის და წაღილის მისაღ-

წევად კერძო წრე უძღვრია; და საკერძო ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქმნას დამტკიცებული და დაკანონებული. ჩვენ ვთხოვეთ ვახტანგ თულაშვილს, დაეხარებინა რუსეთიდან თავისი სიმამრის შუამავლობით ნორმალური წესდებ წერა-კითხვის საზოგადოებისა. მანაც დაიბარა; მაგრამ მიღება დაგვიანდა, რადაც მიზუზის გამო. ამ ხანობაში მე მძიმე ავადმყოფი შევიქეცი, ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა, და უკიდურესი დაქანცულობის გამო, ამას სმინელი უძლობაც დავრთო. ამას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით, თანახმად ანდაზისა: მიეცეს და მიემატოსო. მთელი ზამთარი სამკურნალოში ვიწეკი, ვახაფხულზე გამგზავნეს აბასთუმანში და იქიდან გამისტუმრეს საზამთროდ სოხუმში. სოხუმიდან ვახაფხულზე ვავემგზავრე ჩემს სოფელს ვარიანში, სადაც დავყავე შემოდგომამდინ.

როცა თბილისში ჩამოვედი, მაშინვე ვავემგზავრე თულაშვილთან და ვკითხე: შენი სიმამრისგან მიიღე თუ არა მეთქი დაბარებული წესდებულება, და მან მიპასუხა: წელიწადზედ მეთი, რაც იმ ამ სტოლის უჯრაში მიძევს; მაგრამ საქმის დაწყებას არავინ აპირებსო. ამოვიღებინე წესდება, წავიღე თან და ნიკო ცხვედაძესთან ერთად საქმის განხორციელებას შევუდექით. — პირველი ჩემი გადაწყვეტილება იყო ისეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ იმისთანა გემი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიც და მთავრობის წრეებშიაც. ოღებ-დაღების შემდეგ ჩვენ ამისთანა გემად ვიკანით დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელსაც მამაცაშვილის წარსთან არავითარი სიახლოვე არა

ჰქონია, და ერთს მშვენიერს საღამოს ვეახელით და თან მივიტინეთ ნორმალური წესდება წერა-კითხვის საზოგადოებისა. როცა ჩვენი წინადადება მოისმინა, მსურველ თანაგრძნობთ მიეგება ჩვენი ძვირფასი მისპინძელი, და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტეთ: ყოველ შაბათს საღამოს შევეკრებილიყავით მასთან და შეგვემუშავებინა წესდებულება წერა-კითხვის საზოგადოებისა ქართვლთა შორის. გაჩაღდა შაბათის კრებები. ჩემდა სამწუხაროდ, მე დავესწარი მხოლოდ რამდენსამე კრებას; ზამთრის სიცივემ ისევ ამიშალა ფილტვების ავადმყოფობა და შინ დამიმწყვდია. მე მხოლოდ მივაქციე ყურადღება ორის ჩემის თანამოღვაწისა იმ გარემოებაზე, რომ რუსულს დედანში არ არსებობს, მუხლი შესახებ დედა ენაზე საგნების სწავლებისა, რადგანაც რუსეთში ეს თვისისფისად იგულისხმება, და ჩვენს წესდებაში კი იგი უსათუოდ უნდა იყოს მოქცეული მეთქი. ცხვედაძე თვისი ჩვეულებრივ ენერგიით შეუდგა ამ საქმესა და ყოველს შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს ძესთან, და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისისა.

წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედაძეს და გულდადებით გადავიკითხე. აღმოჩნდა, რომ მუხლი დედა-ენაზე საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზუზი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანეს ძეს აზრით მაგ მუხლის მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულების არ დაგვიმტკიცებს და საზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუპასუხე: თუ გემუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება

რადგანაც ბიუროკრატის უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი. დ მაშინვე ჩემი ხელით წესდებულებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ შავად, ჩავურთე შემდეგი პარაგრაფი: Общество достигает своей просвѣтительной цѣли посредствомъ организации всего начального обученія на родномъ, по-настоящему дѣтямъ языкѣ; и способствуютъ обученію русскому языку.

ეს შავი წავუკითხეთ ბესარიონ ლობერიძეს, რომელიც მაშინ იყო დირექტორად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა და რომელიც ამ მომენტამდე გარეშე ამ საქმისა იდგა,—და მან ჩემ მიერ ჩამატებულის მუხლის შესახებ მოთხარა: მაგ მუხლის ჩამატებას ის შედეგი მოჰყვება, რომ წესდებულებას უკანვე დაგიბრუნებენ შესასწორებლად. თქვენ რომ ხოვლეში სკოლას აარსებდით, ოთხი წლის განმავლობაში ითხოვეთ სწავლება დედაენაზე, მაგრამ მთავრობამ მხოლოდ სამს წელიწადს მოაკმათ ნება და მეოთხე წელიწადს რუსულს ენაზე დააწესა საგნების გადაცემა. თუ ერთს სკოლაში არ მოგვეცეს მაგის ნება, ყველა სკოლების შესახებ მით უმეტეს არ მოგვეცემნო. მე ვუპასუხე: ხოვლის სკოლის შესახებ საქმე გვექონდა ბიუროკრატ მხრუნველთან და ახლა კი საქმე გვექნება ნამესტნიკის თანაშემწეს სტაროსელსკისთან. სტაროსელსკი სახელმწიფო გემია, მეტად ნათელი მიმართულებისა, უყვარს საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომელიც ოჯა-

ზობრივი ბედნიერება მიანიჭა, არის მგამაზღვრე საქართველოსი და ჩვენთვის არ დიშურებს ამ ძვირფასს უფლებას, თუ მას საფუძვლიანად დაეუსაბუთებთ მეთქი. უძლიერესი საბუთის სამსახურს ვაგვიწყოს ამ შემთხვევაში რესკრიპტი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა. ში აგვისტოდან 1864 წლისა, რომლითაც იგი აკანონებს დედაენაზე სწავლებას სახალხო სკოლებში ინოვაციების შორის მეთქი.

გავიცანით ეს რესკრიპტი, წავიკითხეით სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელიც მარტავდნენ რესკრიპტის დედა-აზრსა, და მაშინ შიში ყველა ჩვენგანს ვაეფანტა და იმ აზრზე დავეგეით, რომ წესდებულებაში ზემოდ მოხსენებული მუხლი უსათუოდ უნდა დარჩეს და საშუამდგომლო დოკუმენტი ამ მუხლის განსამართლებლად. უნდა იყოსმოყვანილი, რესკრიპტი იმპერატორისა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი.

ამავე დროს, ნიადაგის მოშადებისათვის შიდაოს სფარაში, მე დავებედე 1877 წლის დასაწყისს „Гидрлицкій Вѣстникъ“ ში მეთაურებად ვრცელი წერილი ქრისტიანობის აღმადგენლის საზოგადოების სკოლების შესახებ, სადაც სწავლება მიდიოდა რუსულს ენაზე, —დაწვრილებით გაუთვალისწინე მკითხველებს უნაყოფობა და მავნებლობა ამ სკოლებისა და ციტატებით ყველასათვის ცხად ვყავ, რომ ასეთი მახინჯი სკოლა ეწინააღმდეგება არა მარტო პედაგოგიურს პრინციპებს, არამედ ძირითადს კანონებს რუსეთისას მეთქი. ეს ჩემი წერილები წავკითხნა პირად და თვით ნამესტნიკს, დიდს მთავარსა, და სადღესასწაულო მიღების დროს ეთქვა ნევეროვისათვის: „მივაქცევ თქვენს

ყურადღებას“ თბილისის მოაშპის „წერილებს ქრისტიანობის აღმადგინებლის საზოგადოების სკოლების შესახებ“. ეს სასიხარულო ამბავი მიიხრა იენოვის ბიბლიოთეკაში კონსტ. ბებუთოვმა, გაზეთის რედაქტორმა, ნაფიციკრალმა, და ოხუნჯურად დაუმატა: დიდი, მხოლოდ სამხედრო პირებს და სემინარიელებს შესძლებიათ მაგრა წერაო. ამაზე ნიკო ნიკოლაძემ, იქვე მდგომმა, თავისებურად ჩაიკინა.—

ბოლოს დაიბადა საკითხი: ვინ უნდა მოაწეროს ხელი წესდებულებას? მე ვუბნასუხე: რათა დამტკიცებას ავადინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებელად, მხოლოდ იმ გვარმა გვაძებმა, რომელთაც სრული ნდობით ეპყრობა მთავრობა. მე, მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესამე მუხლის ძალით, და ამიტომ ყოველად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვექცე. გარდა ამისა, დავუმატე, ძლიერ დაეხმარება საქმეს, თუ ჩვენს წესდებულებას მოაწერენ ხელს დიდი თანამდებობის სომხებიც, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქართველ საზოგადოებასთან. ეს აზრიც მიღებულ იქმნა და ახლა ჯერი მიღვა იმაზე: ვის უნდა დავტარებინა ხელმოსაწერად წესდებულება. ბესარიონ ლოლობერიძეს დიდი სახელი ჰქონდა მაშინ არამც თუ ქართულს მაღალ საზოგადოებაში, არამედ თითქმის მთელს კავკასიელთა შორისაც, და ამას გარდა მას სრული ნდობით ეპყრობოდა მთავრობაც. ვთხოვეთ ეკისრნა მას ეს როლი; ჯერ უარზე დადვა; მაგრამ მერე დაავთანხმდა. თანაშემწეებდა მას დავუნიშნეთ ილია ქაეჯავაძე და ვახტანგ თულაშვილი, სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ

რომ ილია ამ მომენტამდინ აგრეთვე იღვა გარეშე ამ საქმისა. მაღალ ხარისხოვანის სომხების მხრივ ხელის მოწერა იკისრა დიმიტრი ყიფიანმა პირადად.

ვისაც კი წესდებულება მიუტანეს, ყველამ სიამოვნებით მოაწერა ხელი და არც ერთს შიში არ გამოუთქვამს ჩემ მიერ ჩამატებულის მუხლის შესახებ, რადგანაც მოხსენებიდან ყველანი ხედავდნენ, რომ იგი დამყარებული იყო იმპერატორ ალექსანდრე მე II-ს რუსკობტზედა.—

სტაროსელსკიმ არ დაავიანა საქმე და ნამესტიკის დაუყონებლივ დამტკიცებინა. მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც ერთხმად იქმნა ამორჩეული გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი. წვერებად გამგეობისა ამორჩეულ იქმნენ ის პირნი, რომელნიც უფრო მახლობელს მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმის დაწყებიდან მის განხორციელებამდინ. მდივნად გამგეობამ ამირჩია ბენი იონა, მეუნარგია, რომელიც მეგრული სიტყვებით და სიმარჯვით აწარმოებდა ამ თანამდებობას. სხვათა შორის, მისი თაოსნობით დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოების საუკეთესო დარგი—ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

ახლად დაარსებულს საზოგადოებას ფართო დანიშნულება ჰქონდა; მაგრამ ნივთიერი სახსარი კი ძლიერ მცირედი ებადა. ამ დიდს ნაკლს წამალი დასდო ილია ქაეჯავაძემ. სათავად აზნაურო ბანკის კრებაზე მან წარმოსთქვა მეტად ძლიერი სიტყვა ახლად დაარსებული საზოგადოების დიდის მნიშვნელობის შესახებ და გადაადებინა მის სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი ფული. ამით მან ფეხზე დააყენა საზოგადოება და გაუხსნა მას გზა ფართო მოქმედებისათვის.

შეგნებით კითხვა

ღელაუნა სკოლაში მისი ლოდ მანინ მი-
 დევს თავის უმთავრეს მიზანს, როდესაც
 მოწავთები მის წაყვლიან ა) კითხვას, ე. ი.
 კითხვის საშუალებით შეითვისებენ სხვის აზ-
 რებს. როგორც ცალ-ც: ლკე, ისე მთლიანად,
 და წავითხულის გათვალისწინებას და წარმო-
 დგენას ისე ნათლად შესძლებენ, როგორც ეს
 სურს თვით ავტორს, და ბ) როდესაც მოწა-
 თები ისწავლიან წერას, ე. ი. ისწავლიან
 სათლად, მკაფიოდ და ლოდკურის სისწარით
 თავისი აზრების წერით გადმოცემას.

ეს მიზანი უცვლელია და ერთი და იგივეა,
 როგორც დაბალ, ისე საშუალო სკოლისათვი-
 საც, განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რომე-
 დი სასწავლებელი რა საშუალებით განახორ-
 ცილებს ამას. ზირველ-დაწყებითში სკოლაში,
 რომლის მიზანია მისცეს მოწათებს ელე-
 მენტარული, მაგრამ დამთავრებული ცოდნა,
 უნდა ასწავლოს ემაწილეს წერა-კითხვა:
 როგორც შეთვისება, ისე გადმოცემა აზრ-
 ბისა. მაშ, რაღას გააკეთებდა დაწვეებითი სკო-
 ლა დღელაუნის გაკეთებლებზე, თუ მოწათებს
 არ შეათვისებინებდა ამ ორ ძირითად ელე-
 მენტს სწავლებისას?

სწორედ ეს ორი ელემენტია თავი და თავი
 დღელაუნის სწავლებისა დასწვის სკოლაში;
 თუ ეს შესძლო სკოლამ, — მან აღასრულა ამ
 საქმეში თავისი მოვალეობა. დასრულა იმი-
 ტობ, რომ კარდა ცოდნისა, განვითარებისა,
 ზოგიერთ მიდრეკილებათა და ხვეულებათა
 შემუშავებისა, იგი მთელის სიღრმე-სიკვანით
 ცადეშადის ემაწილეს შესაფერს წიგნსა. —
 ერთი სიტყვით, გამოიყენოს მის წერა-კითხვის
 მცოდნე კაცად; ამით კი ამ უკანასკნელს ეს-
 დევა საშუალება დამოუკიდებლად განავრძოს
 თვით-განვითარება.

ასრულებს კი ჩვენი სკოლა ასეთს დაწი-

ნულებას და ფურცლავს იგი მოწათვთა წინა-
 შე წიგნსა? უნდა ადვილათ, სამწუხროთ,
 რომ ვერა! არა თუ დასწვისი, საშუალო სკო-
 ლაც ვერ აძლებს ამ მხრით მოწათებს შეს-
 თერს მომზადებას, — ვერ ახვეებს მათ კითხვა-
 სს და თავის აზრების დალაკებით გადმოცე-
 მას; ვერ ასწავლის მათ წავითხულის ძირი-
 თადი იღვის შეგნებას, ამ იღვის მხატვრულად
 წარმოდგენას, მის შეთვისებას და თავის სა-
 კუთარი აზრებით მის დასურათებას. ვაძიბო —
 საკუთარი აზრით-შეთქი, რადგანაც იღვის
 მხატვრულად წარმოდგენის შედეგი უნდა იყოს
 არა სხვისი აზრების გახსენება, არ წინადად-
 ბების წარმოთქმა, როგორც ეს ხშირათაა, —
 არამედ სურათ-ხატული შეთვისება წავითხუ-
 ლისა, ასე რომ — თუნდა მოწათები იგივე სი-
 ტუეები და აზრებიც გაიმეოროს, — ეს ნათ-
 ქვამი სრულს მის განავრულებში შეთვის,
 მის მიერ შეთვისებულ საკუთრებას უნდა შე-
 დებულეს.

ჩვენი სკოლა ვერ იძლევა ამას! ჩვენი მო-
 წათები — ხშირად საშუალო სასწავლებლებშიც
 კი წავითხულს გადმოცემებში მხოლოდ მეზ-
 სიერების წვალობით; ამ დროს ხშირად სრ-
 კებლობენ მსუღველობითი ნიჭით და სხვა-
 სხუებით გადმოცემებში ერთი შეორეზე მომ-
 დგენის წინადადებებს.

არა თუ ერთგვისი წავითხულ სტატისა,
 ხშირად შესწავლილ მასლას გადმოცემებში
 ისე, რომ მითხრობის მთლიან სურათი ვერ
 წარმოდგენიათ, წარმოთქმის დროს კი თვალ-
 წინ უდევთ გადაშლილა წიგნი, ფურცლები
 და სტრქიტები! სხვა ნაირათ რომ ვთქვამთ,
 შეთვისება მათ მიერ გაკეთილითს ემარე-
 ბა არ მსუღველობითი, არ მსკუპება კონტრას-
 ტის ასოციაციებზე, არამედ აქ მისთვის უმ-
 თავრეს როდეს ასრულებს ასოციაცია ადგილ-

მღებარეობისა წიგნში. ასეთი შეთვისება მასლისა, რასაკვირველია, არაფერს აძლევს მასწავლებელს, არაა შეკავშირებული იმის სულიერ არსთან და ეოკელთვის მზათაა გაფრინდეს და დასტოვოს ცარიელი ადგილი.

აი, რატომაა, რომ ჩვენი მოწაფეები ასე ბეგრს და ასე მძლე იფიწვებენ! აი, რატომაა, რომ ისინი გრძნობენ გაზენიერების საჭიროებას! — სკოლამ ვერ ასწავლა მათ კითხვა, ვერ მოსცა მათ ცოდნა, რომ შესძლებოდათ გავყვითლის გონიერულად შეთვისება და თავის აზრით გადმოცემა. უოველი ცოდნა, შეუგნებლად მიღებული, მკვდარი კაზიტადა, რომელიც აწლუნტებს და ჰქლავს სულს, ამის ბარტელსა.

მაგრამ ვეითხნათ, რატომ ვერ იძლევა სკოლა ცოდნად, საჭირო ცოდნას, რატომ ვერ აძწევს ის ამ შემთხვევაში (სხვა შემთხვევაში ცხადე) მიზნს? აი ედუკაციის სწავლების საფუძვლად დასწვის სკოლებში მიღებულია ე. წ. განმარტებითი კითხვა, რომლის დანიშნულებაა შეგნებითი კითხვის მიღწევა! მიზანი ისევე თავის აღაგასა და ჩვენი სკოლა კი მას ძლიერ მდირედ დაუხლოვდა!

რამაა საქმე? — არსებული მეთოდათ წარმოება განმარტებითი კითხვისა ჰდგომარეობს შემდეგში: მოწაფე კითხულობს სტატის, შემდეგ მასწავლებელი აძლევს კითხვებს, რომელთა მიზანია სტატისის შინაარსის გამოკვლევა და მისი შეთვისება მოწაფის მიერ. შემდეგ ამისა მოწაფე გადმოხცემს მთელს სტატისას ჯერ მასწავლებლისაგან მიცემულ კითხვების შემწებით და ბოლოს — მთელი ამ პროცესის შემდეგ იძლევა სტატისის მთლიან შინაარსს. ამ რიგად, როდესაც წაკითხულის მასალა შეთვისებულია, საჭიროა ამ მასლის გამოყენება სულიერ ძალთა გასავითარებლად: იწვევა ახლად წაკითხულის წიხად წაკითხულის შეღარება, მთავრობის შეცვლა მიცემუ-

ლი გეგმის მიხედვით, კერძო თუ უმთავრესი აზრის დასვენა, გეგმის შედგენა და სხვა.

მეთოდის დედა ძარღვა: ა) კითხვების მასწავლებით მასლის შეთვისება და ბ) ამ მასლის გამოყენება მოწაფეთა ენის და სულიერ ძალთა გასავითარებლად.

ახლა თუ გავისვენებთ მიზანს, რომელსაც ისახავს განმარტებითი კითხვა — შეგნებითი კითხვის მიღწევა, ჩვენ დაინახავთ, რომ — საქმის ამ რიგად წარმოების გამო — ხელიდან გვეცლება სწორეთ უმთავრესი რამ: უმსწვილებისათვის შეგნებული კითხვის სწავლება. ჩვენი მოწაფეები სწორეთ რომ შეუგნებლათ კითხულობენ, კითხვის დროს შინაარსს არ უგვირდებიან და მხოლოდ შემდეგ კითხვების საშუალებით ირკვევა მისთვის სტატისის შეცნულობა, მისი შინაარსი, ასე რომ თვით კითხვის დროს როდი იხატება მოწაფის გონებაში წაკითხულის სურათი, არამედ შემდეგ წაკითხვისა: მოწაფე თვით კითხვის დროს ვერ ხედავს ვერავითარს კავშირს კერძო მსჯელობათა შორის, რომელთაგან გამომდინარეობს რომელიმე კომპარტეობა; ამას იგი ითვინებს მასწავლებლის მჭეულობისგან. რა მნიშვნელობა აქვს ასეთს კითხვას? რას აძლევს იგი მოწაფეს?

საოდროა, როცა მოწაფე მისი შეგნების შესავერ და ხელმისაწვდომ სტატისის წაკითხვის შემდეგ გაშორებით შემოკუერებს და მისგან — უფვე ვალ მოხდელისაგან კიდევ რადცას მითხოვ. ეს „რადცას“ სტატისის შინაარსის კადმოტემა გახლავთ თავისუფლად და სხვის დაუხმარებლად. მაგრამ აქ საოდროა მანინ და მანინ არაფერია: იგი ასე გაწრთუნეს. შეუგნებლად კითხვაში ავარჯიშეს და რა ჰქნას! აუიღოთ თუნდა ცნობილი ლექსი:

რცისკარამს დმოსავლეთი ვარდისა ფერად
შეღება,
ცას სისარული მოჭევისა და ქვეყანასა შეგნებას და სხვა.

ვინ ამიბის, მოწაფეები — აქამდე თუ არ იცოდენ, ხალა მანც გაიგებენ, რა არის ცისკარი, კაცინობენ ადმისვლეის, დასვლეის და სხვა მხარის სხვა მხარეებს, ნაინ-ნაინ ფერებს და სხვა. და უიგელოვან ახას მისწავლეების კითხვების შემსწავლობით. მაგრამ, ახა, რა კავშირი აქვს ამეებს ზემო მოყვანილ ნაწარმოების მხატვრულ-პოეტურ შეკრებისთან? ამ კითხვების საშუალებით რა რიგით იგრძნობენ იმ დიდებულ სურათის შეგნიერებას, რომელიც პოეტმა დავეისასა?!

ახა რიგით შეიძლება საფუძვლადანი წარმოდგენა ვიქონიოთ მთლიან სურათზე, რომელიც ნაწილ-ნაწილ გვიჩვენებს?

მაშ, როგორ უნდა დაგვეჩინოთ კითხვა, რომ მის მართლაც მიაღწიოს თავის მიზანს, ე. ი. შეკრების ემაწვილები შეტანულად კითხვას, კითხვის დროს კანკარავინ არსებითი შიგნით ხარისხიანობისაგან, განუყოფარის მათ სულიერი ძალის: გონება, გრძნობა და სხვა?

ვეტყვით ამ კითხვის გადაწყვეტას თანამედროვე კლასიკური ფსიხოლოგიის დასკვნათა მიხედვით.

ვერ გავითვალისწინოთ, რატომაა, რომ ხშირათ მოწაფე, რომელიმე წაკითხვა მისთვის სრულებით მისწვდომი სტატია, ვერ იტყვის, ვერ ითვას მას და სწორეთ ამიტომ ვერც გადმოკვდება მის შინაარსს? სწორეთ რომ ვერ შეიკნა და ვერ შეითვისა, თორემ უსაფუძვლობა აქნებოდა გვეთქვა: შეიკნა, მაგრამ ვერ გადმოკვდა. 10—12 წლის ემაწვილს ეს იმდენად უკვე გაგარჯობებული აქვს, რომ თამამად შეუძლია გადასცემა მისთვის მისწვდომი სტატიის შინაარსისა. უამბეთ, ახა, მის ცოცხალი სიტყვით რამე მისთვის მისწვდომი, — იგი მაშინვე გადმოგვმისთ, მოთეუებათ, და ეს იმიტომ, რომ მან შეიკნა, შეითვისა ნაამბობის შინაარსი. და რაღა ათას წლისა: 3—4 წლის ბავშვი უკვე გადმოკვდება ბებიის და დედისა-

გან ნამბობ ფაღარებს. ის თუმიცა, რასაკვირველია, გარკვევით ვერ დაზარაობს ჟურ, მაგრამ მის „მოთხრობაში“ კამოსტვივის ცოცხალი შეტება. ახა ერთი ჩვენსავე მოწაფეებს მივუგდოთ უფრო თავისუფალ დროს, როგორ თავისუფლად, ძალ დაუტანებლად, და დალაკებით გადასცემენ ხელში ერთი-მეორეს. სხვა და სხვა ამბებს — ხშირად უფრო ძნელ შინაარსის, ვიდრე ვასაკვეთი მოთხრობა! მაშ, ახე: მიზეზი იმისა, რომ უმაწვილმა სტატია წაკითხა და ვერ კი გადმოგვცა, იმისა, რომ მან ის ვერ გაგო.

ახლა ვკითხვით, რატომ სხვის მიერ ზემოთ გადაცემული უფრო გაიგოს ემაწვილმა და თავის წაკითხული კი ვერა? ეს სუხი ასეთია: როცა ბავშვს ულამაზაობან, მას ესმის „ცოცხალი ხმები“, მისთვის უფრო გასაკები, რომელითაც ის აზროვნებს; როდესაც ემაწვილი კითხულობს, იგი ხელდას ქადალდას განსაკუთრებულ ნიშნებს, წარმოსთქვამს მათ, მაგრამ ეს ნიშნები მას ცოცხალ ხმის მკაგრობას ვერ უწევინ. ცოცხალ სიტყვით გადაცემულ მოთხრობის შინაარსს ემაწვილი უფრო მხატვრულად წარმოადგენს, თვალწინ დაინტაყის იმის სურათს, განვსრუტს მას თავისი სულის მსუდველობით ძალით და აკი ჩინებულად გადმოკვდება შინაარსსაც. წაკითხული კი ძნელად იტყვის ადგილს ემაწვილის შემეცნებაში, შესაფერად ვერ უსურათებს მოთხრობის შინაარსს.

ახლა ჩვენთვის ცხადია, რომ კითხვის დროს ზირველ უფლის უნდა ვცდილობდეთ, რომ სიტყვის სიმბოლო, გამხატვლი ქადალდას, წარმოთქმის დროს მოწაფისთვის აქვს ცოცხალ სიტყვად და ამასთანავე იმის სულში ამ სიტყვასთან შეერთებული წარმოდგენა ადირას.

შესაფერი ექსპერიმენტის წყალობით დღეს მტკიცეთ გამოჩვენებულია ის გზები, რომელსაც სწავლებით შეუძლია ემაწვილი

1460



შეაჩვიოთ შენებით კითხვას; ეს გზები წარმოადგენენ საუკეთესო ზირობებს იმისთვის, რომ უძინარსო ნიშნები ცოცხალ სიტყვებით იქნენ ემაწვილის შემენებებაში და აღბეჭდონ იმის სულში წავითხულის შესაფერი სურათი.

გაჩვიბილით ეს ზირობები.

ეჭვი არაა, რომ კითხვის უმაღლესს საყოფიერებას მხოლოდ მაშინ მივალწვეთ, როდესაც მოწვევ (თუნდა სსოციალით მკითხველი) კითხვის დროს თავით განიხილავს იმ ფსიხიურ მდგომარეობას, რომელშიც თავით ავტორის სურდა მისი (მკითხველის) ჩაყენება; როდესაც იგი წარმოადგენს, ივრძობს და შეიგნებს უოგლივკ მას, რასაც გრძობდა და წარმოადგენდა ავტორი წერის დროს. ეს იქნება წავითხულის შეგნების უმაღლესი წერტილი. სწორეთ ასეთი კითხვის მიღწევას უნდა ვცდილობდეთ; უოგლი ჩვენი ნაბიჯი ამ შემთხვევაში იმ ანგარიშით უნდა იქმნას გადადგული, რომ, რაც შეიძლება, დავიანსლოვოს ეს სასურველი წერტილი.

ამას კი მივალწვეთ მხოლოდ განსაკუთრებულ ზირობებში, რომელიც მასწავლებელს უოგლითვის სახეში უნდა ჰქონდეს განმარტებითი კითხვის დროს.

ზირგული ზირობა, ურომლისრადც შეუძლებელია გონებაში რამე წარმოდგენილების აღქმა, არის ყურადღება (გულისყური). ეს უკანასკნელი უნდა იქონს მკაცრად განსახდურული და მიმართული განსახდურულ ცნებათა და წარმოდგენილებათა შესთვისებლად, რომელნიც კითხვის საშუალებით უნდა აღიძრან მკითხველის სულში. როდესაც ჩვენ ვუყურებთ რომელსაში სკანს, ამავე დროს ხვრ ვხედავთ მის კარში და მახლობლად მდებარე სკანებსაც, მაგრამ ჩვენს შემენებებაში ადგილს იჭერს მხოლოდ ის სკანი, რომლისადმიც მიპყრობილი იყო ჩვენი გულისყური; დანარჩენი სკანები, თუცა ჩვენს სულში სტოვებენ კვალს, მაგრამ შემენებებაში ადგილს ვერ

იჭერენ. კითხვის დროს ჩვენ ვხედავთ მთელს გვერდს, ვწარუბს და დანებლილ სიტყვებს, მაგრამ შევიმენვეთ კი მხოლოდ იმ სიტყვას, რომელსაც ვკითხულობთ, დანარჩენი რჩება შემენებების კარში. იგივე ხდება სტატიის კითხვის დროსაც: მისი შინაარსი მხოლოდ მაშინ დაიჭერს ადგილს ემაწვილის შემენებებაში, როდესაც ამ უკანასკნელის გულისყური სავსებით მიპყრობილია სტატიის შესატყვისებას.

აქედან ცხადია, რომ მასწავლებელმა ზირგული უოგლის უნდა ეცადოს ემაწვილის გულისყური მდაზნას წასაკითხავი სტატიის შეთვისებას. ამისთვის საჭიროა თავიდან აცილებულ იქმნას ხელის შემშლელი ზირობები. ეს ზირობები, ანუ მიზნები ორ გვარია: გარეგანი და შინაგანი. ზირგული უვალსათვის ცნობილია: ხმაურობა, დრინცელი და სხვ. მაგრამ ამათ არცა აქვთ ისეთი არსებითი მნიშვნელობა, კაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვთ მუორე გვარის მიზნებს.

10—12 წლის ემაწვილი ჯერ იმდენად გავარჯიშებული არ არის, რომ შეეძლოს თავის გულისყურის ჯეროვანად მიპყრობა იმისადმი, რასაც მოითხოვს კაკვეთალი; ის ჯერ კიდევ არ შეუძლია გულისყურის მთავარი დალა შემოივრებოს წასაკითხავ მასლის გარშემო. მის უნებურათ მისი გულისყური ხშირად მიპყრობილია იმ წარმოდგენილებათა და ცნებათადმი, რომელნიც ამ მომენტში იმის სულის ზედა-ზირზე ტიტოვობენ და ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც ემაწვილი სრულებითაც დინტერესებული არ არის წასაკითხავი მასლითა. ხშირად, ძალიან ხშირად ვხედავთ ვლასში მშვიდათ, წყიარათ მჯდომარე მოწავიებს, რომელთაც, მიუხედავად ამისა, არაფერი, ან ძალიან ცოტა რამ გამოაქვთ კაკვეთალიდან. კაკვეთალი დავიკრავს! მიზნები? მიზნები ისაა, რომ მასწავლებელმა თავიდან მოიშორას გულისყურის ხელის შემშ-

ღული გარეშე ზირობები, უმთავრესი კი შინაგანი მიზეზები—ღარა ხელ-უსლებლად! ამის შემდეგ თვითონ დამნაშავე მსწავლებელი მოწაფეებს უსაყვედურებს: ეურს არ უცდებთო!

ამიტომ მსწავლებლის პირველ საზრუნავს უნდა შეადგენდეს მოწაფის გონებიდან იმ ცხებათა და წარმოდგენილებათა განდევნა, რომელნიც ამა თუ იმ საჭირო დროს ხელს უშლიან ემაწვილის გულის-უურს, და მათ მაგივრათ ისეთ ცნებათა და წარმოდგენილებათა წამოყენება, რომელნიც ხელს შეუწყობენ გულის-უურის მიზნობას ამა თუ იმ სტატისის შინაარსისადმი.

მაგრამ გარეგან და შინაგან ხელის შემადევე ზირობებს თავიდან აცილება იმისთვის, რომ სასურველ სცენისადმი იქმნას მოპურობილი გულის-უური, კიდევ არა კმარა მსწავლებელიმ უნდა ეცადოს არა სასურველ ზირობების მაგივრად შექმნას სასურველი. ასეთ სასურველ ზირობათა შორის ზირველი ალბაცი უნდა ეწიროს შთაგონებას.

აქ ცოტა შეგზერდეთ და ვისარკებლოთ ბ. ნეჩაევის წიგნით „თანამედროვე ექსპერიმენტალური ფისიოლოგია და მისი დამოკიდებულება სასკოლო საკითხებთან“.

„ზინოტიურ შთაგონებას რომ თავი ცავანეთი, ამბობს იგი: უბრალო, ჩვეულებრივი მაგალითებითაც მტკიცდება, რომ შთაგონების გავლენით ეს თუ ის წარმოდგენილება დებულობას რეალურ სიცხადეს. ავიღოთ შეცნიერების ბინე და ჰილბერტის მიერ ნაცდი მკალითები. ბინე ცადიერ, სეფთა ფლკონებს აუთოსინებდა ემაწვილებსა და წინ და წინ ეუბნებოდა, რომ აქ იის, თუთუნის ან სხვა რომლისამე სუნია ტრიალებსო. ცდის შემდეგ მსწავლეები ნამდვილად ასახელებდენ ასეთ სუნს! ჰილბერტმა აწონინა ორი სხვა და სხვა სიდიდის, მაგრამ ერთი და იმავე წონის ცილიდრი. ცნობილი ასოციაციის წყ-

ლობით დასკვნეს, რომ უდიდესი ცილიდრი წონითაც უფრო დიდიაო. ორივე ამ შემთხვევაში არსებით როლს ასრულებს მოლოდინი.

სწორეთ ეს მოლოდინი გახლავთ ჭეშმარიტების მიზეზი იმისა, რომ წარმოდგენილება დებულობას ასეთს სიცხადეს. აქედან დავასკვნით, რომ გულთა-აზრობა მოლოდინისა საუკეთესო პირობაა გულის-უურისთვის. შეტის თქმაც შეიძლება: მოლოდინი არსებითი ნიშნია გულის უურის. ამიტომ, თუ გვსურს კლასში შექმნათ გულის-უურისთვის სასურველი მდგომარეობა, მსწავლეებში ჯერ უნდა აღვძრათ მოლოდინი იმისა, რის თქმას ანუ რას წავითხვავდ ვაზირობთ. მაგრამ მოლოდინს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ხასიათი, ე. ი. ის უნდა იყოს არა რალაცისი არამედ—რაიმე განსაზღვრული მოლოდინი“.

ამიტომ სასურველია, რომ მოწაფეებს ჰქონდეთ განსაზღვრული წარმოდგენა იმაზე, რაც უნდა წაიკითხონ. უკეთეს მოწაფეს ელველთვის დასმული აქვს კითხვა, რომელსეზად ვასუსხს შთაგონის მსწავლებლისაგან, ეს უკეთესი თავდებია იმის გულის-უურისა“.

ზემო თქმული კიდევ არ კმარა, შთაგონების მნიშვნელობის გამოსარკვევად არის კიდევ ერთი მხარე—ინტერესი, სარგებლობა, რომელიც აღიძვრის მოწაფის სულში ამა თუ იმ მოვლენის მოლოდინში. შეტია ლაზარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინტერესს წავითხულის შეთვისების საქმეში. კერძანის საუკეთესო პედაგოგები ინტერესს აღიარებენ არა მარტო საშუალებათ, არამედ ეოველივე წარმატებულ სწავლების მიზნადაც. თუ კი მოვხერხეთ და მოწაფეში აღვძვრათ ინტერესი შესასწავლ სკენისადმი, ამით ჩვენ გამოვიწვევთ მასში ისეთს სულეიერ მდგომარეობას, რომელიც ფრთად ხელსაყრელი და სასარგებლოა საქმისთვის.

ამიტომ მსწავლებლის მიერ საზრუნავს

უნდა შეადგენდეს სტატიის წაკითხვის წინად მოწაფეებში მოლოდინის აღმერა და ინტერესის გამოწვევა წასაკითხისადმი; ამიტომ მან წინ და წინვე განსაზღვრულად უნდა გაუთვალისწინოს უმჯობესებს, თუ რას უნდა მოელოდეს ისინი ამა თუ იმ შესასწავლი სტატიის შინაარსისაგან.

არის ვიდრე ერთი ზირობა.

თანამედროვე ფიზიოლოგთა და მტკიცებულებად მისაჩინა ის ფაქტი, რომ ხმების მიმდევრობის (восприятие звуков) და მათთან შეკავშირებულ სერაიების წარმოდგენილების შესრის ცადის დრო. ამასთანავე ცნობილია, რომ დრო, რომელიც ცადის შთაბეჭდილებას და მისივე შემდგომებს შუა, იმდენად დადგება, რამდენადაც მოულოდნელი იყო ეს შთაბეჭდილება. აქედან ცხადია, რომ შესაფერი წარმოდგენის გამოწვევა მოწაფის მიერ რომელიმე სიტყვის წარმოთქმის დროს იმდენადვე ძნელია, რამდენადაც დაუკავშირებელია ამ სიტყვის შეცულობა (სურათი) მოწაფის სულში არსებულ წარმოდგენებთან. ამიტომ, თუ მოწაფის გონებაში—ამა თუ იმ მომენტში ადგილი აქვს ისეთ წარმოდგენილებათა და ცნებებთ, რომელთაც არაფერი აქვთ სურათო წასაკითხის სტატიის შინაარსთან, მოხდება, რომ მოწაფე ვითარებას სრულად გასაკებებს და თითქმის ცნობილს, მაგრამ ვერ ასწავლებს შესაფერი წარმოდგენის შედგენას წაკითხვლის შესახებ. ამ შემთხვევაშიაც სრულად ცხადი და გასაკები სიტყვები მისთვის მიოლოდ ცალკეობის ხმება!

მასწავლებლის მესამე საზრუნავს უნდა შეადგენდეს მოწაფეების მომზადება სასურველი სურათების შესათვისებლად; ამიტომ მან წინ და წინვე უნდა შეეფოს მოწაფეთა შემდგომების ისეთი სურათებით, რომელიც შეეფერება მის შესასწავლი სტატიის შინაარსს. ამის შემდეგ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ის ნაშნები, რომელთაც მოწაფე ხედავს ქადაგად-

ზე და წარმოსთქვამს მათ, მისთვის უმაღლეს ცოცხალ ხმებათ იქცევა და შესაფერ სურათისად გამოიწვევს იმას შემდგომში.

მაშ ასე, სუკუთქესო ზირობებთ მიმდევრობისათვის უნდა სათვალოს: გულის-ყური, მოლოდინი, ინტერესი და მიმდგომის სიადილე (легкость восприятия). ამ ზირობების მისაღწევი საშუალებას მოწაფეთა სულიერი მდგომარეობის მომართვა სასწავლი სტატიის შინაარსის მიხედვით. მართლაც, რაკი შეგონებებს მოაქმსადებთ და აღდგნათ მათში ისეთი სულიერ განწყობილებას, რომელიც სასწავლი სტატიის შინაარსთან ერთ დარბე იდგომება,—სწორეთ ამით გამოიწვევთ მოწაფეებში განსაზღვრულს უურადლებას, მოლოდინს, ინტერესს და გუგუადილეთ სტატიის შინაარსის შეთვისებას. შეუგნებულ კითხვას აქ ადგილი აღარ ექნება. თუ ამ რიგად დაფიქრეთ საქმე, ზეგ, მივანკვთ მოწაფეებს კითხვას გონიურულად, შეგნებულად.

რა დიდქტური საშუალებანი უნდა იხმაროს მასწავლებელმა ამის მისაღწევად?

საშუალებანი მრავალ-გვარია და ამას არსებითი მიწინააღმდეგობა არა აქვს, ოდონდ კი მიზანს მივადწიოთ.

მასწავლებელი მიმართავს სურათებს ან თვით ნამდვილ საგანს; უფრო ადიდი მიწინააღმდეგობა აქვს ამ შემთხვევაში ისეთ საგანს, რომელიც მოწაფეთა შემდგომებს შემატებს ისეთ ცნებათა და წარმოდგენილებათ, რომელიც უფრო შეეფერება სტატიის შინაარსს.

უნდა აღვიართ, რომ თითქმის უკველი მეთოდურ სახელმძღვანელოს შემდგენელი აღიარებს მსგავსი საუბრების საჭიროებას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არც ერთს მათგანს არა აქვს დასწავლი ის უმთავრესი მიზანი, რომლის მისაღწევ გზასაც ჰკავავს ეს საუბრები, — ეს განხლავთ სულიერი განწყობილება მოწაფის, რომელიც ასე საჭიროა ე-

ველი ნაწარმოების შესასწავლ შესათვისებლად. ეროვნული სტატიის კითხვას უნდა წინ უძღვოდეს შესაფერი საუბარი; განსაკუთრებით ზოტურ ნაწარმოების კითხვას, რომელიც უმთავრეს მასალას წარმოადგენს სკოლაში. ზოტურ ნაწარმოების კითხვის დროს მხოლოდ შესაფერი სუფიერი განწყობილებით შეგქნით საჭირო ზირობებს მოწვეუებში, უკანასკნელთა მიერ. ზოტისაგან შექმნილი სურათების და მის მიერვე ნაგრძობის შესთვისებლად. აქ გერაფერი გერ გვიშეგლის გარდა ასეთის სუფიერი განწყობილებების; გერაფთარი ახალიზი, გერაფთიარი კითხვები ვერ აგრძობისებენ მოწვეუებს ზოტის დრმა გრძობიერებით გამსჭვალულ და აღბუჭდილ ნაწარმოების შეგნიერებას.

ავიღოთ თუნდა აკვისი ცნობილი ლექსი: „ღის სიმღერა“

„შე გოგია მისთვის მიეფარს, რომ ძმა და მეგობარს“ და სხვ. რომელი ახალიზით, რა კითხვების საშუალებით გზებაზე აგრძობისით ემაწვილებს ის დიდი დაძმური სიყვარული, რომელიც მტოსნმა გამოხატა ამ ლექსში? უოველი ჩვეულებრივი კითხვების ზასუსად თქვენ მიიღებთ მხოლოდ ტექსტის ზოტიერთა ადგილებს და ბოლოს ლექსის შინაარსი, ერთის შეხედვით ძლიან ახლობელი და ნაცნობი, თითქმის სრულებით უცხო რჩება ემაწვილის სულისათვის. მაგრამ, აბა, სცადეთ და წინასწარ აღასრით ემაწვილებში შესაფერი გრძობა, აწვევით შესაფერს ჰინტზე მათი გულის სიმები, ჩამოჰკარით დახელოვნებული თითები და თქვენ მოისმენთ ამ სიმების საძიო ჟღერას. ემაწვილის გრძობიერ გულებში უფრო მალე და უფრო ცხოვლად აღბუჭდება ლექსის შინაარსი, უფრო ძლიერ ცხოველ-შეთეულობის დადს დაჩქინს იქ, ვიდრე ჩვენ-მათი მასწავლებლების სულის ვითარებზე. და ხომ მოგესხენ-

ბი: „რად ერთხელ ცხოვლად სუფს დაჩქინდების, საძვილიშვილოდ გადაიღმის“.

ესთქება—დაძმური სიყვარული ეველასთვის ცხადი და ადვილ-საგრძობილთა. მაგრამ აბა, როგორ და რა გზით გააშუქოსნებთ ემაწვილის შემეგნებას, როგორ აგრძობისებთ მას სიდიდეს და თან—თუ გზებზე—საძინელებს იმ სურათისას, რომელსაც იწვევს მათში გუგადის სიგვლილი? როგორ აღბუჭდათ ემაწვილის გულში სუნების და აღმანთა გლოვან ვაგადის სიგვლილის გამო? (საღბური—„უგაგადის სიგვლილი“; „ოუნებო. კარი“ გვ. 268). ერთად ერთი უტყუარი ცხა ამ შემთხვევაში განსაგვთ ემაწვილებში წინ-დაწინვე შესაფერი სუფიერი. განწყობილების გამოწვევა, მთელს ელასში შესაფერი სულიერი ატმოსფერის შექმნა. და თქვენ მიიღებთ საცარ შედეგს—ემაწვილები თვით შექმნიან მსგავს სურათებს (ზირველ ხანებში მიმბძველობით, შემდეგ თან-და-თან დამოუკიდებლად) „საოცარი“—ვამბო: საოცარი იქნება ეს ჩვენს სულებში არსებული მთლიან სწავლებს ჩვეულათვის, თორემ აქ მოულოდნელი და საოცარი არაფერია; ზირიქით, ეს სრულებით ბუნებრივი იქნება და საოცარი კი ისაა, რომ სშირად ემაწვილს თითქოს სიტყვებც ესმის, წინადადებებც და მთლიანი შინაარსისა კი არაფერი უგრძობა: რომ გრძობა და შეუთვისებია, გადმოგვცემდა კიდევ!

რადგანაც ლექსი, სიმღერა—არის გამოხატულება არა მარტო აღმანთა აზრების, არამედ—და უმთავრესად—გრძობებისა, ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ წაკითხება შეგუეპულად, როდესაც მოწვეუები შეითვისებენ მის არა მარტო გონებით, არამედ—და უფროს ერთად—გრძობით, როდესაც იმის კითხვას და შეთვისებაში მონაწილეობას იღებს უფრო გული, ვიდრე გონება.

კარდა სემოთქმულისა მასწავლებლისთვის

აუცილებლად საჭიროა გაითვალისწინოს სასულიერო, თუ როგორ და რა გზითაა შესაძლო უკეთესად აღიბეჭდოს ემპირიის მესხიერებაში დედანის გაკეთილებზე მიწოდებული მასალა. განვიხილოთ ეს.

თანამედროვე ფსიხოლოგიამ შეუარეველად დაამტკიცა ის აქტი, რომ ყველაზე უფრო ცხადი და მკვიდრი წარმოდგენილებანი აღიძვრან ადამიანის სულში მხედველობითი შთაბეჭდილებების მეშვეობით. ფრანგმა მეცნიერმა რიბომ გამოიკვლია საში სხვა და სხვა გვარი ტიპი დახსოვების: კონკრეტული, რომლის დამახსოვებულა მხედველობითი და ხან შესწავლებრივი სახეობანი; მხედველობითი-ტიპოგრაფიული, — როდესაც რომელიმე სიტუაციის წარმოთქმის დროს ემპირიის შემეცნებაში აღიძვრის მისი გარეგანი ფორმა და ბეჭდილის თუ დაწერილის სახით და სმენითი, — როდესაც შემეცნებაში აღიძვრის მართლაც სმენილობითი სახე ამა თუ იმ სიტუაციის კონკრეტულ წარმოდგენილების და გარეგანი ფორმის სახეს გარეშე. კონკრეტული ტიპი—ამბობს რიბომ ყველაზედ უფრო გავრცელებულია.

ახლა საქმე იმაშია, რა რიგად ისარგებლოს მასწავლებელმა და კითხვის დროს აღძრული წარმოდგენილებანი დაუქვემდებაროს მხედველობითი მიმღებობის ტიპს? ამერიკის სკოლამ კარგა ხანის გადასწავლა ეს საკითხი. იქ სიტუაციურ მასალასთან ერთად—და ხშირათ მის შავთვრად, ემპირიებს აწოდებენ სურათებს. არა თუ სიტუაციებს; არამედ ცოცხალ სურათებს. ამ შემთხვევაში ისინი ისეთ განუყოფელ ცნებებსაც კი, როგორცაა რიცხვი, აძლევენ რეალურ გამოსახელებას. მაგალითად, სწავლობენ შეკრუბას, რეკულში ერთ მხარეზე სწერია 2+1=3; მის ზირ და ზირ დახატულია ორი თავი, მათ შერთდება შესამე. 2-ს მოწაფე სწერს ისტორიულ ამბავს, — იქვე ასურათებს მის.

ამ რიგად, საკითხი თავის თავად ირგვეს: დაახტვინეთ ემპირიის ის, რაც წაიკითხა. და როდესაც იგი განუკუთვალ ცნებებს თვალწინ დახატავს ხორც-შესხეულად, მაშინ წაკითხულის მთელი შინაარსიც დაწვრილებით აღიბეჭდება იმის სულში.

ასეთი განხორციელება წაკითხულის ემპირიის შეძლებას აძლევს ცხადად, რეალური სინამდვილით დახსნოს წაკითხულის შინაარსი.

იტყვიან: როგორ შეიძლება მოვთხოვით დასწავის სკოლის მოწაფეს მოთხრობების დასურათებო და სხვანი. საქმე იმაშია, რომ წვეს აქ სრულებითაც არ ვთხოვლობთ, რომ სურათი ტენიანურათ უნაკლებო იქნეს, — ასეთი მოთხოვნა უადვილოც იქნებოდა. დეე, თითოეულმა დახატოს ისე, როგორც შეუძლია! სეთი წლის ბავშვი დახატავს თქვენ ყველაფერს: დამიანს, ცხოველს, ფრინველს, ხეს და სხვა. შეიძლება თქვენ ამ სურათებში გვრავითარი მსგავსება ვერ იპოვოთ ნამდვილთან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ემპირიული თავის დახატულში ხედავს სწორეთ იმას, რის დახატვაც სწადა და წყენი მიხსნითვის სწორეთ ეგას საჭირო.

მასწავლებელი თვითონ უხევენებს მოწაფეებს ამ პროცესს და რაც შეიძლება ამცრთიებს საკუბის სურათებს. ამ გზით მოწაფეებია ისე მიიყვებიან, რომ დიდი-დიდი—სეთის წუთის განმავლობაში მზათ ექნებათ სასურველი სურათი. გარეშულად ეს ადვილად მოსახერხებელია, მაგრამ როგორ გავატაროთ ეს წესი განმარტებითი კითხვის დროს?

სტატის წაკითხვის შემდეგ ზირ და ზირ გამოვუძახოთ შეგირდს და დავახტვინოთ დაფაზე სტატის შინაარსი, ეს შრომა შესრულებულ უნდა იქმნას მთელი კლასის დახმარებით; ეს მოითხოვს დროს მხოლოდ რამდენიმე წუთს 5—6 წუთისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეუვადოთ

სტატისის ნაწილ-ნაწილად განხილვას და დასკვნის გამოკვეყნას.

ხშირათ სტატისის ერთის ნახტით ვერ დაასურათოთ: საჭირო ხდება ინდენივე ნახტით რამდენ ნაწილად იყოფა მთელი სტატისა შინაარსის მხრით.

პირველ ხანებში მოწაფეები ხშირათ უარს ამბობენ: დახატვა არ შეგვიძლიათ. აქ უნდა მიეშველოს თითონ მასწავლებელი და მოწაფეების კარახით დახატოს. დაასურათოს სტატია. ამის მიხედვით უმაწვილები ვერ თავიანთ საშინაო რვეულებში ასრულებენ ამავე სამუშაოს და თან და თან ისე ეხვევიან, ისე აინტერესებს მათ მსკავსი ვარჯიშობა, რომ ხშირათ მასწავლებლისთვის მოულოდნელად საუბნოვო სურათებს ამზადებენ.

ეველა სტატია, რომელიც შინ სასწავლად ეძლევათ უმაწვილებს, უნდა დასურათებულ იქმნას მათ მიერ განსაკუთრებულ რვეულებში. ამ დასურათებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რადგანც მოწაფე მხოლოდ მაშინ შესძლებს სტატისის დასურათებას, როდესაც იგი ნათლად წარმოიდგენს იმის შინაარსს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივადწევთ ძალიან ბევრს: ა) მოწაფე კითხულობს სტატისს უურადღებით, შეგნებულად და ცდილობს კითხვის დროს არ გაუსწლტეს არა თუ უმთავრესი, თვით წვრილმანებზე კი სტატისის; ბ) რაკი სურათი მზათა, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მოწაფემ შეიგნო და შეითვისა სტატისის შინაარსი და გ) დამოუკიდებელი სურათი პირდაპირ კვირულებს ჩვენ, თუ როგორ შეითვისა მან იგი: რა არის სისწორით შეთვისებული და რა არა, რა არის გამოტოვებული და სხვ.

სტატისის დასურათება, როგორც ისეთი რამ, რომელიც აჩვენებს მოწაფეებს შეგნებულად კითხვას და სურათ-ხატულად აზროვნებას, უნდა იწვევდეს პირველი წლიდანვე.

უმთავრესისა და კერძო დასკვნების გამოყვანას ძლიერ უადვილებს მოწაფეებს სტატისის დასურათება. გარდა ამისა, სურათი დრმა კვალსა სტოვებს ემაწვილის სულში სტატისის შინაარსისა და ამ რიგად შეეღის შესიერებასაც.

რადგანც თითოეული მოწაფე წაკითხულის სურათს თავისებურად ხედავს,—თავისებურადაც გადამოგვემს. აქ სვენ არ შეგვიძლია მთელი კლასი ერთი საზომის ქვეშ დავაყენოთ. თითოეული აზროვნებს და გადამოგვემს თავისებურად. ამ რიგად თითოეული მათგანი ვითარდება თავის ინდივიდუალური თვისებების მიხედვით და ეძლევა ფართო ასპარეზი თვით-მოქმედებისაც. აქ დიდი ადგილი უჭირავს დიად პრინციპს: „აღზარდე ადამიანი თავის ბუნების მიხედვით“ *).

სტუკას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლადზრდის საქმეში საზოგადოდ და რაც უფრო დროით და კარგად იქნება ეს საქმე დაეუბნებოდა ჩვენს სკალებში, მით უფრო კაცობადვილებდა შეგნებული კითხვის მიდწევა დედა-ენის გაკვეთილებზე **).

დ. ო - ძე.

*) იხ. „კანათლება“ № VII—საუბარი სახალხო სკოლაზე. წერილი I.

**) ამ სტატისის დაწერის დროს ვებლმძღველოდბით ი. ტროიანოვსკის წერილით: „Педагогические методы“ და სხვა მახალბითაც.



ფსიხო-ფიზიოლოგია

პროფ. რ. გესე და ფ. დოფელინი.

ადამიანის და ცხოველების გრძნობათა ორგანოები *).

ადამიანს ჰგონია ცხოველებსაც ისეთი გრძნობის ორგანოები აქვს, როგორც მას. ადამიანი დარწმუნებულია, რომ ბუს თვალები ისეთსავე წინააღმდეგობას იჩენს სინათლეზე, როგორც მისივე თვალები, რომ ძალდი ცხვირის საშუალებით ჰყონასვს, გემოს ენით ტყობილობს და სხვა. ამ მსგავსებაში ადამიანი არ ცდება. მაგრამ ცოტა შორს რომ წავიდეთ და წარმოვიდგინოთ, მაგალითად თევზის ყურის ლაბირინტი ვითომ ისიც ისეთსავე წინააღმდეგობას უწევდეს ხმების გალიზიანებას, როგორც ადამიანის ყურის შინაგანი მოწყობილობა, მაშინ უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა დაგვანახვებს, რომ შემცდარი ვყოფილვართ. და რამდენადაც ღიღ-ხანს შევჩერდებით ხერხემლიან ცხოველებიდან უხერხემლოზე გადასვლის დროს, იმდენად, მანძილი, რომელიც აშორებს ცხოველთა სამეფოს ამა თუ იმ ფორმას ადამიანისაგან, საეჭვოდ ხდის ანალოგიას, მით უფრო ღიღია განსხვავება.

მეცნიერებს ღიღხანს ეგონათ, რომ ყნოსვის ორგანოები მწერლებსაც სასუნთქვე ორგანოსთან აქვსო, როგორც ადამიანს. საწერტლები (ЩУЦАЛЬЦЫ) სმენის ორგანოდ, ყურებად მიაჩნდათ, მაგრამ უფრო დაბეჯითებით გამოკვლევამ დაგვანახვა: რომ მწერებს ყნოსვის ორგანო

საწერტლებზე აქვს. რაც შეეხება სმენის ორგანოს - რამდენადაც გამოკვლევით დამტკიცდა, მისი ადგილი. — როგორც მაგალითად კალიას და კუტი კალიას ისეთს ალაგს აქვს, რომელიც სიზრმადაც ვერ მოვლანდებოდა რომელსამე გულუბრყვილო მკვლევარს. კუტი კალიას (*Locusta viridissima*) ყურები წინა ფეხების წვივებზე აქვს, სხვა ამავე ჯიშის მწერებს — სეულის უკანა პირველ სეგმენტის ორსავე მხარეზე. ვისაც ჰგონია, რომ თვალი უსათუოდ თავზე უნდა იყოსო, ის განცვიფრდება, როცა გაიგებს, რომ თევზის წურბელას (*Pisicola geometra L.*) თვალები ტანის ბოლოზე აქვს, მაშინ როცა ჯავარ-ფეხიან ქიას (*Polyopthalmus pictus Duj.*) თვალები ტანის აქეთ-იქით აქვს. უფრო საოცარი ის ფაქტია, რომ ზოგი ცხოველთაგანი ეწინააღმდეგება სინათლეს, თუმცაღა თვალი არ აქვთ, როგორც მაგალითად, ქიაცელა. „უთვალო მხედველობა“ მიგვანჩნია რაღაც საწინააღმდეგოდ. მაგრამ სწორედ აქ, ქიაცელას მაგალითზე ირღვევა გულუბრყვილო ანტროპომორფიზმი. უფრო დაწვრილებით გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ მხედველობა და მისი ორგანო ქიაცელას რომელსამე განსაზღვრულს ადგილზე არ აქვს. იგი გაშლილია მთელს კანში — ზოგ ადგილას უფრო სქლად და ზოგანაც — თხლად. ამის მსგავსებას ადამიანში წარმოადგენს შეხების გრძნობა და მისი ორგანოები.

თუ გრძნობათა ორგანოების მდებარეობა და გავრცელება ცხოველთა სხეულ-

*) ეს საყურადღებო სტატია ამოღებულია დიდის ნაშრომიდან: „ავებულება და სიცოცხლე ცხოველებში“, ტ I, რაც ესლახან გამოვიდა გერმანულს ენაზედ. (Вестн. ЗУ)

ში, როგორც ვხედავთ, ბევრით განსხვავდება იმისაგან, რასაც ადამიანში ვამჩნევთ, ცხადია ასეთი საკითხის წამოყენება: ნუ თუ მათ ფუნქციებშიაც არ არის განსხვავება? ამ საკითხზედ შეგვიძლია ვუპასუხოთ დარწმუნებით. საზოგადოთ ცნობილია, რომ ფრინველებს უფრო გამჭირახი მხედველობა აქვთ, ვიდრე ადამიანს. ღძაღლსაც ციცილებით ადამიანზე უკეთესი ყნოსვა აქვს. ზოგიერთ მამალ პეპელების ყნოსვის ორგანო ეწინააღმდეგება ჰაერში არსებულს ისეთს ნივთიერებას, რასაც ჩვენ სრულიად ვერ ვამჩნევთ და რაც შეიძლება ძლიერ მტკიცე იყოს. ბუზი სახარინს *) უფრო სხვანაირად ექცევა, ვიდრე შაქარს; ბუზები დააცვივიან შაქარს, მაგრამ სახარინს პირს არ ახლებენ.

ზოგიერთი მაგალითები ცხადად გვიჩვენებენ, რომ ზოგი ცხოველების გრძნობათა ორგანოები ადამიანის იმავე ორგანოებზე მაღლა სდგას იმ გაღიზიანების სიდიდით, რაც მათ შეუძლიათ მიიღონ. უფრო გაძლიერებული იის ფერტი შუქი უხილავია ადამიანის თვალთაგან. მისი შესაფერი ნაწილი სპექტრისა ჩვენ ბნელად გვეჩვენება. მაგრამ კიანქველები კი, როგორც ცდა გვიჩვენებს, წინააღმდეგობას იჩენენ ამ გვარ სხივებით გაღიზიანების დროს. კიანქველებს თავისთვის და თავიანთ შთამომავლობისთვის სიბნელე ურჩევნიათ. ჩვენ რომ ხელოვნურად ავადგოთ კიანქველების პრეტელი ბუდე და ზემოდად გამჭვირვალე მინით დავხუროთ, გავანათოთ მზის სპექტრით, შევნიშნავთ, რომ კიანქველები თავიანთ პარკუტებს გადაზიდვენ სპექტრის ძლიერ იის ფერ ნაწილიდან სპექტრის ძლიერ წითელ ნა-

წილში, რაც ჩვენი თვალისთვის სიბნელეს წარმოადგენს. შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ ძლიერ—იის ფერ შუქს, თუ გავატარებთ გოგირდინან ნახშირბადის ფენებში, ჩვენი თვალისთვის გამჭვირვალე დაწმენდილს სითხეში. ესლა თუ ნებას მივცემთ კიანქველებს ორს კუთხეში ერთი აირჩიონ: ერთი, განათებული ისეთის შუქით, რომელიც გატარებულია გოგირდინან ნახშირბადის ფენაში, მაშასადამე თავისუფალია სპექტრის ძლიერ-იისფერი ნაწილისაგან, და მეორე, სადაც სინათლე გალის უქმნვანე ხრომის სითხეში, რომელიც უშვებს ძლიერ იისფერ შუქს, შევნიშნავთ, რომ კიანქველები იწყებენ მოგროვებას პირველ კუთხეში, რომელსაც ჩვენ უფრო განათებულად ვხედავთ.

ადამიანის გრძნობათა ორგანოები ბუნების მოვლენათ რომ დიდის შეცდომებით იღებს, ეს ცხადია უბრალო მსჯელობიდანაც. ჩვენი ყური ანგარიშს უწევს ჰაერის ღელვათა გაღიზიანებას, რომელიც 16—23-დან 41.000-ჯერ ირყევა ერთს წუთში. ამ რყევას ჩვენ ვიღებთ, როგორც სხვა და სხვა ბგერებს. ჩვენი თვალიც ანგარიშს უწევს მერყეობით მოძრაობას, რომლის სიხშირე 481—764 ბილიონს შეადგენს ერთს წუთში. ეს რყევა, ერთს წუთში დაკვრის რაოდენობის მიხედვით, მიიღება როგორც სინათლის გრძნობა სხვა და სხვა ფერებიდან. უეჭველია, რომ ბუნებაში მერყეობითი მოძრაობა შეგვხვდება ერთს წუთში 41.000 და 480 შუა ბილიონ რყევაში. მაგრამ ეს რყევა ვერაიეთარ გავლენას ვერ ახდენს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე; ისინი სრულიად არ არსებობენ ჩვენთვის. ბგერათა რიცხვი, რაც ჩვენს მიმდგომას შეუძლია აღიქვას, არის 11—12 ოკტავას; ანალოგიურად

*) შაქარზე 500 ჯერ უტკბესი ნივთიერებაა, თეთრი ფხვნილია, ადვილად იხსნება წყალში.

მაშტარით რომ გავზომოთ, ჩვენ ფერების შთაბეჭდილებისათვის მივიღებთ მხოლოდ 1 ოკტავას. ის ნაკლი კი, რომელიც მოეფინება მერყეობითი მოძრაობის საზღვრებშია, რაც ჩვენთვის მისაწვდომია, უდრის 33—34 ოკტავას. რამდენი აუარებელი მოკლენა რჩება დაფარულად ჩვენთვის! ფოტოგრაფიის ფირფიტა გაცილებით მეტს ანგარიშს უწევს მერყეობითის მოძრაობას, ვიდრე ჩვენი თვალი. მისი მიმღებობის საზღვარი 18 და 1600 ბილიონ რყევის შუა არის ერთს წუთში, ე. ი. ხმების შთაბეჭდილების მაშტარით 7—8 ოკტავას შეიცავს.

ფრინველების გამორკვევის ნიჭი შემოდგომაზე და გაზაფხულზე მგზავრობისა ზოგიერთებს უნდოდათ აეხსნათ იმ გარემოებით, რომ ფრინველებს აქვთ გრძობათა ერთგვარი ორგანო, რომელიც ანგარიშს უწევს ანდამატის მოქმედებას და სხეულის მიმზიდველობითს შეცვლას, როგორც ბუსოლი ანუ კომპასი. მაგრამ ეს მომზადება მოკლებულია სიმართლეს. მაინც შესაძლებელია იყვეს გრძობის ამგვარი ორგანოც და ცხოველები, რომელთაც ეს აქვთ, ანგარიშს უწევენ არა მარტო თავისი სხეულის შეცვლით ჩრდილო პოლუსის შესახებ, არამედ მრავალ სხვა მოკლენათა გამოც, როგორც მაგ. ჩრდილოეთის ცოცხიმბაა, გოლვანიური ნაკადი განსაზღვრულის მიმართულებისა და სხ. ჩვენც რომ ისეთი ორგანო მოგვცა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლებოდა ანგარიში გავგეწია ელექტრონულ გალიზიანებისათვის, ისეთის დაწვრილებით, როგორც თვალი უწევს ანგარიშს სინათლის გალიზიანებას, მაშინ, მისი შემწეობით, ჩინებულად შევიძლებდით ამ ქვეყნად გამორკვევას, როგორც დღესით, ისე ღამითაც. ამ შემთხვევაში მთე-

ლი ქვეყნიერება სულ სხვანაირად მოგვეჩვენებოდა. ჩვენ გავარჩევდით საგნებს მათის ელექტრონულ მიმზიდველობით; მაშინ მების შესახებაც სულ სხვა წარმოდგენა გვექნებოდა. ყოველ შემთხვევაში გალვანიზმი და მისი გამოყენება უფრო ადრე გვეცოდინებოდა.

ჩვენ შეგვიძლია უფრო ღრმად ჩავევიროდეთ საკითხებს, რომლებიც ეხება გრძობათა ორგანოების ფუნქციებს ადამიანის გრძობათა ორგანოებისადმი დაკვირვების მიხედვით. ადამიანში ბევრი გალიზიანება იწვევს შეგნებულს შთაბეჭდილებას, რაც ნების გვაძლევს მოვახდინოთ შედარება გალიზიანებასა და მისს შედეგს შორის.

გრძობათა მრმელობის სხვა და სხვა სფერა გვაძლევს სხვა და სხვა შთაბეჭდილებას. აქ ჩნდება შემდეგი საკითხი: განსხვავებას შთაბეჭდილებათა შორის შეესაბამება თვისებითი განსხვავება, თუ არა, ან სხვანაირად რომ ვსთქვათ: განსხვავებას ორს გალიზიანებას შორის შეესაბამება ისეთივე განსხვავება მათ მიერ გამოწვეულს შთაბეჭდილებაში? ადვილია საჩვენებლად, რომ ასეთი შეხამება არ არსებობს. **რაოდენობით** განსხვავებას პაერის ღელვის ან ეთერის მერყეობის რიცხვს შეესაბამება თვისებათ სხვა და სხვა შთაბეჭდილებანი, სხვა და სხვა ფერები ანუ ტონები. თუ ჩვენი თვალი გალიზიანდება ერთს წუთში ეთერის 400 ბილიონ რყევით, ჩვენ გვექნება შთაბეჭდილება წითელის ფერისა, თუ 700 ბილიონ რყევით—შთაბეჭდილება ლურჯი ფერისა. გალიზიანებანი შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 4:7; მათ მიერ გამოწვეული შთაბეჭდილებანი სრულიად შეუდარებელნი ხდებიან.

ერთი და იგივე გალიზიანება, რომე-

ლიც გრძნობის სხვა და სხვა ორგანოზე მოქმედებს, გამოიწვევს სხვა და სხვა გვარ შთაბეჭდილებას. ხლოროფორმი გემოთი ტკბილია, მაგრამ ყნოსვითი გრძნობას, რომელიც მის მიერ გამოიწვევა, არავითარი მსგავსება არ აქვს ამ გემოს შთაბეჭდილებასთან. თავის მხრით არც ერთი ამ ორ შთაბეჭდილებათაგანი არა ჰგავს იმ ტკივილის შთაბეჭდილებას, რასაც იგი იწვევს კანის თხელ ფენაზედ. კამერტონის რყევა, რასაც სმენით ვიღებთ, როგორც განსაზღვრული სიმაღლის ხმას, ენის წვერზე შეხებით გვაგრძნობინებს ლიტინს. ეთერის ტალღა მკირე რყევით (480 ბილიონამდის წუთში) აგრძნობინებს თვალს წითელ ფერს, კანს—სითბოს.

მეორე მხრით ერთი და იგივე გრძნობის ორგანო მისი თვისების დაგვარად პასუხს აძლევს სხვა გაღიზიანებას ერთნაირად. სხვა და სხვა გვარი გაღიზიანება, რომელიც თვალზე მოქმედებს, იწვევს სინათლის გრძნობას. ასეთია ეთერის ტალღა ზემო ნაწვენების რყევით, ელექტრონის ნაკადი, დაქირება, მექანიკური დაზიანება თვალის ბადის მაგვარ გარსისა ოპერაკიის დროს. ელექტრონი, როცა კანს აღიზიანებს, გასაღიზიანებელ ფდგილის მიხედვით, იწვევს სითბოს, სიცივის, ტკივილის ან დაქირების გრძნობებს. ყურში იგი ხმის გრძნობას იწვევს, თვალში—სინათლისას, პირში—ენის სხვა და სხვა ნაწილების მიხედვით—ტკბილს, მკაცრს, მლაშეს და მწარე გემოს. მაგრამ არა მარტო თვითონ მიმღები ორგანოების გაღიზიანება იწვევს სპეციფიკურ რეაქციას. ამ გვარსავე შედეგს იძლევა სათანადო ნერვების გაზიანებაც. თვალის ნერვის გადაჭრას სწეული თვალის ჰემორეების დროს, ავადმყოფი გრძნობს მეტის-

მეტს დამაბრმავებელს სინათლეს. მექანიკური გაღიზიანება „*Chorda tympani*“, რასაც შეხედვით შუა ყურის დაზიანების დროს, იწვევს გემოს შთაბეჭდილებას. ამ სახით გაღიზიანება ადამიანში შედეგად ჰბადებს ამა თუ იმ შთაბეჭდილებას,—ეს შედეგი განისაზღვრება არა გაღიზიანების ბუნებით, არამედ მიმღებ იარაღის აგებულობით. იოჰან მიულერმა, რომელმაც პირველად ღირსეულად დაათვა ეს ფაქტი, უწოდა ამ მოვლენას „გრძნობითი ნერვების ანუ ნერვების ნივთიერების სპეციფიკური ენერგია“.

ეს სხვაობა, ეს სპეციფიკური ენერგია არ შეადგენს მხოლოდ ნერვების ნივთიერების დამახასიათებელ თვისებას: იგი შეესაბამება ყველა ცოცხალ ნივთიერებას. ასე მაგალითად სპეციფიკური სხვაობა ქათმის კვერცხისა იმაში მდგომარეობს, რომ მისგან იჩეკება ქათმის წიწილა და იხვის კვერცხიდგანაც ყოველთვის იხვი იჩეკება, თუნდაც ორივე კვერცხი ეთრსა და იმავე სითბოს გავლენის ქვეშ იყოს. ყოველგვარ გაღიზიანებაზე, ელექტრონული იქნება, ქიმიური თუ მექანიკური, ჯირყვლების უჯრედები პასუხს აძლევენ გამოყოფით, კუნთებით—შეკუმშვით, ლორწოიანი კანი, რომელიც საესეა მიკროსკოპიული წამწამებით—სწრაფი მოძრაობით. თირკმელების უჯრედების დანიშნულებაა შარდის გამოყოფა, ღვიძლის უჯრედები ამზადებენ ნაღველს. ამავე ვხედავთ ერთ უჯრედიან ცხოველებშიაც. სხვა და სხვა გვარ ძლიერ გაღიზიანებაზედ ამება პასუხს აძლევს ცრუფეხების გამოყოფით; *noctiluca*—აენთება. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ნერვების სისტემაშიაც. ერთი და იგივე ნერვის ძაფი ვერ იქნება გამტარებელი დიროებით გაღიზიანების სხვა და სხვა ტალ-

ღებისა; ერთი და იგივე ნეირონი (ძირითადი ერთეული ნერვის სისტემისა) ნერვების ცენტრალურ სისტემაში ვერ მოხვდება ზემოქმედებას, თუ ტალღა გალიზიანებისა თვისებით სხვა და სხვანაირია. თვისებითი სხვა და სხვაობა გალიზიანების შედეგებს შორის დამოკიდებულია გასალიზიანებულ ელემენტების ინდივიდუალურ თვისებაზედ. გრძობათა ორგანოების სპეციფიკური ენერგია სხვა არ არის რა, თუ არა კერძო შემთხვევა საზოგადო კანონისა. რომელსაც შეიცავს ყველა ცრუხალი ნივთიერება.

შეიძლება ეს დასკვნა თავისთავად იპყრობს იმ მნიშვნელობის განხილვას, რაც აქვს გრძობათა ორგანოების მიმღები იარაღების სხვა და სხვა გვარ აგებულებას. გრძობათა ორგანო, რომელიც განსაზღვრულის სახით ანგარიშს უწევს ყოველგვარ გალიზიანებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქნება ცხოველთა გამოსარკვეველ საჭირო საშუალებად, თუ იგი თავის აგებულობით მისაწვდენი იქნება მხოლოდ ერთგვარი ტიპის გალიზიანებისათვის და დაფარული სხვა ყველასაგან. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამყარდეს სრული განსაზღვრული კავშირი გალიზიანების ცნობილს ტიპსა და გრძობათა ორგანოების ცალკე სპეციფიკურ რეაქციის შორის. მხოლოდ ამ შემთხვევაში გალიზიანებათა ტიპები იქნებიან „სხვა და სხვანაირი“. ამნაირად, აი რაში მდგომარეობს დანიშნულება მიმღებ იარაღებისა გრძობის ორგანოებში: ისინი სხვა და სხვა ხარისხად ჰყოფენ გალიზიანებათა, ზოგ მათგანს გაატარებენ, ზოგს კი იჭერენ.

გრძობათა ორგანოებს, რომლებიც მხოლოდ გალიზიანების ერთგვარ ტიპს იღებენ, ჰქვიან ელექტიური, ანუ სპეცი-

ფიკური. ასეთი ხასიათი აქვს ადამიანის ყველა გრძობათა ორგანოებს. ჩვენ მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გრძობათა სხვა გვარი ორგანოებიც, რომლებიც, ნორმალურს პირობებში, ანგარიშს უწევენ მექანიკურს, ქიმიურს, ოპტიკურს და სხვაგვარ გალიზიანებას. გრძობათა ამ გვარ ორგანოებს შეიძლება ვუწოდოთ ანელექტიური, ანუ უნივერსალური. რასაკვირველია არ უნდა გვეგონოს, რომ გრძობათა ასეთი ორგანოები მოქმედებას იჩენენ სხვა და სხვა გვარ გალიზიანებაზე თვისებით სხვა და სხვა სახით. იმის მსგავსად, როგორც ამება ყოველგვარ გალიზიანებაზე გამოიშვერს თავის ცრუ-ფხვებს და შეიკუმშება, ისე გრძობათა ანელექტიური ორგანოებიც სხვა და სხვა გვარ გალიზიანების გავლენის გამო ერთსა და იმავე გვარ მოქმედებას იჩენენ. ამასთან არც საჭიროა, რომ ამ გვარი ორგანოები ყოველგვარ გალიზიანებისათვის მისაწვდომი იყოს. ანელექტიურად შეიძლება დავსახოთ გრძობათა ყველა ორგანო, თუ იგი, მაგალითად, ქიმიურ და მექანიკურ გალიზიანებაზე იჩენს ერთსა და იმავე წინააღმდეგობას. ადამიანს ასეთი გრძობათა ორგანოები არ აქვს, მაგრამ ამას ვატყობთ ზღვის ზღარბს და ზღვის სიპინებს.

უეჭველია, რომ ანელექტიური ორგანოები შეიძლება პირველს საფეხურს გრძობათა ორგანოების განვითარებაში, აქედან შემდეგში განვითარდნენ ელექტიური ორგანოები. ხშირად შეხედვით ასეთს შეხედულობასაც, რომ გრძობათა პირველ-ყოფილ ორგანოებად შეხებათა ორგანოები მიანიათ, როგორც უფრო გავრცელებული ცხოველებში, ცხოველთა სამეფოში; სხვა ორგანოები კი უნდა განვიხილოთ როგორც შედეგი შეხებათა

ორგანოების სახე ცვლილებისა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სრულიად ერთ უჯრედ-იანი ორგანიზმებიც მოქმედებას იჩენენ არა მარტო მექანიკურ, არამედ ქიმიურ, ოპტიურ და ტერმიურ გალიზიანებაზე. მეორე მხრით ძნელი ვასაგებია ის, თუ როგორ განვითარდა შეხების ელექტიურ ორგანოსაგან სმენისა და ყნოსვის ელექტიური ორგანოები. პირიქით, გრძნობათა ან ელექტიურ ორგანოებისაგან შეიძლება განვითარება ელექტიურისა გალიზიანებათა რიცხვის შემცირებით, ჩამოშორებით და რომელიმე მხოლოდ ერთი განსაზღვრული გალიზიანების ტიპის არჩევით. ამ მოსაზრებით შეიძლება აეხსნათ თუ რატომ ისეთი გრძნობათა ორგანოები, რომელნიც ნორმალურ პირობებში მიუწევდომელია ნეადეკვატურ გალიზიანებათათვის, შეიძლება ხელოვნურად გალიზიანებული იქმნას მათ მიერ, როგორც მაგალითად ჩვენი თვალი დაქირებით.

შეხება, სმენა, გემოვნება, ყნოსვა, მხედველობა—იხუთი გარეგანი გრძნობა, დადგენილი საზოგადოთ მიღებული კლასიფიკაციით. ამას წმინდა ტოპოგრაფიული ხასიათი აქვს, რადგანაც დაფუძნებულია თვით დაკვირვებაზედ. ეს კანის, ყურის, ენის, ცხვირის და თვალის გრძნობაა. მაგრამ ეს კლასიფიკაცია ისეთივე მცირე შინაარსიანი, როგორც არა რაციონალური. კანის შეხების გრძნობა, შეხების გარდა, ამ სიტყვის სწორ მნიშვნელობით, შეიცავს კიდევ სრულიად განსხვავებულს სითბო-სიცივის გრძნობას. გემოვნება და ყნოსვა ერთმანეთის მონათესავენი არიან, რადგანაც გამოსახავენ გრძნობათა ორგანოების რეაქციას ქიმი-

ურ ზემოქმედებად—ერთს შემთხვევაში სითხეზე და მეორეში ჰაერ მაგვარ სხეულებზე. ამას გარდა არიან კიდევ სხვაგვარი შთაბეჭდილებანი, რომელნიც ამ კლასიფიკაციის გარეშეა. ასეთია თანასწორობის ან სტატიური შთაბეჭდილებანი, რომელთა ორგანოებია ყურის ლაბირინტი. ამ გრძნობის ორგანოს არსებობას ჩვეულებრივი მომაკვდავი ვერც კი ამჩნევს. თვალისა და ყურის მოქმედება შეიძლება შეწყვეტილი იქმნას გალიზიანების ნებისითი შეჩერებით; ცხვირი, ენა და კანი იღებენ გალიზიანებას ჩვენის სურვილის მიხედვით. მაგრამ თანასწორობის ორგანო შეუწყვეტლად მუშაობს; მისი მოქმედების შეჩერება და შემდეგ ხელახლად აღდგენა არ შეიძლება, როგორც გრძნობათა სხვა ორგანოების მოქმედება. ამიტომაც მისი არსებობა არ შეიძლება აღმოჩენილი იქმნას მოქმედებისა და მოსვენების მდგომარეობის კონტრასტით. თანასწორობის გრძნობის გარდა არის ჯგუფები კანის გრძნობათა: ლიტინი და ავ-ზორცობია.

ამ მოსაზრებით საზოგადოთ მიღებული სუბიექტიური კლასიფიკაცია ობიექტიურად უნდა შეიცვალოს და დაფუძნებული უნდა იქმნეს გალიზიანებელთა ბუნებაზე. ამ კლასიფიკაციით არსებობს ნებაიკური, ქიმიური, ტერმიური და ოპტიური გრძნობა. მექანიკური გრძნობა თავის მხრით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ამაში შედიან: შეხება, ტკივილის გრძნობა, თანასწორობისა და სმენის გრძნობა. ქიმიური გრძნობა იშლება მომქმედ სუბსტანციის სითხის თუ ჰაერგვარ მდგომარეობის მიხედვით გემოვნებისა და ყნოსვის გრძნობად.

ლ. ბოცვაძე.

ინდოელი ბრძენი ბუღდა

(საკია მუნი)

შორს სვენჯან სამხრეთისკენ არის. მდიდარი და ვრცელი ქვეყანა ინდოეთი. იქაური მცხოვრებლები—ინდოელები უძველესი ხალხია ქვეყანაზე. — ინდოელები წარმართები არიან. ისინი თავიდანვე აღიარებენ ბრამინის სარწმუნოებას, თავჯანს სტემენ მდინარეებს, ქუჩილს და აურაცხელ კერძს, რომლისთვისაც ატებენ დიდებულს ტაძრებს. ამ ტაძრებში ცხოვრობენ ქურუშები—ბრამინები: ისინი არიან საღვთო სულიერი მამები, მოძღვრები და მსწავლელები. მცხოვრებლები დაუოფილნი არიან სხვა და სხვა წოდებად (კასტებად): უგლაზხედ უფრო სახატოთა ბრამინების წოდება ითვლება. ბრამინებს თავი ამჟამად უჭირავთ. იმთ დიდ შურაცხუფთად მიანიათ სხვა წოდების ხალხთან სმა-ჯამა და შესებატკი. ბრამინებს გარდა სხვა წოდებანიც არიან, რომელნიც ერთმანეთს ერიდებიან. მაგალითად მიწის მუშაკნი, მხედრები, ღურტლები, მეტლები მწეისები და სხვა ცალ-ცალკე კასტას წარმოადგენენ, სწორად ერთმანეთთან დაჯა და ჩხუბი აქვთ, სიკვდილი ურჩევნით ერთმანეთთან დანათესავებას, ან ერთად ჰერის ჭამას.

აი ამგვარ წოდებათა გაყოფისა და ბრამინების წინააღმდეგ 2500 წლის წინად ხმა აიმაღლა ერთმა უდიდებულესმა ბრძენმა—სილდარტხამ, სკაიების სამომავლობადან, რომელსაც ეწოდება სკაია-მუნი ანუ ბუღდა. მან შექმნა სარწმუნოება—ბუღდიზმი. ინდოელებმა ვერ შეინახეს ეს სარწმუნოება და ისევ ბრამინის სარწმუნოებას დაუბრუნდნენ, მაგრამ ბუღდას სარწმუნოებას გავრცელებას სხვა ადმოსავლეთ ქვეყნებში და დღეს 400 მილიონამდის ხალხი ბუღდის სარწმუნოებას აღიარებს.

ბუღდა მეფის შთამომავლობისა იყო. იმისი მამა სუდხოდახა ინდოეთის ერთი ზატარა ნაწილის მეფე იყო და სკაიების გვარს ეკუთვნოდა. ქრისტეს დაბადების წინ 623 წელს სუდხოდახას ეყოლა ვაჟი, რომელსაც სილდარტხა დაარქვეს. მას დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ ეღა მოუკვდა.

ახალგაზდა ბატონიშვილი თავისი ტკუით ზატარაობიდანვე აკვირვებდა ეველას. მშვიდი, წუნარი და კულმთხრობილი ბავშვი იყო. დედის სიღამაზე თან დაუოდილი ჰქონდა. ახალგაზდა ბატონიშვილს სულოვნებას და მუცნიერებას ასწავლდნენ. მამამ სამი მშვენიერი სასახლე აუგო—სასაფხულო, სასამარო და საშემოდგომო. სილდარტხა ცხოვრობდა ამ სასახლეში თავის ტოლ-ამხანაგებთან, წარჩინებული გვარის შვილებთან ერთად. როცა სილდარტხა შეთქმულს შეეპყრო, მამამ სცლოლედ აურჩია სკაიის მეფის ქალი, მზეთ-უნახავი იასოდხარა.

მეფე სუდხოდახა ცდილობდა მოეშორებინა თავისი შვილი ეველაფერს, რაც მოაკონებდა უბედურებას და სომსილებას და ბატონიშვილმაც 29 წლამდის არა იცოდა რა სიმწუნარის, ბორტუბის, ტანჯვის, სიბერის და სწულებების შესახებ. და აი ერთხელ, როცა თავისი განუკერელი მსლებელით დასკინობდა ბაღში, რომელიც სასახლეს გარს ერტყა, შემთხვევით შეხვდა კუზიან მიზურს. ბატონიშვილს გაუვირდა და ჰკითხა მსლებელს: „კიდევ არიან სადმე ამისთანა კაცები?“ იმან უპასუხა, რომ უველა კაცი ბერდება და დანანაკლება, თუ სიუმაწვილეში არ მომკვდარა და თუთონის ისიდ დაბერდება. ბატონიშვილი ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო ამ ზირველ შეხვედრის შემდეგ.

რომ მას უცნობი შეეყარა კეთრფანებით ავად-
მყოფი: მთელი სხეული სარდავს დაწვლუ-
ლებული ჰქონდა და დაიარავებული. ჩქარა
ამის შემდეგ დანახს მიცვალა უფლს მისევენი-
დნენ. როცა მას აუხსნეს ეველა ამ ნახულის
მნიშვნელობა, რაც მისთვის უცნობი იყო, —
ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბები და
უბნარეს, რომ ეს ეველა ადამიანის ხეუდრიაო,
წამოევირა: „ვაიჰე! მამ რა საჭიროა შეეყერი
ბრწყინვალეობა: თუფუნება და ვაყოფილება, თუ
არ შეუძლიათ დაიფარონ ადამიანი სიბერის,
ავადმყოფობის და სიკვდილისგანა?!”

ის მიეცა ფიქრებს ქვეყნიური ბოროტების
და ადამიანის სვებედის შესახებ. მთელი მი-
სი გონება მიმერობილი იყო ამ საკითხის
გამორკვევისკენ, თუ როგორ უნდა დაეხსნა
ქვეყანა ბოროტებისგან. ბოლოს ეველა ქვეყ-
ნიურ ბედნიერებაზედა ხელაღებული მწირის
შესვენებამ უფერა მას ახალი გზა. მან გა-
დასწვევითა მიეტოვებინა თავისი სრასასხ-
ლეები, ცოდ-შვილი და ეცხოვრა განმარტოე-
ბით. მეფე ცდილობდა უფრო ეთქმევინებინა
სიღმარტვისთვის მის განძრახვას, მაგრამ
უფლის წული მტკიცედ ადგა თავისს გადაწ-
ვეტილებას და ერთხელ დამით ჩუმად გაი-
ზარა სსსსწდნა. სიღმარტვის სწმუდამოდ გა-
მრთაჩვავა თავისს ძველს თუფუნებით ცხოვ-
რების და გახდა მწიარად. მან სსმეოლა ტანისა-
შისი ღარბი-ღატაკებს დაურჯავა და თვითონ
მარტო უფთაული წამოსასხამი დაიტოვა; გა-
დაწვევითა წასულიყო ქადაქ რიჯავრისში.
სიღმარტვის გატონილი ჰქონდა, რომ ამ ქა-
დაქის მახლობლად ცხოვრობდნენ მწირები,
თავისი სიბრძნით სხელ-განქმულები. ხან-
გრძლივი წამებით დაისუსტა სხეული, აუწე-
რულის მოთმინებით იტანდა სიღმარტვივს,
ქარიშხლს, წვიმას, შიმშილს და წუერვიდს,
მაგრამ ბოლოს დანახს, რომ ეველა ეს გვე-
მს ხვეულისა მანებ ვერ შეულის მიხსნაღმბი

მახლოებას. ის გადავიდა განმისილკელთა სა-
ზოგადოებაში.

განმისილკელი ისეთი ხალხნი იყვნენ, რომ
შეღნიც უოკულის დონისიბებით ცდილობდნენ
სისრულისაღმბი მიღწევას, ისინი წრთავინდნენ
სულს, რომ ეველათერი მტკიცედ და ადუმი-
ფოთაბული სიმშვილით აეტანათ.

განმისილკელთა მშვიდობიანი ცხოვრება ძლი-
ერ მოეწონა სიღმარტვისს.

ბუღდა მიხვდა, რომ ჩვენი ცხოვრება სავ-
სივ ტანჯვითა და თავდაუსწვევლის სიმწუნა-
რითა. ის ამბობდა: „დაბადებული — უნდა
მოკვდეს. ეველათერი გაღამავალია. სწრაფი
მდინარე მიბინს და უკან აღარ ბრუნდება.
არავითარ ძილას არ შეუძლია დაუბრუნოს
ადამიანს წარსული სიცოცხლე. დილით ჩვენ
გვხვდავთ რომელსამე საგანს, სადაამოთი კი
მას ველარ ვაბოლობთ. განა დირს მოჩვენე-
ბული ბედნიერების უკან დევნა?!”

არის მხოლოდ ერთად ერთი სათვისუფელი
და თავშესაფარი სულის სრულის სიმშვიდისა
(ნირვანისა), რაც ნიშნავს: სრულს მისვენე-
ბას, დუმილს და დაურღვეველს ბედნიერებას.
ამას მიადწევს ადამიანი მხოლოდ თხიხ უმად-
ლესი ჭეშმარიტიის შეცნებით.

თვითონ სავა-მუნი ასე გვეხატავს ამ თხის
ჭეშმარიტებას: „მშანო, აი მაღალი ჭეშმარი-
ტება ტანჯვისა: დაბადება ტანჯვას, სიბერე
ტანჯვას, სიკვდილი ტანჯვას, საუკრულად ადა-
მანისს განმორება ტანჯვას, მოკლე ადამიან-
თან ახლო ეოფნა ტანჯვას, სერვილის ასრუ-
ლების მიუწვდომლობაც ტანჯვას.

„აი, მშანო მაღალი ჭეშმარიტება ტანჯვა-
წამების წარმოშობისა: ეს არის სიცოცხლის
წუერვილი, ეს არის გაცატება სურველებისა
და ვსებათა დასკამოფილებლად.

„აი, მშანო, მაღალი ჭეშმარიტება ტანჯვა-
წამების მოსზობისა: ეს არის სრულად უფრ-
ჭეთავა სიცოცხლის წუერვილისა, მისზობა
ვსებათა. ეველა ეს უნდა დავაბილ იქმნეს.

აი, იმანო, სიმართლის და ჭეშმარიტების
 გსებობ, რომელიც მიდის ტანჯვის მოსპო-
 ბისაკენ: ეს რვა კვარი გზაა, რომელსაც ჭევი-
 ან ჭეშმარიტი სარწმუნოება, ჭეშმარიტი გამ-
 ბელობა, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი
 საქმე, ჭეშმარიტი ცხოვრება, ჭეშმარიტი
 მისწრაფება, ჭეშმარიტი განზრახვა და ჭეშ-
 მარიტი ცნობა თავის-თავისა*.

ამ ჭეშმარიტებათა შეგნებით მივადწევით
 საუკუნო დამშვიდებას ტანჯვისაგან, მივადწევით
 ნიორვანს.

მაგრამ ამ სისრულეს მიადწევინ მხოლოდ
 ზოგიერთი ადამიანები, — ისინი, ვინც სულს
 აიღებენ ამ სიათელიურს ცხოვრებასზედ. მამუ-
 ტებულს ნაწილს ადამიანებისს კი ან შეუძ-
 ლია გააუმჯობესოს, ან გაცუდლოს თავისი
 მომავალი ცხოვრება.

ვისცნე ცუდი საქმეები საუღენთაო, — ამ-
 ბობდა საკია-მუხი, — იმის ტანჯვაც თან მიჭ-
 უვევითა, როგორც ბორბლებია მიჭვევობა კვალ
 და კვალ დარტყირთულს ცხოველს; ვისაც კარ-
 გი საქმეები უკეთობა, მას თან მიჭვევობდა
 ბედნიერება და სეტარება, განუშობრებლად,
 როგორც ანრილია*. ჩვეულისაზედ ვველგან
 სასტიკი და მუღმივი სიმართლავა გაუფიქრუ-
 ლი. უთველ საქმეს თავისი შესაფერისი ნაყო-
 ივი მოსდევს და ვერაფერ კერ ისინის ადამიანს
 მისი საქმიელის შედეგებისაგან*.

საკია-მუხიმ დააწესა: ვისცნე ცხოვრება უნდა,
 იმან შეიმდეგი წესი უნდა დიცვას: დიცვას
 ცხოველ არსების სიღრცხლე და არ მიადენის
 მას არავითარი ვნება, მტრითი ეშვრობოლეს
 სხვის საკუთრებას, იუვეს წმინდა, მართალი
 და სმ-ჭამაში ყობიერი.

საკია-მუხი ასწავლიდა: ადამიანები უნდა
 იუვნენ შშიდინი, მოწუალენი, გულშემტკივარ-
 ნი, უნდა იქმოდნენ უველადეერს, რაც საჭი-
 როა სხვისი ტვართის შესაისუბოქებლად სა-
 ვითრის კეთილ-დღეობისათვის; ის ურსევედ
 უველას ჭირს მაგრად დახვდომოლად და საკუ-

თარის უბედურობის დროს სასოწარკვეთილე-
 ბისათვის თავი არ მიეცა, ეზრუნა სხვა ხალხ-
 სზე. ის ამბობდა: უნდა იუვეთ უხვი, გასცემ-
 დეთ სამოწყალოს, აკეთებდეთ კეთილ საქმეებს,
 აჭმევდეთ გლახაკთ, ზრუნავდეთ სრეულთა-
 თვის.

კეთილს. უანგარო საქმეებს საკია-მუხი
 დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ზიხლდით
 უუერებდა იმ ადამიანებს: რომლებიც მხოლოდ
 კარგს სიტუებებს ლაზარავობდნენ.

საკია-მუხი უველას ერთობისკენ იწვევდა და
 გმობდა უთანასწორობას სხვა და სხვა წოდე-
 ბათა შორის. ის ამბობდა: „უერუმი (ბრამინი)
 არ განსხვავდება სხვა კაცებისაგან. ისიც დე-
 დის მუცლიდან არის ჩამობი, როგორც სხვე-
 ბი, რად უნდა იუოს ერთი კეთილშობილია და
 მეორე ბილწი?“

საკია-მუხის ცხოვრება ათასგვარი მწუხარე-
 ბითა და ამბობებით იყო საგლე, მხოლოდ
 მისმა რბილმა ხასიათმა და მეუფეთა და კარის
 კაცთა შორის შეძინებდა მთარველებმა დახ-
 სნეს იგი დაღუბვისაგან. თავის მტრებზე სა-
 კია-მუხი მას ამბობდა: „ადამიანს, რომელიც
 შე მტრობს, ჩემი უმანგო სიფარულის მიფარ-
 ველობის ქვეშ ვიყოლიებ, და რამდენადაც
 მეტს სიფარს მიშვრება, იმდენად მეტს სიკე-
 თეს ვუზამ“. საკია-მუხი ხშირად ეკანაიებოდა
 ბრამინებს და ბევრჯელ გამარჯვებულად ცამო-
 დიოდა. უმიადვრის მტრთა ბრამინთაგან
 იუვნენ ისინი, რომელთაც თავანთი ცხოვ-
 რების სახით ემითლათ საკია-მუხის განციტ-
 ხვისა.

მოწადეთათ შორის საკია-მუხის ჭეჟანდა ერთი
 შორეული ნათესავი, ბისაშელი, სახელად
 დავატა. იგი მულამ მურთა ადვისებოდა, რაც
 თავისი ბისაშელის წარმატებას და ბედნიერე-
 ბას დანახავდა ხლდე. მან მონინდომი საკია-
 მუხის ადგილის დაჭერა. ბევრჯელ მოკვდა
 დაუბირა, მაგრამ უკანსკელი იშორებდა ამ
 განსაცდელს, ან შეტაკება მხოლოდ მცირეთა.

დენი ჭრილობით თავდებოდა. სკავია-მუნის დიდის მოთმინებით და სიმშვიდით იტანდა უოკელგვარ განსადღვლს. ძმები სწიარდ შერიგდებოდნენ, მკვრამ მალე განშორდებოდნენ ერთმანეთს. დაფადტრამ თავისი სექტა (სარწმუნოება, წვალებლობა) დაარსა, შიგ ცხოვრების შკადრი წესები შეიტანა. ის თუვისის ჭამასაც უკრალაგდა, რადგანაც თუვისიც ისეთი სუფლდემუღია, რაგორც სხვა ცხოველი არსება; არც რძის სვაშიდა, რადგანაც ის ხბორებისათვის არის დანიშნული; ტანისამოსის შეუქერავს იცვაშდა, რომ მეტი შრომა არ მიუქნებინა მკერვალთათვის.

თუმცა მტრები ასე სსსტიკად სდევნიდენ სკავია-მუნის, მკვრამ ამ უკანასკნელის მოწაფეთა და მიმდევართა რიცხვი მაინც თან და თან მატულობდა და მისი მოძღვრებაც თან და თან ვრცელდებოდა ხალხში. სკავია-მუნის მოძღვრების წარმატების მიზეზი ის იყო, რომ თავისი მოძღვრებით სკავია-მუნის ბრამინების მსგავსად, მარტო ერთს რომელსამე წოდებას არ მიმართავდა, არამედ მიიღეს ხალხს წოდების გახურჩვევად, რაც წაისდ ინდოეთში არ იყო. ბრამინები ხალხს გაუგებარს მეტნიერულს ენახედ ასწავლიდნენ. სკავია-მუნის ეი უოკელთავის მდაბიო ხალხს გასაკებ ენახედ ესუბრებოდა, მკაფიოდ და გარკვეულად. როცა ხალხთან დაიწყოება საუბარს, ის მოუკვიბოდა ცხოვრების სსსტიკ და პატიოსნურ წესებზე, თუითონ ჰირველი ასრულებდა ამ წესებს. ეველაზე უფრო ინლოელებს აკვირებდა და იტანებდა სკავია-მუნის არა ჩვეულებრივი სიმშვიდე, მისი ხალხისადმი სიყვარული, ეველს გაჭირებულთა, მაშვარლთა და ტუერთ-მომიუთა უსახდვრო გულშემატკივრობა და უმთავრესად მისი ქადაგება ხალხთა შორის თანასწორობისა და ძმობის დამყარების შესახებ.

ეველსე უფრო დაახლოებულნი, პატივცემული და სავარელი მოწაფე სკავია-მუნისა იყო ანანდა. სკავია-მუნის ძლიერ უყვარდა იგი

თავისი რბილი და მშვიდი ხასიათის გამო. ერთხელ მოგზაურობის დროს დადლილ-დაქანცულმა ანანდამ წვალი სიხოვა დასაღვევად ტზაში შეხვედრილს დაბალი წოდების ქალს. როცა ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ იგი დაბალი წოდების არის და ეშინიან მიკარებით არ წაბილწოს იგი, ანანდამ უმასრეს: „წემოდო, მე არ გეკითხები არც შენი თვახისა და არც წოდების შესახებ... გაიხოვ, თუ შეგიძლია, წვალი დამაღვევიო!“ ბოლოს ეს ქალიც სკავია-მუნის ვტუვის შეუერთდა.



ბუღდა.

სკავია-მუნის შემოდიო თავისი მოწაფეებიც. სთავის ცხოვრების წესება, რასაც თვისი მაგალითით განამტკიცებდა. ვინც ამ საზოგადოებაში შედიოდა, აღიქმას სდებდა დაეცო სიღარიბე, უარს ეთქვა კერძო საკუთრებაზე, „გარდა, რასავიერველია, რსაყრებაში უსაჭიროესი ნივთებისა. წოდებრივი განსხვავება საზოგადოებაში არ არსებობდა, ეველანი თანასწორნი იყვნენ. დარბების თვისებას შეადგენდა გულ-წრფელობა, სიპართლე, სიმშვიდე, მიუდგომლობა და თავისი დარსების შეგნება. დარბობა ტანისამოსის სუფთად კარგხხილი

და შეკერილი ძველი ფარატისებო შეადგენდა. ტანისაგან მუდამ სუფთა უნდა ჰქონოდათ.

საზოგადოების წევრნი ან მოსახტრებში ცხოვრობდნენ და ან განდევნილ ტურქებში. დედა-ბუნები ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ცხოვრება არაერთი განიხილავდა მამაკაცთა ცხოვრებისადაც.

საკია-მუნის ქალაქის მღვდელურ და მრავალ განსართობანი ცხოვრება უნერხულად მიანდა დასამშვიდებლად, რომ ღრმა იფიქრებოდა და ახრებოდა განმსწავლულიყუნენ, რასაც ის მთითისოვლად საზოგადოების წევრთაგან. სოფლებში და ქალაქებში უფროსი ნებას მხოლოდ მცირე ხნით ახლევდა, როცა საჭირო იყო დღიური საზრდოს მოგროვება, ან როცა მას და თავისი მოწაფეებით ვინმე სადილად დახატებდა.

სე იცხოვრა საკია-მუნიმ 80 წელი. ბოლოს გახდა თავისი სამშობლოს დანგრევის და მახლობელ ზირთა დაღუპვის მოწმედ. კახილავსტა, საკიების სამთავრო, ჰატარა იყო. ამ სამთავროს თავს დაესხა უფრო ძლიერი სამეფოს კასლის მთავარი ვირუჟაკი. იმ იმედით რომ ვირუჟაკს დაარწმუნებდა სული აუღო თავისი განზრახვაზე, საკია-მუნის წავიდა კასალში. გზაზე მას შეხვდა ვირუჟაკი თავისი მხედრობით. საკია-მუნი ცდილობდა მოერიგებინა ვირუჟაკი თავისი სამშობლოსთან, მაგრამ ვერას გახდა. ვირუჟაკმა აიღო ქალაქი კახილავსტად და 100 ათასი მკვიდრი მთლად ახოწვეოდა. ამ უბედურების დროს საკია-მუნი და მისი მკვიდარი ახანდა ქალაქის მახლობლად ერთი ჭალაში იფიქრენ. ამ მოადრად მებრძოლთა კეთილმა, ხმლები წახა-ჩიხი, მომავლადგოთ კენეს-გოდების ხმა. „ღირსულად მათი ბედით“ წარმოსთქვა მას, აუარდა თავისი ტყვიადი, გაწვა მოწახუნდ და წახუნდა წამოსასხამი ზირისახეზედ, რომ არ ეჩვენებინა თავისი მოწაფისათვის, თუ რა ტანჯვა-მწუხარებამ შეაბოროტო იგი. როცა მტრები უკუიქცნენ, ღამით შეიპარა

ქალაქში და დაიწყო ხეტიალი. სანგრეგობითა და დახტოდ თანამემახულეთა მოიქცინეს ქუჩებში. სასახლის ბადი, სადაც საკია-მუნი ბავშვობისას თამაშობდა, მოიქცინი იყო ახლ-გახდა ქალების გვაშებით; რომელთათვისაც მტრებს ხელ-ფეხები დაეჭრაო. ზოგნი მათგანი ჯერ კადევ ცოცხალი იყვნენ და გულსაკლავად კენესდნენ. საკია-მუნი ნუგუში ცემდა მათ. შემდეგ იგი განშორდა დასტრეულად გილას.

რაკი ივრძო ქვეყნიერი ცხოვრების დასასრულის მოახლოება, მიმართა თავისი მოწაფეებს უკანასკნელის სიტუებით, რომ ისინი მოთმინებით მოხურობდნენ სხვა ხალხის რწმენას. სიველიდის წინ მას ურთულ კადევ გაუმეორა ახანდას თავისი ანდრძი—მტვიცედ დაეცო მისი მოძღვრება და აღაშურა თვალი ზეტეს. ახანდა მწუხარებით შესტყუროდა თავისი ძმის, მეტობრის და მასწავლებლის უკანასკნელ სულ-მობრძობას; სიტოცხელ თან და თან ჰქრებოდა, სული მორდებოდა დიდებული მასწავლებლის მოქანტულს სხეულს. უკანასკნელ ამოხრახუნდ საკია-მუნიმ წამოსთქვა: — არაა არს საუფრო!

მოკვდა 543 წელს ქრისტეს დაბადებამდის. შვიდი დღის მზადების შემდეგ მისი ცხენადრი დიდულად გასვენეს ქალაქის დამოსაფლეთის კარებთან და დასდევს კატონხედ დასწავლად. დაწვის შემდეგ მისი ფეროელი შეგროვებს თქროს ტურქულში და მოწაფე; განათლებული დიდებული მოძღვრის სახელის მატყვისაგებლად შვიდი დღე იუქმეს. ბოლოს იმ ადგილას, სადაც საკია-მუნის ცხენადრი დასწავს. აღბარეს ძველი წარწერათ.

საკია-მუნის მიმდევრები ჯერ უფურებდნენ მას, როგორც ზნეობრივი სისრულის მაგალითის, შემდეგ, როგორც ქვეყნის მფლობელს, ბოლოს იგი შეიქმნა მათთვის დემონად, რომელსაც დღესაც ლოცულობენ.

თავ. მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

თავადი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი ეკუთვნის იმ ქართველთა მწერართა ჯგუფს, რომელთაც დაამყარეს ჩვენი რომანტიული პოეზია და გააცნეს ჩვენი საზოგადოება ევროპიელი ლიტერატურის მიმდინარეობასთან. მიხეილ თუმანიშვილი ჰმოქმედობს სამწერლო ასპარეზზე იმ დროს, როდესაც დიდებული ნიჭით აღბეჭდილნი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, ფაქიზად გადაწერილნი, ეფინებოდა მთელს საქართველოს. თუ ნ. ბარათაშვილი გულწაფთრობითი კილოთი საფუძველს ყუყრდა „მსოფლიო გოდების პოეზიას“ ბაირონის, შატობრიანის და ლერმონტოვის ზედგავლენით, — მ. თუმანიშვილი წინ უძღოდა იმ მიმართულებას, რომელიც რომანტიზმს რეალური ელფერით ამკობდა, ოცნების სამყარო ზეციდან ქვეყნად ჩამოჰქონდა. ამიტომაც მ. თუმანიშვილი უფრო პუშკინს ეტანება, ვიდრე ლერმონტოვს. აღზრდა და განათლებაც სწორედ იმ დროს მიიღო, როდესაც რუსეთის პირველ ხარისხოვანი მწერალი პუშკინი ჰქუხდა მთელს სახელმწიფოში და მისი თხზულებანი დაუსრეტელად იზრდავდნენ მკითხველს საზოგადოებას.

მიხეილ თუმანიშვილი ეკუთვნის იმ გვარს, რომლის წარმომადგენელნი ვადმოსახლდნენ ძველად საქართველოში და აქ იჩინეს თავი, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე სამწერლო ასპარეზზე. მიხეილის მამა, ბირთველი, ბატონიშვილს ვახტანგ ირაკლის ძესთან მდივნად ირიცხებოდა. უმცროსი ვაჟი ამ ბირთველისა, მიხეილ, დაიბადა 19 მაისს 1818 წ. სოფ. ხელ-

თუბანს, გორის მაზრაში. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო გორში სასულიერო პირთან, შემდეგ ნათესავებმა მისცეს ტფილისის ახლად დაარსებულს სათავადაზნაურო პანსიონში, შემდეგ პირველ გიმნაზიად გადაკეთებულს. ამ სასწავლებელში შეასრულა სწავლა 1836 წ. და მაშინვე ჩაირიცხა სამსახურშიც, რადგან უნივერსიტეტის გზა მისთვის მატერიალური ხელმოკლეობის გამო დახშული აღმოჩნდა. სამსახურის უღელს გულსმო-



მ. თუმანიშვილი

დგინედ ეწეოდა, მეტადრე მებურჯალე მონაწილეობა მიიღო გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების საქმეში. ამიტომაც 1864 წელს იგი დანიშნეს უფროსად იმ კანცელარიისა, სადაც ნაყმევი გლეხების მოწყობა სწარმოებდა. ათის წლის შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა და ჩაირიცხა ნამესტნიკის რჩევის წევრად.

თუმცა სამსახური ბევრს დროს და მოცალეობას ართმევდა, მაინც მიხეილ თუმანიშვილი მწერლობას თვალყურს ადევნებდა და შემდეგ თითონაც აიღო კლა-

მი. იგი ამ დროს თერამეტ-ცხრამეტის წლის იქნებოდა. პირველი მისი ლექსი დაწერილია 1838 წ. და ორნაირი გავლენისა ბეჭედი აზის: ერთის მხრივ ქართველთა პოეტების, გრ. ორბელიანის და ნ. პარათაშვილის და მეორეს მხრივ რუსეთის მგოსნის—პუშკინისა, რომლის თხზულებით გატაცებული, ზოგიერთი მთვანი ქართულადაც ვადმოიღო. ელვგია უდაბნო სახეა მკმუნვარე გრძობით და მკთალი უიმედობით. იგი გვისურათებს ჯერ „უდაბნო ბნელს“, უმზეს და გვერანებულს, ქარიშხლის სამეფოდ გადაქცეულს. იქ წარმოდგება განმარტოებული მაღალს კლდეზე, ციური ცეცხლით ჩამომწვარი, გადმოკიდებული „მწუხარე ხე“ და ამას შეადარებს თავის უმწეო ბედს:

ეს არს, მოყვასხო, გჯახს ლეში ბედა!
 მცნ კვრე ჯიქენ დდე განაშვარა:
 ვერდა შეახლას ტუბილი იმედი,
 ვერდა აფავდექს მით გუელი მკენარი.

იმ დროს, როცა ეს ლექსი დაწერილია, ყველანი მოსთქმით სტეროდნენ: ერთნი ნამდვილს დანაკარგს აფიქვედენენ ცრემლებს, მეორენი წაბაძვით ოცნებით წარმოდგენილს წყუბარებს დასტრიალებდნენ. ლექსი საღაბურია, როგორც უდაბნო სწორედ უღაბოდ მიფერფლილს აღტაცებას დაჰქენის. „იყო დრო“, როცა უნაღვლევი საღაბური არაკრკებდა სასიხარულო ხმებს და მას ღამის დუმილში მოსახადა ტუბილი იადონი. „იყო დრო“, დაატკობდა მას გრძნეული ბუნება, სიყვარული, თავისუფლება... მაგრამ გულმა გაიღვიძა „ზრუნვათათვის“, მაცთურმა ოცნებამ დაულეწა „ოქროვანი ხატი ოცნების“, დასლო მას კისერზე ჯაქვი სოფლისა,

სადაც კრილდება მგოსნისა მხურვალე გული, სადაც სკვებთან უწმინდესნი სულის გრძნობანი.. და უმასხობად განიფანტნენ ტუბილი უღრანნი.

ასეთი გულის კნესა ისმის ნ. პარათაშვილის ლექსებშიაც. ეჭვი არ არის, რომ მ. თუმანიშვილმა ამ დროს ახალგაზდობის ტრფიალის შხამი იგემა და, როგორც სჩვევია ამ კაცის ცხოვრების ხანას, ცოტათი სული აღიშფოთა. ამის სულის ვითარებას ამოწმებს შემდეგი ლექსი ღამე დაწერილი სიღნაღს მისიში 1838 წ. გაზაფხულის დამთარობელი შემოღამება საუცხოვოდ არის აქ დასურათხატებული, ოდესაც

ვით შაღიმანნი სავარდის თვალნი
 ცით ვარსკვლავებში ზედაგანათან
 და ფუფუნებით ნელნი ნიაფნი
 სუნნელეებსა გაჩემოჰქვარანი.

წალკოტში ვარდი ნახად ღვივიან, ბულბულნი ტუბილად მათ დამღერინა, კამკამი წყარონი მობუტბუტებენ და ჩანანს ეღერის მსგავსად „შემოვარენსა ამუხიკებენ“. ამ დროს საერთო სიტუბობის სურათით გატაცებულს პოეტს აღენთო გული, რადგან მან იგრძნო „ჟამი აღთქმული“.

ნამდვილ მოფრენით, გინდ მანქენებით,
 მოგედ, ღეილაგ, შამაზურ ხეგენს
 თვალნი ადმოგხე ნათელ მოხედვით
 ხმითა ციურით აჰე სქენს.

ფანტაზიით შექმნილი ლეილას ხატება „ძოწია ღიმილით და გიშტრის შტოებით“ უზიანებს მას გულს და ჩანგსაც დამწვარს ხმაზე აწყობინებს. „ფიჭრი მისი შეგნეო სევდას, ბნელი დაღამება ეფინება მის ნაღვლიანს გულს“ და ეძებს ამ უიმედო გრძნობათა გამოთქმას ნათარგმნს ლექსშიაც „კაჟიგა გრაფ როტოპინისა და კერნისადმი პუშკინისა“. პოეტის ხშირად

უბრუნდება სიყვარულის ბუნების შეგნებას და მის ძალის გამოცნობას. ფაალაშია, რომელიც პოლონურად სთარგმნა ლ. ზაბლოცკიმ, სიყვარულის წყურვილის დაცბრომას ჰპოებს ხორციელს ეშხში, „ბაგეთა ძოწნაში“. მაგრამ ამ გვარი ტრფიალი, როგორც „ნაცალი ფიალი“ არ აქმაყოფილებს განსპეტაკებულს გულისკემას. ამიტომ იგი იმოწმებს ჩონგურს, რომ მისთვის სანეტაროა ის დრო, „ოდეს სიმებს განუცხადებდა თვისსა ჭირებს“, ესე იგი სიყვარულს იკლავდა „დამარხული მოგონებით“, სულიერი ოცნებით. ამიტომაც მას სატრფო წარმოდგენილი ჰყავს ლექსში, უცნობი პირისთვის მიძღვნილში, როგორც „ანგელოზი, ცისა მცხოვრები“, რომელიც „უცნოს ცის ქვეში გარდახვეწილს და დაობლებულს“, ამშვიდებს მის სულის „აღრეულებას“ და ნუგეშის ცემით განსდევნის მისს შავს ფიქრებს. მოგონება-შეხვ. (1838 წ.) უდროოდ გულმოკლული პოეტი თავის თავს განამხნევეს პუშკინისებრ და იტყვის:

იქნება კადვე სხეს კმუნეთი მიმჭრალებელს
გარდემალის სჯადოდ დამაღი სისხრუღისა.

იგი მიესწრაფის შორს ამა სოფლით, „მუნ საცა ცხოვრების ნათელ მთიები არ დაბნელდება კმუნვის ღრუბლით“... სად სიტკბოება არს უსყიდელი და სიყვარული სულს ათბობს მარად. ამ გვარი იდეალურ-რომანტიული მისწრაფებით დაავიროგვინა თავისებური შეხედულება სიხარულზე და სიყვარულზე.

ზემო მოყვანილი ლექსები დაწერილია 1836—1838 წლების განმავლობაში, დროებით შესწევითა მწერლობის შრომა და მხოლოდ 1842 წ. კვლავ ვხედავთ

მას სალიტერატურო სარბიელზე, რრდესაე რუსულად გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდა რამდენიმე ფელეტონი ახლად დაარსებულს ვარანკოვის დროს ქართულს თეატრზე“ და მწერლობაზე. ხოლო 1857 წელს იგი დაუბრუნდა ქართულს ლიტერატურას, მიიღო მონაწილეობა ჟურნალს ცისკარში, სადაც მას ეკუთვნის პუბლიცისტიური წერილები სათაურით „სალაყ-ბო ფურცელი“.

ამ ფელეტონებს, მახვილი და მარტივი ენით დაწერილს, დიდი გავლენა ჰქონდა მკითხველ საზოგადოებაზე და მომკვდავს ჟურნალს სული ჩაუდგა. „სალაყ-ბო ფურცელში“ იგი ეხება სხვა და სხვა საქირ-ბოროტო საგანს და ამათ შორის გამოდის მუხრვალე მცველად ქართული ენის და მწერლობისა.

მიხეილ თუმანიშვილს მიუძღვის ერთი შესანიშნი ლეაწლიც. იგი იყო იმ პირველ მთარგმნელთაგანი, რომელთაც ყურადღება მიაქციეს რუსულს მწერლობას და სპარსული გავლენის აღგლისა გამეფეს ევროპიელი ლიტერატურის მიმართულება. მან სთარგმნა რამდენიმე ლექსი პუშკინისა და ამისავე პოემა ბაღჩი საზაის შადრევანსა და შემდეგ რამდენიმე სტენა „Камennyй Гость“-ისა.

მიხეილ თუმანიშვილმა თავის ძალღონე შეაღია სახელმწიფო სამსახურს და უეცრივ გარდაიცვალა ანთებისაგან 2 თებერვალს 1875 წ., როდესაც ორმოცდა თექვსმეტის წლისაც არ იყო შესრულებული. მისი ლექსი უდაბნო ორჯელ თთარგმნა რუსულად ი. გრინევსკას და ს. ამირაჯების მიერ.

ა. ხახანაშვილი.

სხვა და სხვა ჩვეულებანი საინგილოში

(ეონოგრაფიული წერილი)

უნძრახობის დღე.—წვიმიანობა და კოტიკი.—ხინკალხანობა.—სამღთოები და მათი მნიშვნელობა.—საყდრები, ძველი სალოცავები ინგილოებისა და მათი მნიშვნელობა.

უნძრახობის დღე. საინგილოში მწუხრის კვირის ხუთშაბათს უნძრახობის დღეს ეძახიან. ამ დღეს დილა აღრიანად ოჯახის უფროსი ადგება დილა აღრიან ისე, რომ ხმა არავის უნდა გასცეს და უძრახი უნდა გავიდეს სახლიდამ. გარედ გასული უფროსი ოჯახისა უპირველეს ყოვლისა სახლს შემოუვლის ირგვლივ და ყოველ მხრიდამ ნაცარს შემოაყრის მთელ სახლს, იმის ნიშნად, რომ ზაფხულში ქინკველა აღარსიდად მიუდგება სახლსა და აღარაფერს წაახდენს სახლშიო. შემდეგ ქერსა და აცენის ბოძებს ჯოხს მიუკაუნებს, იმ მიზნით, რომ ბუზი დაფთხება და ზაფხულის განმავლობაში აღარ შემოვლენ სახლშიო. ასევე მიურახუნებს და შეხანხალებს აბრეშუმის ქიის ლასტებსა, იმ მიზნით, რომ ავადმყოფობა რამ არ გაუჩნდეს ჩვენს აბრეშუმის ქიასო. ამის შემდეგ ცულს აიღებს და წავა ბალ-ვენახში, მოუღერებს ცულს იმ ხეებს, რომელნიც ან სრულიად არ ისხამენ, ან ძალიან კოტასა და როცა ცული უკვე დამიზნებული აქვს, ამ დროს სახლიდგან ჩუმად გაყოლილი რომელიმე წვერი ოჯახისა დაუყვირებს:—ნუ სჭრი, თავი დაანებე; პირობას იძლევა, რომ დღეს უკან ყოველთვის კარგად მოისხამ და უნაყოფოთ არას დროს არ დარჩება. ამ სიტყვების გაგონებაზედ უნძრახი არც ხმას იღებს და არც იხედება იქითკენ, საიდგანაც ხმა მოესმა, ის მხოლოდ ფიცხლავ თავს ანებებს იმ ხეს და ახლა სხვა ხეხილთან მიდის. ამ რიგად ჩამოუვლის უნძრახი ყველა ხეხილსა და ზოგიერთს ვაზებსა, ყველას ცულს მოუღერებს, ხოლო ყოველ ცულს მოღერებაზედ თან გაღვენიებული კაცი ნებას არ აძლევს

მოსჭრას. როცა უნძრახი ბალ-ვენახს მორჩება, მერე კარ-მიდამოს უბრუნდება და თუ სადმე გამოუსადეგარი ბალახია, ქინკარი ან ანწლი ბართ უნდა ამოავდოს იმ იმედით, რომ ამ დღეს ამოვდებული, გამოუსადეგარი ბალახი მეორე წელიწადს აღარ ამოვავა.

კოტიობა. საინგილოში შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ აჩინებული წვიმები იცის ხოლმე. ზოგჯერ ისეთი გაუთავებელი წვიმები ასტყდება და ისეთი გაუთავალი ტალახი და ლაფია ყველგან, რომ ფაზზედ გასვლაც უქირს ადამიანს, არამც თუ სახნავ-სათესად და სამუშაოდ მინდორში წასვლა. აი ამისთანა დროს იცინ კოტიობა, რომელიც ქართლის ლაზარობას მოგვაგონებს, იმ განსხვავებით, რომ ლაზრობა უწვიმობის დროს იცინა. ხოლო კოტიობა ავდრიანობის დროს გამოსადარებლად. წვიმიანობის დროს შეიყრიან ხოლმე თავს სოფლის ახალგაზრდა ბიჭები და მთელ სოფელს ჩამოივლიან კომლეთულათ. ყველას წინ მიუძღვის ბელტი, რომელსაც ხელში უქირავს კოტიკი. კოტიკი წარმოადგენს დიდს არა ჩვეულებრივ დედოფალს, რომელსაც ქალის ტანისამოსი აცვია და მისი მორათულობა აქვს. ვისთანაც მივლენ ქისკარებს დაუკაუნებენ, შევლენ ეზოში და შესძახებენ:

კოტი, კოტი, კოტმატი,
 კოტის საღამო მიგვით კიჭო! კიჭო!
 დღეს მოგვეცით თქველი
 სვად გამოვა მზეო კიჭო! კიჭო!
 ბუგანს თუ მოგვეცით გყო ბეჟოვებათ,
 ცოტა თუ მოგვეცით ქალი გავიჩნდებთ,
 ისიც ჯგანში გავიკვებთა კიჭო! კიჭო!
 სუნ მშვიადობით, თქვენ გამარჯვებით.

ამ უკანასკნელ სიტყვებს „კიჰოს“ ყველანი ერთად მიიძახებენ ხოლმე. სახლის პატრონი გამოუტანენ ფკვილს, ყველს, კვერცხებს, ბრინჯსა და სხვას. ამისთანავე ყველა, რასაც უწყალობებენ თეთრი ფერისა უნდა იყვეს. თუ ვინცობა რომელიმე სახლის პატრონმა არაფერი გამოუტანა, მაშინ გააგორებენ კოტიკს ეზოში და მიიძახებენ: — კრუხ-წიწილა ც გაწყდომითო კიჰო კიჰო... ამ წყევლის ძალიან ეშინიანთ დიასახლისებს და ხელცარიელს არას დროს არ გაუშვებენ ხოლმე კოტიკს. როცა მოივლიან მთელს სოფელს და საკმარისს სანოვავეს შეაგროვებენ, მაშინ ვისიმე ეზოში მიდიან, დროს ატარებენ და თან ყველანი შესთხოვენ ღმერთს, რომ აკმაროს ხალხს ამდენი წვიმები და მზე ჩქარა დაანახოს დედამიწას.

ხინკალხანობა. ხინკალხანობა ყველივრის უკანასკნელ სამს დღეს იციან. ამ დღეებში რთავენ ერთ-ერთ სოფელს, აცმევენ რომელიმე მომსახურის, უფრო კი ბოქაულის ტანისამოსს და ზედ ჰკიდებენ მელღებს, ეპოლეტებს და სხვა აზგარს მორთულობებს, შესვამენ ცხენზედ და კარი-კარ სოფელ-სოფელ დაატარებენ.

ხინკალხანს თან სდევს მეზურნეები და სოფლის ახალგაზღობა ზაირალებით. ხინკალხანი მთელის ამალით შედის ყველგან, დაუკრავენ ზურნას და დიწყობა თამაშობა-შიპრობა. სახლის პატრონები გამოივებებიან და თითონაც მოწაწილეობას მიიღებენ შიპრობაში. როცა შიპრობით გულს იჯერებენ, მაშინ ხინკალხანის ერთი მხლებელთაგანი დიძახებს, რომ ხინკალხანს ამ ოჯახისათვის შეუწერინა ამდენი და ამდენი (ათი შაური ან ანაზი) ჯარიმა და სახლის პატრონი მოვალენი არიან ეხლავე გადახადონო. გამოაქვთ

ფულად ვისაც რამდენი შეუძლიან და ამისთანავე უმასპინძლებიან ხინკალხანს და მის ამაღს. მიართმევენ ღვინოს, პურს, ხორცეულობას, ხილს, ერთის სიტყვით ვისაც რით შეუძლიან.

ამ გვარად ჩაშოველიან სოფელს. მესამე დღეს ნაშოვენ ფულის ნაწილს მეზურნეებს აძლევენ, დანარჩენით კიდევ ხორაგეულობას ჰყიდულობენ და ქვიფს ეწევიან, თვით ხინკალხანს კიდევ ამ ქვიფის დასასრულს ტლაპოში ამოწუმპლავენ და ისე გაისტუმრებენ სახლისაკენ. ეს ჩვეულება ეხლა თან-თან ჰქრება.

წმინდა ხეები. ხშირად შეხედებით საინგილოში მოგზაურობის დროს გზების სიახლოვეს განმარტებით მდგომ დიდ ხეებს, რომელთა ტოტებიც საესევა სხვათა შორის მრავალის კრეღის ჩითეულობის ნაქრებით. ეს ჩითის ნაქრები სხვა და სხვა სიგრძის და ფერისებია. გარდა ნაქრებისა ხეებზედ ჰყიღია თოკები, ბაწრები, რკინეულობა, ლურსმის და ნალეების ნანტრევეები.

ეს ხეები ხალხის რწმენით წმინდა ხეებით ითვლებიან და თუ ადამიანმა გულით სთხოვა რამე, უსათუოდ აღსრულდებაო. აქ მიდიან ავადმყოფნი მოსარჩენად, ვისაც უმთავრესათ კბილები, თავი ან თვალები სტკივა, მივა ამ ხესთან, შესთხოვს და ეტყვის: — გაიგე წმინდაო ხეო, შენთან მოვედი, განმკურნე ავადმყოფობისაგანაო. ამ სიტყვებთან ერთად რამდენჯერმე შემოუვლის გაწმეო და თან გამოწასკილს თან მოტანილს ჩითის ნაქრს ჩამოჰკიდებს. ამ ხესთან მიდიან ისინიც, ვისაც რამე სათხოველი აქვს და შესთხოვს შეუწერულოს ნატვრა. ქალი, რომელსაც ვაჭრევილი არა ჰყავს, მიღის ხესთან. შეევედრება და ზედ ჩამოჰკიდებს შვილდ ისარს. მეცხვარე, რომლის ცხვარიც ვერა

ხეირობს, მიდის, ჰგრებს მატულის პატარა ბაწარს, ჰკიდებს ზედ და ალტქმას უდებს თუ მას ცხვარმა ამის შემდეგ იხეირა, უფრო დიდს ბაწარს მიართმევს და სხვა და სხვ.

გარდა ამგვარის ხეებისა ყოველს სოფელში არსებობენ დიდძალი უზარმაზარი ხეები, რომელნიც შარდ-შეკრულებსა ჰშველიან. აღამიანს თუ საქონელს შეეკერის თუ არა შარდი, მაშინვე ამ ხეებთან მიჰყავთ. რამდენჯერმე ირგვლივ შემოატარებენ, შესწირვენ რამდენიმე შაურს და შესთხოვენ ავადმყოფობისაგან განთავისუფლებას. ხალხს დიდათა სჯერა და სწამს ამ ხეების შველა.

სამღთოები. სამღთოები საინგილოში მარტო ბრინჯის თესვის დროს იციან ე. ი. მისის პირველ რიცხვებში. სამღთოებსა მართავენ იმიტომ, რომ ბრინჯის კარგი მოსავალი მოგვიდესო. მოგვხსენებათ, რომ უბრინჯოთ ინგილო არ ვარგა, ბრინჯი იმისთვის იფიფა, რაც ქართლელთათვის ლობიო და მგერელისათვის ლომი და სწორედ ამის გამო, რომ მარტო ამ თავის საყვარელ საქმელს უქეთებენ ხოლმე სამღთოს. წინ და წინვე დანიშნულს დროს იკრიბება სოფლის უბანი და სადმე სოფლის გარეთ გრილს ადგილს ჰმართავენ სამღთოს. ჰკლავენ ყორებს და ამზადებენ სხვა და სხვა საქმელებს, ისე კი რომ ყოველივე საქმელს უსათუოდ ბრინჯი უნდა ერიოს. სამღთოს გამამართველნი სუფრაზედ ერთმანეთს ადღერძებდნენ და უსურვებენ, რომ წელს უფალმა ღმერთმა შეიწიროს მათი სამღთო და კარგი მოსავალი მისცეს ბრინჯისა.

საყდრები. საყდრები—ეს ძველი სალოცავებია ინგილოებისა. საყდარი წარმოადგენს ასწლოვან უზარმაზარ ხეების ქალას, რომელნიც წმინდა ხეებათ ითვლებიან და რომელთაც ვერც მოსკრას ვინმე და ვერც ტყუილ-უბრალოდ შეახებს

ხელს. თუ ვინცობაა ეს წმინდა ხე ქარმა მოსტება, ან სიბყრის გამო წაიქცა, იქვე უნდა დალაპეს და გატიალდეს, მისი წაღება და დაწვა არავის შეუძლიან. ასეთს წმინდა ხეების შუაგულში სდგას რამდენიმე დიდი ქვა, ან კიდევ ზოგიერთს შემთხვევაში ნაეკლესიარი ადგილია და მისი ნანგრევები ან საძირკველი არის დარჩენილი.

საყდრების წარმოშობა ასე უნდა იყვეს. როცა საინგილოში ლეკთა ბატონობა დამკვიდრდა და ინგილოთ არ შეეძლოთ საქვეყნოთ ეკლესიებში ღვთის ვედრება, მაშინ ყველა გვარმა თავისთვის გაიკეთა პატარა ნიშები ქალებში, სადაც ფარულად მიდიოდა სალოცავად. ასეთი საყდრები ყოველივე გვარს აქვს, მაგალითად ოთარანთ საყდარი, თამაზანთ საყდარი და სხვ. ამ საყდრებთან მიდიან დღესაც აღდგომასა და მარიაობას მიეცის ოჯახობით და იქ იხსნილებენ. ანთებენ სანთლებს და აკმევენ საქმელსაც. თან მიაქვთ სასმელ-საქმელი, ქათმები ან ცხვარი და იქვე ჰკლავენ. ამისთანა საყდრებთან ზოგჯერ მთელი დღეობები იმართება ხოლმე. ამ საყდრებთან აქვთ ხოლმე ქვევრები, რომლებშიაც ზედაშები აქვთ ჩასხმული, მაგრამ რადგანაც ბოლო ხანებში ღვინის ქურდობა დაიწყეს, ამიტომ ბევრმა ქვევრები ამოაძრო საყდრებიდან და სახლში წაიღო.

საყდრები ყველა სოფელშია და რადგანაც წმინდა ადგილებად ითვლებიან, ხალხი მათ სუფთადა და კარგად ინახავს. ხალხის შეხედულობით ამ ადგილებში ღვთის ფრთიანი ანგელოზები ჩამოდიან ზეციდან და ანათებენ ხოლმე საყდრებს. მოხუც დედაკაცებს, რომ ჰკითხოთ ისინი დარწმუნებით გეტყვიან, რომ ამა და ამ დროს ღმერთი ანგელოზები ჩამოვიდნენ და მთლად გააბრწყინეს საყდრის ხეებიო.

ზ. ედილი.

ავადმყოფი

საბძეღმა უთხრა კარსაო:
 „რას მონდგომიხარ კარსაო?
 ბზეს შემოიტან ერთ მუქას,
 გაიტან ათასს ძარსაო!“

„ნურც თქვენ ენდობით მკურნალსა
 შემოჩენილსა, გრძნეულსა!“
 ურჩევდა ოურმე ქაბუა
 „ზაქი ქამია“ სნეულსა.

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა“.
 ძველებს არ უთქვამს ტყვილადა!
 საწამლავს შემოგაპარებს
 ორგული თავლზე ტკბილადა!“

— ეგ არაფერი, ქაბუა,
 ბევრისგან გამოგონია.
 „ხავს ვეჭიდები“ მეც ვიცი
 მაგრამ რა მეტი ღონია?

შენც ხედავ კარზე გვადგია
 ქირი რამ გაუკითხავი...
 ქონის დადნობას ვინ სჩივია?
 არც ხორცი შეგვჩჩა, არც ტყავი.

მოყვარე გადამთიელი
 მპირდება განკურნებასა.
 მოსულა ქრისტეს სახელით,
 იფიცავს მასვე მცნებასა.

ჩემი სატიკვირის შემგნებიც
 უნდა ჩემსავით იწვოდეს!..
 თუ მომატყუა იმან და
 იმისმა ღმერთმა იცოდეს!.

მგელი თუ ძაღლი მგლის ვერი
 რომელიც შემქვამს ერთია!
 აწ ველარ გავსტებ ჩემს სიტყვას,
 თავდები თვითონ ღმერთია!..

ეს თქვა და თვალი დახუჭა,
 ბრძანა: „გააქვრეთ ლამპარი!..
 ბნელაში ძილის მომყვანი
 მითხარით ვინმემ ზღაპარი“!..

ყველა მოშორდა, აქ დარჩა
 ქაბუა ორბგლიანი:
 და ზღაპარს ეუბნებოდა
 უკულმართ ბედის მჩივანი:

იყო და არა იყო რა...
 სცხოვრობდა ერთი მგლია,
 დაუდგა უკულმართი დრო,
 საკვები შემოეღია.

მიეკრა წელზე მუცელი
 შიშშილით ხდებდა მას სული!
 და იწყო გამწარებულმა
 აქეთ და იქით ცუნცული.

ნაოხარ ადგილს მიადგა,
 დაძუნძულობდა, დარბოდა;
 დიდი ხნის გაცივებული
 სოფელი რაღას არგოდა?

ხეტილის დროს უკარო
 ნახა პატარა სამღებრო;
 შიგ ქური დახვდა თავლია
 და გაუშინჯა ვითომ ძრო.

შიგ ჩაჰყო თავი, ჩახედა,
— რას ეძებს? რა ეგულება?
აუსხლტა ფეხი, ჩავარდა
უეცრად!.. გახდა ძირს ტვლება.

შიგ საღებავი მდგარიყო,
ამოიწუხნა მელია;
ძლივს ამოფორთხდა წველებით,
ძალ-ლონე შემოეღია.

მოედვა ღლია ძლიერად,
ლიანის ფერი ედვა მას!
გმობდა უკულმართ ქვეყანას,
სწყველიდა მშობელ დედ-მამას.

ტყვილა დახარჯა უბრალოდ
სამღურაგ-საყვედურები:
ამოიძუა შერცხვენით
და ჩამოჰყარა ყურები.

ალარა გაეწუხა რა—
სიქვა—საქმეს უსაშველოსო!
მე მოგახსენებ სხვა ფერმა
ტყავი არ დამიძველოსო?!

რაც ვიყავ. ისევ ისა ვარ
ჩვეულებით და ზნითაო!
რას მიზამს ფერის გამოცვლა
და ისიც ცოტა ხნითაო?

თავს ნუგეში სცა და ძველ გზას
გაუდგა ისევ ნელ-ნელა.
ვინც შეხვდა, ჰკითხა ამავეი,
მან მოატყუა სუყველა.

უთხრა: რათ გიკვირს ნეტავი
ეს უცნაური ფერიო?
ის ალარა ვარ, რაც ვიყავ,
ახლა ვარ წმინდა ბერიო!

სულს შევეუდექი, ცოდვების
აწ მონანება მინდაო;
იერუსალიმს მივიღვარ,
იქ უნდა გავხდე წმინდაო.

თქვენც გირჩევთ სულზე იფიქროთ,
შეუდგეთ ჩემსა კვალსაო.
გადახდა უნდა ამ სოფლის
ხორციელ სესხს და ვალსაო.

გაბრიყვდა ზოგი პირუტყვი.
და აედევნა მელასა!
როგორც მოწაფეს მოძღვარი
წინ მიუძღოდა ყველასა.

შიგ მოჰყვა ერთი მამალი,
ერთი ოფოფი და ძერა;
მელას ხელშია იმათი
უკულმართ-ბედისა წერა.

რომ დაღამდათ, ერთ ქვებში
შევიდნენ, დაისადგურეს—
ვით განდევილის წესია
ლოცვის წინ კარი დახურეს.

მოდღვარმა უთხრა მოწაფეთ:
უნდა სიქვათ აღსარებაო!..
სამ ცოდვას ღმერთიც შეგინდობს
და მეოთხეზე სწყურებაო.

რალა გზა ჰქონდათ? დათანხმდნენ,
მიჰყვენ ცბიერის ნებასა
და გულში აღარ ელოდნენ
საწყლები გათენებასა.

წადგა ბრალმდებლად მელია
და საკანონოს მომხდელად;
გამოგონებულ ხრიკებსა
თავზე ადებდა მათ ხელად.

ზოგს ეს შესწამა; ზოგს ისა,
სასჯელიც გადაუწყვიტა—
წაველო პირი და ყველას
იქავე თავი წასწყვიტა.

ახა ელასა, მელასა
ძილი გაამოსთ ყველასა!
სხვა რაღა მოეთხოვება,
გინდ ბერად შესდგეს მელასა?..

სიქვა და წამოდგა მოზღაპრე,
გათავდა.. აწ კი კმარაო!..
მაგრამ სნეულმა მიუგო:
ჯერ სულ არ გითქვამს, არაო!—

რათ დაგავიწყდა ოფოფი
და მწვეარ მეძებრებო?
სიკვილის წინეთ თავდებსა,
მეც იმას ვევედრებო!

აკაკი.

თოხიანი

(მაჩკამას)

საუკუნოთ სიმძიმისგან წელში მოხრილი,
დაპყურებს მიწას, თავის თოხზედ ის დაყრდნობილი;
მისს ზურგზე მთელის ქვეყნის ტვირთი დაგროვებულია,
მისს სახეზე-კი უაზრობა გამეფებულია.

ვინ მოუსპო მას სიხარული და მწუხარება,
იმედ-მიხილი, უგრძნობელი შეპქმნა არსება,
დააბეჩავა, დააჩლუნვა, ვით სახედარი?
რად დაშვებია ასე ძირს ყბა, მხეცისა დარი?
მის სახის კუთხე ასე რა ძალს წაუწყვეტია?
ღვთიური ცეცხლი მის ტვინში რომ ჩაუშრეტია?

ნუ თუ ეს არის. ვინც განგებამ შეპქმნა მფლობელად
ხმელეთის და ზღვის, ვარსკვლავთ სრბოლის გამომცნობელად
და ცათა შინა ფარულ ძალთა მიძიებელად,
დროთა უკუნის საიდუმლოთ მისაწვდომელად?
ნუ თუ ეს არის ნაოცნები მზის გამჩენელის,
ნათლის სვეტებზე ცის ლაქვარდის დამყარებელის?
თვით ჯოჯოხეთის მთელს სივრცეზედ უფრო საზარელს
ვერ შევხვდებოდით ვერასოდეს ამაზედ სახეს,
უფრო ცხად პროტესტს წინააღმდეგ კაცთა სიხარბის,

უფრო სწორ მთხრობელს მომავლის უბედურების,
უფრო მრისხანე გაფრთხილებას ქვეყნიერების!

რა უფსკრულია მასა და ღვთის ხატებას შორის!
რას ნიშნავს მისთვის, მონისათვის მუდამის შრომის,
პლენიადების მოძრაობა, აზრი პლატონის?
მისთვის არ არის არც სიმღერის ტკბილ ხმოვანება,
დილის სიტურფე, არც ყვავილთა მშვენიერება;
საუკუნეთა ტანჯვას ხატავს სახე, საზარი,
და საუკუნო ტრაგედიას პოზა მწუხარი;
კაცობრიობა, თვის უფლებებს მთლად მოკლებული,
შეურაცხმნილი, გაჩარკული, მოტყუებული,
ამ სიმახინჯით ქვეყნის მსაჯულს პროტესტს უგზავნის,
თანაც წინასწარმეტყველებას საზარ მომავლის.

ბატონ-პატრონო და გამგენო ყველა ქვეყნების!
ნუთუ ეს არის საჩუქარი თქვენგან ღვთაების?
ეს სახე რაღაც გაქვავებულ საშინელების?
შესძლებთ-ღა განა მის სხეულის კვლავ გასწორებას,
მის მხედველობის გაფართოვებ-გაზროვნებას,
მისთვის ოცნების, ჰარმონიის კვლავ დაბრუნებას,
მისი არსების კვლავ უკვდავებით გაცისკროვნებას?
მოსპობთ-ღა განა უხსოვართა დროთ შეცოდებას,—
მისს მუხთალს ჩაგვრას, განუკურნავ დასახიჩრებას?

ბატონ-პატრონო და გამგენო ყველა ქვეყნების!
მომავალი მას რანაირად გაუსწორდება?
რანაირ პასუხს მისცემს მაშინ, როს ოდესმე ის,
რომ ანგარიში მოითხოვოს, ზე წამოდგება?
რაღა დარჩება სამეფოთა და მმართველთაგან,
რომელთაც იგი მიიყვანეს ამ გვარ ყოფამდის;
როცა მოითხოვს ის მაგიერს, ზარ განხილთაგან,
შემდეგ ათასთ წელთ დაუსჯელად ფარფაშ-ნაფარდის?

დუბუ .მეგრული.



ბნელი ძალა

(თარგმანი)

ტყავის ფეშქაშის მტარავლებმა შერე-
კეს დატუსაღებული ზირუტეები, მსხვილ
და უშო კედლებიან ქვის ბოსელში, რომლის
ზატარა სარკმლიდან შედიოდა ცოტა სინათ-
ლე. შეჭვარეს და წავიდნენ. კარებიც დაკეტეს.
უწყალთა ქვის სატუსაღოში. ზირუტეებს გუ-
ლი უდონდებოდათ. ზირუტეები განგვიფრებით
შეჭეულებდნენ და სუნავდნენ კრომანეთს. „რის-
თვის მოგვამწყვდიეს ქვის გველეშაპის მუტელ-
შიო?“ მისივე თხვრით ჭკითხავდნენ ერთმანეთს.
ბნელი სისიშე აწყობდა მათ გულს, უძი-
ლებდათ სულის თქმას. მხოლოდ ხავს მოვი-
დებული ცივი კედლები რამდენიმე საუკუნის
მოწმინა იფენენ მომავლადგათა სულის გვეთები-
სა, სასოწარკვეთილების გამოშეტეველების;
ეს კედლები დაღვრემილად ურეს უგდებენ.
ბრმა-ძალა მტრად მუცრნი მტრია. უნო შე-
ნობა ბებერ კაცი-ჭამიას მოგავგონებდათ. და-
ტირეს ველურებმა რწმენით აღვილი ბავშუ-
ბი; შეუკრეს ხელ-ფეხი, დაჭვარეს ცეცხლის
ზირს, თვითონ კი წავიდნენ დასძინებლად.
არ ძინავს მხოლოდ ერთ კაცი-ჭამიას. დღემუ-
ჭილი თორი ტუსებით ურელ დეჭვადნენ
სიტყვებს მხოლოდ მისთვის გასაკებს; ცრემლ-
მოწოლილი და დაწირვინებული თვალებით
აღივს ხედავდნენ დაწოლილს უშეკი მსხვერპლს,
მის სულელურს სახეზედ მხოლოდ ერთს ამო-
კითხავდით: „უნდა ვუყარაულო, არ გაიპარო-
ნო“.

II

ზატარა დეკეულმა, რომელიც ყოველთვის
სისხრულით ელადებოდა ყოველ დღისს მზის
ამოსვლას, გადაავლო ფიქრანი თვალები და
მისი გული... გული, რომელიც ხვალ შეიწ-

ვის სამსარეულოში ტაფასედა, შეიკუმშა ნა-
ღვლიან წინასწარ გრძნობით. სასოწარკვეთი-
ლებამი ჩავარდნილმა ნადვლამანად წარმისთქვა:
— შეე—შეე!
ეს ცუდი ნიშანი იყო. დედის გულმა ვერ
მოითმინა —

— მამ!... რა შეილო?
შუე! სთქვა დეკეულმა: — შეშინია.
— დამშვიდდი, ჩემო კარგო!

სადამო-ყავს ეოველთვის გავიწყვდეკვი.
კათრდება დილა და მწყემსებიც მოვლენ.

წითელ ძროხას თვითონ არ სჯეროდა, რომ
დამწყვდევა კარგათ გათავდებოდა, მაგრამ,
შვილის სიყვარულის გამო, ატეუილებდა მას.

— შეე—შეე! კვლავ დაიდრიალს დეკეულმა
და მის დარდს კიდევ მიემატა მწარე ნადე-
ლი და სასო-წარკვეთილება: —

დედა! შენ საყვარელო და დობიერო დედა,
რისთვის არ ცდილობ, რომ გამომიხსნა ამ
განსაცდელიდან?

იგი ნახვევი იყო დედის შვიარველობას.
დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთ-
ხელ შემოდგომის დღეს დაიფარა მკლისკან,
მუორეკერ ცოფიან ძაღლისკან, რომელიც
აკვო რქებსედა.

— შე—შე! ჩუმთა შეილო, ნუ გეშინია!
დედა ატეუილებდა მას, მაგრამ გულში კი
სტიროდა, რომ შვილი განსაცდელში იყო.
შვილის მშვიდად ყოფნა სიცოცხლეს ერ-
ჩინა.

III

ნიკორა ხარბა უური მოჭკრა მათ საიდუმ-
ლო ლაპარაკს: ძლიერ უჭირდა, რად ატეუი-
ლებდა დედა შვილს.

— შეე! შეე! — დაიბდავლა მან, და ამ ბღა-
ვიღში გამოიხატებოდა მრავალი მწუსარობა,
შეგნება, უღონობა, და ტანჯვა.

— რისთვის დაგვიპეტეს ამ წყეულ ბოსელ-
ში!

სთქვი, სთქვი შენ, თვალებს რომ სუჭავ
შიშის ღრთს:

მაშინ გაიგო დეკეულმა, რომ მათ რაღაც
უნჯაური საქმე მოეღისთ — მომავალ ბრმა
ძალა ურუ-მუნჯად არ არის გადაქცეული. ნიკო-
რა ხარი წინამძღვრათ თვალებოდა ნახიროში,
და ყველას ნდობა ჰქონდა მთავრებულში, მისი
ბღაველი ნიშანი იყო საერთო ამბობების
მოსახლენდა.

დაიწყო სპინელი ღრიალი. ეს ღრიალი არ
იყო ნიშანი საბალახოდან შინ დაბრუნებულის
ნახიროსა, მშვიდად მომავალ პირუტყვებისა:
იმაში იხატებოდა უმჯყოფილება, სიბრახე,
წუხილი და სიკვდილის ნიშანი. თეთრი ხარი
ჩუმთ და ბრახიანათ ჰგოთხავდა ბოსლის კუთ-
სეს:

რა ღაფუძავთ ტუავის ფეშტემლან ჟალა-
თებს?

— გამიშვით მინდორში, მინდორში სითხო-
და ტიგურს. სული მესუთება, ამ ოხერ ცი-
ხეში.

- ჰჯერი! ჰჯერი! ბღაოდა თეთრი ხარი.
- თავისუფლება — ამოიხვნეშა წიქარამ.

IV

თითოული ბღავილი სიკვდილით დასას-
ჯელთა უიმედობის გამოხატველი იყო, გულს
უბობდა დანახენებს და ივრებდნენ უგანსკელ
ძალ-ღონეს.

ნიკორას სცოდნავდა იმუქრებოდა.

— შე ღვაბუხლებ მათ დასახლისთან, რო-
მელად ვუყვარვარ.

უსლურების გამოხატველი ბღავილი, მძიმე
ამოხვნეშა, ოღნად ხვლებოდა კაცის-ქაშისას

გულ-მკერდს და გაიჭიმებოდა მისგან ისე,
როგორც ბაჭია მარხობელა კველის პირ-
ში.

დეკეული ისეუ კითხვად ღელას, რატომ
არ არის ის გულკეთილი და არ უნდა გადაარ-
ნინოს იგი გასცდელს? ნახიროს წინამძღვლი
ბღაოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— შე არ შეგწვევტ უფირილს სნამ არ
ღაფანტრეუ ამ კედლებს! იფირეთ ყველამ, ვი-
საც არ გინდათ ნებყოფლობით გაუშვიროთ
კისერი ჟღლასთ!

იფირეთ ყველამ, რომ ღაინტრეს ეს წეუ-
ლი კედლები!

— ყველამ, ყველამ! ბანს ასლევდა თეთრი
ხარი — არ გვინდა აქ დამწეუდევა!

V

წითელი ძროხს ამ აურ-სახურსად ატეობდა
რა სპინლად მოქმედობდა ეს უფირილი თავის
შიღლესად. იგი სთხოვდა:

— გა — გა — ჩუმდით ძმებო! რისთვის
დაგვხოცნენ! კათენდება და გაკაიშებენ მწვანე
მინდორსად.

— გატეუებენ! ბღაოდა თეთრი ხარი
თქვენ ვერ გრძნობთ სისხლის სუნს? აქ ხოც-
ვენ ჩვენს ძმებს.

ნახიროს წინამძღვრამ მოიკრიბა ძალა.

— მი — მიშველეთ! სახურავი უკვე ირუქა.
რკინის სახურავი თითქო შეინირა კიდევ ახ-
ლად ამონახეთქ ზიხდისა და უგმაყოფილე-
ბისკენ.

წინამძღვლმა დაიწყო მიწის თხრა. თვალ
წინ უელვარება ცენტლის რკალი. მამცურად
აიმართა უგან ფეხებსად და მუბლით დაეჭა-
ხა კედელს... მგონია შემოიხილება, — მი —
მიშველეთ! — მეორედაც დაეჭახა, — თითქოს
სუნი შემოვიდა სუფთა ჰჯერისა. ჩუენ წინ
არის თავისუფლება!... კიდევ დაეჭახა.. მოული
კუნთების პატარა საწვდიც კი სიცოცხლეს,
თავისუფლებას და ჰჯერს თხოულობდა.

VI

ერთ და უფერულს უმთა ბოსკელს ჩასძინებოდა და ბორბუბის მოსალოდნელ წვედიადში ჩაეთვლო ჰატიმარნი.

ცოტ-ცოტათ ზოგნი მიჩუმიდნენ. ოჲ! ჩვენ დგვივიწვებენ? ფიქრობდნენ ისენი.

წინამძღოლი იწვა თავდავიწვებული, გულწასული.

დკეშულიც მურს უკვებდა დედის სანუგეშო სიტყვებს და ჩუმად იყო. წითელი ძროხა ხორკლიანის ენით ულოკავდა ბალანს კისერზედ და ლოყებზედ თავის შვილს.

VII

გამოდვიძებულ ქალაქის სხაურთბა მოისმა სქელ კედლებს შუა. ბოსელმა გაახილა ამღვრეული თვალები და შეუშვა ცოტათ სინათლე თავის მუცელში.

ჰატიმრებმა იგრძინეს, რომ მათ არ დაივიწყებენ.

ნიკორა წინამძღოლს არ შეეძლო, ღონემხიდილი სხეულის განძრევა. „რა იქნებაო?“ ოხზრიდა იგი.

VIII

უცხად მეგდარი ბოსლის მხეგური ზირი გაიღო და შემოეშვა ჯალათები. ხარებმა გადაწვიბიტეს ვაჟ-კაცურად დახვედრობდნენ და მხად იყვნენ შებრძოლებოდნენ და ისე დახსოცილიყვნენ.

დკეშული გამტერებული თვალებით შეეუბრებდა დედას.

— როგორა ეს: განა ეს სპინელი კაცები ჰკვებან მწვემებს?

წითელი ძროხა სხარელი წინა გრძობით გასმსჯელებული ჩურჩიულდა:

არ დაგანებებ, არ დაგანებებ — აღერის ცრემლი ბლომად ჩამოსწვეთდა ლოყაზედ შვილს. ერთმა მოსულთაცანმა თაკი მოსდო დკეშულს და წათრია ღართან, სადაც სისხლი მისჩუხჩუხებდა. დედა თან გაჭყვავა, მაგრამ უბრძანეს, მოეცანდა სანამ მისი ჯური მოვიდოდა. წითელმა ძროხამ დანახა როგორ იელვა ცულმა და მისი შვილი წაიქცა ეელ გამოტკრილი.

სახურავი შეინძრა წაქცეული ცხოველის გულწმინდარე დანემით.

წინამძღოლი წამოხტა. — აღსდგე! წამოდგე! დაარღვიო!

გმირული ძახილი, უგუნური საშინელება, გოდება შურის ძიებისა... სახურავი თრთოდა და კედლებიდან ქვიშა სცვივოდა. მაგრამ ჩაქუჩის შემოკვრით წინამძღოლმა თავი ჩადუნა, თითქოს ფიქრობს რაღაც გაბედულს და გადაჭრილსო, სულ მდაბლები ჰატიმბას თხოულობდნენ.

სხაურთბა თან-და-თან მიწვდა, ერთი მეორის წინ ცვივოდნენ ძირს ჰატიმრები. მათს წითელს, ჯერ კიდევ თბილს სხეულს სჭრიდნენ ნაწილ-ნაწილად, მიჭიონდა ხალხს თავიანთ სხსლებში, არ ფიქრობდნენ კი, რომ რამდენიმე საათის წინად თითოეული ნაჭერი სიცოცხლით იყო სავსე.

საეს მოკიდებული ბოსელი-კი კიდევ მოედის ახალს მსხვერპლს.

აი სად არის ბრმა ძალი.

ვალეიკო.

წუწკი მშიერის მასპინძელი

(იგავი „ქიღლა და ღამინდან“)

ერთ დედაბერს კატა ჰყავდა, გამხდარი და სულ მშიერი, თავის მეტი არ ენახა სკამადი სხვა-ნიერი. *)

ზაფხულის დღეს მეზობლისას ერთ მოგვარეს მოჰკრა თვალი, რძით განაზარდს ბურვას ჰვავდა, და ნაეარდი ჰქონდა მალი.

გაოცებით მიაქანელა—

„ჩემო კარგო და დობილო, მასე რამან გაგასუქა, ხორკათ რომ ვერ გჯობნის სპილო?“
 მან მიუგო: „მე ყოველ დღე ვიარები მეფის კარსო, და როს ლხინათ დასდებიან, თევზს ვიტაცებ, ხორცს მსუქანსო!“

— „თუ მაგრეა, მაშ, იცხონე მამა-პაპისა სულიო, წამიტანე მეც ნაღიმათ გამაცან ხორცის სუნია“!..

წაიღენ... პირობა შეკრეს

სატევაარი **) და საგერი, წინ მაწვეველი მიკნავის, უკან წვეული, მშიერი... ხელმწიფის სრასა შევიდენ, ლხინი აქეს მეფეს ბედნიერს... ნერწყვს ყლაპვენ ორივე კატები: საქმელებს ხელდენ შვენიერს. შეახტენ სუფრას სიმკვირცხლით, და ხოტყსა კბილი რა გაჰკრეს— მეფის ფარეშთა იმ წამსვე ორთავეს კეტები დაჰკრეს! გაძღომის ნაცვლათ საწყლები გამოასალმეს სიკოცხლეს... სორა-ხერეულეში თავგებსა დიდათ იაშთ ეს, რა ცნეს...

ასეა თქმული ძველთაგან, მისი სიმართლე ჩვენც გვეჯერა: „ბრმათ ნუ ედებით საშოვარს, ალთქმა ყველასი ნუ გჯერა!“
 თ. მაგამაძე.

შენანებული ცოდვირი

(ლეგ ტოლსტოისა)

ძვეყანაზედ სამოცდა ათ წლამდი სცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც მთელი თავისი სიკოცხლე ცოდვებში გაეტარებინა. გახდა ავად ეს კაცი და ცოდვების სინანული არ უგრძენია. ხოლო როდესაც სიკვდილი მოუახლოვდა, სიკოცხლის უკანასკნელ ეამს იგი ატირ-

და და სთქვა: „მეუფეო! ვით ჯვარცმულ ავაზაკს, შემინდე მე!“ ეს წარმოსთქვა და სულიც განუტევე. შეიყვარა ცოდვილის სულმა ღმერთი, იწამა მისი მოწყალება და მიადგა სამოთხის კარებს.

ცოდვილმა დაუწყო კარებს კაკუნი და სასუფეველში შეშვებას ვეღარებოდა.

ამ დროს კარებიდან მოისმა ხმა: „როგორი ადამიანია კარებს რომ უკაკუნებს და რა საქმენი მოუძღვის მას?“

*) სხვა—ნიერი=სხვანაირი, სხვა რამ.

**) სატევაარი=თავ-დასასხმელი.

პასუხად ბრალმდებლის ხმამ აუწყა ყველა ამ კაცის შეცოდებანი, რომელსაც რა არის ერთი კეთილი საქმეც არ აღმოაჩნდა.

მაშინ კვლავ გაისმა ხმა კარებიდან: „ცოდვილთ არ ძალუძთ დაიშვიდრონ სასუფეველი ცათა, განვედი აქედან!“

ცოდვილმა სთქვა: „უფალო! მესმის ხმა შენი, ხოლო სახეს ვერ ვხედავ და სახელი შენი არ ვიცი“.

და მიუგო ხმამ: „მე—პეტრე მოციქული ვარ. ცოდვილი შევედრა: „შემიბრალებ მე, პეტრე მოციქულო, მოიგონე ადამიანის სისუსტე და ღვთის სათნოება. განა შენ არ იყავი ქრისტეს მოწაფე, მისი ბაგეთაგან ისმენდი იმის მოძღვრებას და ხედავდი იმის ცხოვრების მაგალითს? მოიგონე, — როდესაც იმან დაიწყო მწუხარება და ურვა, სამგზით გთხოვა შენ ფხიზლად ყოფილიყავი და გელოცნა, შენ კი დაგეძინა, რადგან თვალნი შენნი დამძიმდნენ და მაცხოვარმა სამჯერ მძინარე შეგისწრო. აგრეთვე გაიხსენე ისიც, მაცხოვარს რომ დაპირდი სიკვდილამდი არ უარგებო მისი სახელი და როგორ გატეხე შენი სიტყვა— უარპყავი ის, როდესაც უაიაფასთან მიპყავდით. აგრეთვე მეც“.

„მოიგონე მამლის ყვირილიც, რომლის შემდეგაც შენ გარედ გამოდი და ატირდი. ასევე შევედი მეც. შენ არ უნდა დამიხშო მე სამოთხის კარები“.

ამის შემდეგ მიწყნარდა ხმა.

ცოდვილმა ცოტა დააყუნა და კვლავ დაუწყო კარებს კაკუნი.

ახლა კარებიდან მეორე ხმა მოისმა: „ვინ არის ის კაცი და როგორ ცხოვრებას ატარებდა. ის ქვეყანაზე?“

ბრალმდებელმა კვლავ განიმეორა ცოდვილის მიერ ჩადენილი ცუდი საქმენი.

და გაისმა კარებიდან ხმა: „განვედი აქედან, შენისთანა ცოდვილთ არ შეუძლიათ ჩვენთან ერთად სამოთხეში ცხოვრება“.

ცოდვილმა სთქვა: „უფალო! მესმის ხმა შენი, ხოლო სახეს ვერ ვხედავ და სახელი შენი არ ვიცი“.

ხმამ მიუგო: „მე—მეფე და წინისწარმეტყველი დავითი ვარ“. ცოდვილმა გული არ გაიტეხა, კარებს არ მოშორდა და ლაპარაკს განაგრძობდა: „შემიბრალებ მე, დავით მეფეც, მოიგონე ადამიანთა სისუსტე და ღვთის მოწყალება. ღმერთს შენ უყვარდი, რომელმაც ავამალა კაცთა შორის. შენ ყველაფერი გქონდა! სამეფოც, დიდებაც, სიმდიდრეც, ცოლებიც და ბავშვებიც, მაგრამ დაინახე რა ღარიბი კაცის ცოლი სახლის სახურავზეც, ცოდვამ დაიბუღა შენში, შენ წაართვი ცოლი ურიას და თვით ის ამონიტიანთა ხმლით განგმირე. შენ, ყოველისფრით მდიდარმა უკანასკნელი კრავი წაართვი ღარიბ ადამიანს და თვით ის დაღუპე. მეც ასე ვცოდებდი“.

მოიგონე შემდეგ ისიც. შენ რომ ცოდვების შენანების შემდეგ ამბობდი: „მე მაწუხებს შეცოდებანი ჩემნი და ვნანობ ჩემს ცოდვებსაო“. აგრეთვე მეც. შენ არ უნდა დამიშალო მე მანდ შემოსვლა“, კარებიდან მიწყნარდა ხმა.

ცოდვილი ცოტახანს შეჩერდა და მალე ისევ დაუწყო კარებს კაკუნი. კარებიდან გაისმა პესამე ხმა: „ვინ არის ეს კაცი და როგორ გაუტარებია მის თავის სიცოცხლე?“

პასუხად ბრალმდებელმა მესამედ ჩამოთვალა ამ კაცის ყველა ცოდვები.

კარებიდან გაისმა ხმა: „განვედი აქედან. ვერ ხელმეწიფეების ცოდვილთ სასუფეველში შესვლა“.

ცოდვილმა უთხრა: „შენი ხმა მესმის, ხოლო სახეს ვერ ვხედავ და სახელი შენი არ ვიცი“.

ხმამ უპასუხა: „მე—იოანე ღვთის მეტყველი ვარ, ქრისტეს საყვარელი მოწაფე.“

ცოდვილს გაუხარდა და სთქვა: ახლა თქვენ აღარ დამიშლით მანდ შემოისვლას: პეტრე და დავითი შემომიშვებენ იმისთვის, რომ უწყიან ადამიანთა სისუსტე და ღვთის სათნოება და სიბრალული. ხოლო შენ არ დაშაკავებ იმისთვის, რომ შენში ბევრი სიყვარულია. შენ არა ხარ იოანე ღვთის მეტყველი თავის წიგნში

რომ სწერ, —ღმერთი სიყვარულია და, ვისაც არ უყვარს, ის ღმერთსაც ვერ იცნობსო? შენ არ იყავი სიბერის ეპოს ხალხთ სულ ამ სიტყვებს ასწავლიდი: „ძმებო გიყვარდეთ ურთიერთითო?“ განა როგორ შემძულე მე ახლა და როგორ განმაგდებ აქედან. ან უარყავი შენ მიერ თქმული, ან შემოყვარე მე და შემომიშვი ღვთის სასუფეველში.

სამოთხის კარები გაიღო, იოანე გადაეხვია შენანებულ ცოდვილს და შეუშვა ის სასუფეველში.

8. კაკაბაძე.

ბუნების წიაღში

ბარიერაჟისას, როს კიანთი ვარსკვლავ-ცთომილნი სხლტებოდენ ცისა კაბადონსა ცახცახით, თრთოლით და ნარნარ ცისკრის ვერცხლის თმანი კულულად შლილნი ვრცელსა სამყაროს ეფინოდენ ბრტყვიალით, კრთოლით;

როს ნისლთა ზოლნი მთის თხემებზე შემობვეულნი სხივთა თამაშსა ვერ უძლებდენ, იკრიცებოდენ, საბაღნაროზე წმინდა ცვრებად ჩამოფრქვეულნი ყვავილთ ფერიებს კოკობ ტუჩზე ეპკურებოდენ;

როცა წუთები ფიქრო-ოცნების აღფრთოვნებისა ნიავის ფრთებით მიმოჰქროდენ მზატედ ეულად და ცისიერთა საუკუნო სასუფეველზე.

ტკბილის ჰანგებით უცხო ზღაპრებს მღერდენ გრძნეულად, —

აი ამ ღროს ყრმა ტან-ზარიფით და პირ მწყაზარი კორღზე გადმოდგა სიამაყით, გრძნობა მღელვარი, თვალი მოავლო ველს ლბილ მოლით გადაქარგულსა, მყინვარ-იალბუზს თოვლ-ყინულით მოვარაყებულს, ლაყვარდ ცის ტატნობს გადაწმენდილ-გადასარკულსა,

ცეცხლოვანს ეტლზედ გადამჯდარსა მნათობს დიდებულს
და განუსახლვრელ ნეტარებით აღტაცებულმა
წამოიძახა გულს ოცნების სხივ-ჩაისრულმა:

ვიშ, ამ ბუნებას თვალი წარმტყვევებელ სურათ-ხატებას,
დილის კისკასში მოციწარე მთებისა კრებას,
ფირუზ ტალღებში მოცურავსა სირთა მაყრიონს,
ნაკადთ ლიელივში აღბეჭდილსა ზეცის დაფიონს!

ჩაკ კი ნარნარობს, მოკველუკობს, მოსხივ-ცისკარობს,
შეერთებულა პოეზიის ნაზ თაიგულად,
შემოქმედების ძალთა-ძალსა ფეშს—მნათობთ მეფეს
ამ აღგილისთვის მიუძღვნია სიმშვენე სრულად.

ტურფავ, ტურფა არე-მარე,
მოციმციმე მონარნარე,
დღეს შენ შორის გარდვიქმენი
და წუთები აღმაფრენი
დღეს განვცადე, დღეს ვიგრძენი.

რა ვიცოდი აქამდისინ
უსრულებელ ტანჯვის შვილმა
თქვენი ესდენ მშვენიერება
გულს კაეშან განწოლილმა.

აწ კი... შორს, შორს ჩემგან ურეა,
ბედის შავი ავგაროზი,
მარად ვიმღერ შევარდნებერ
ვიზვიადებ ვით სპეროზი...

მაგრამ აქ უცბათ ხმა ჩაუწყდა გრძნობის მგოსანსა,
ბარიდგან ესმა განწირული სულთქმის გოდება,—
კიბრების ქვეშე დაჩაგრული მშობელი ქვეყნის
ფოთებ დამსხვრეული ქვითინებდა მწარე ოცნება.

გიემაე ტრფილით წამს მოხიბლულს მსახვრალი ხელი
კვლად დარია შავ გვირგვინით მკობილ ნაღველმა
და ბედის ჩანგი ციურ პანგთა გამომცემელი
უხვად აპკურა მოზღვავებულ მღელარე ცრემლმა.

დ. თურდოსპირელი

სადა ხარ?

მხვილმა დამკრა, დამკოდა,
გულს დამაჩნია იარა;
ცამ სეტყვა წამომიშინა
და მენმა გადამიარა!

ველზე დავდივარ ეულად,
სისხლი ჩამომდის ღვარადა;—
მტრის შოიმედე ნაკადად
და ავსულთ გასახარადა!

თავზე დამჩხავის ყორანი
ყრანტალით, ღრიანცელითა;
წყვედილი ჩანთქმას მიქადის,
შეიარაღდა ცეცხლითა!

ყვავილთ მგოსანი ბულბული
ჩირგვებში მიმალულია;
მისი სიმღერა—სევდაა
და ჰანგი—მწარე წყლულია!

შენ ამ დროს, სატროფოვ, სადა ხარ,
რომელს ამშვენებ მხარესა?—
ლაღობ, იცინი,—თუ კვლავ ღვრი
ჩემ გამო ცრემლებს ცხარესა!?

ვერ შეაჩერებს ტრფობასა
„გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისთვის ერთია ყოველი“.
სიხარული თუ გლოვანი!

თუ ფიქს აღარა ღალატობ,—
უნდა გაიჭრა ველადა
და გადალახო საზღვრები
ჩემივე საპოვნელადა!

მოჰფრინდი, ნაზო ბულბულო,
კლდე-ღრენი გადაიარე:—
ჩემი ტანჯული მხარისა
ამგებო გამიზიარე!

ეხლა მჭირია მე შენი
სიმღერა იმედინი!..
და თიგულად შეკრულნი
ვარდნი, ზამბახნი, იანი!..

რომ კვლავ მტრისა ბანაკსა
ვეკეთო მამაკურადა,
სულ „ვაი-დედა“ ვამახო,
გავენადგურო სრულადა!..

მაგრამ სიკვდილმა თუ მისწრო,
შენ იქ მიმღერდი ნანასა,—
მაშინ დასწერენ ჩემს ლოდზე
მთლად სიტყვებს ამისთანასა:

„უყვარდა... თავს ევლებოდა
ტრფობით აღესილი, მგზნებარე,—
მან-კი მტერს თავი შეაკლა
ამ ლოდს ქვეშეა მდებარე“!

პეტერბურგი
1910 წ.

ლადო გვიმჭკარი.

ს ი ზ მ რ ა დ

მითომ მომკვდარვარ, გაუვლავ
სამი-ოთხ საუკუნესა.

მერე ავმდგარვარ, არაგვის
პირპირ შეველევ ჰუნესა.

ვცნობ არე მარეს ტურფასა
ჩემის სამშობლოს მთა-ბარსა.
დაწუხებული გრძნობებსა
ვეღარ ვართმევდი თავწყალსა.
ჯერ არ ვიცოდი ნახული,
რას მიმზადებდა ამბავსა;
მამულისათვის მფიქრობელს,
მის მომავლისთვის დამწვარსა.

ერთგვარი შიშით შეკრული
მივალ ზეაუხედავი.
წინ შემეყარნენ კაცები.
„ვინ რა არიან ნეტავი?“
თავისთვის ვფიქრობ, ვერ ვჭკითხავ,
რალაცა გაუბედავი.

თავის სამშობლო, მამულში,
უცხო დუშმანიმც არიან!
სალამი მომცეს, დამიწყეს,
ქართულად საუბარია.
დახშულმა გულმა იფეთქა,
ბნელი გააღო კარია.
ისევ მქონიყო სამშობლო,
მისი მთა, მისი ბარია.

ვიხილე გარდაუვალი
შედგვი ისტორიისა:
სიყვარული და ერთობა,
კავშირი კავკასიისა
და მასში ბაიჩახტობა
მცხოვანი ივერიისა.

ვიხილე ჩვენი მამული
მდიდარი, განათლებული

და ბქენი მტკიცე იმისნი
ზეცამდის ამღლებულნი,
როგორც მყინვარი უძრავ ქვა—
კუთხეზედ გამაგრებულნი.

ტოლებიც დამოცხლებიყვნენ,
ჰყვოდენ დანათებულნი.
მივაქანებდით ცხენებსა,
ვმღეროდით დაღლებულნი.

ვგალობდით მშობლობურ ხმებსა
გუშას მთიურს და ბარულსა.
ლიხსიკითხვები ჰანგებდა:
რაქვეულს, იმერულს, გურულსა.
არაგველები არაგველს,
კახელნი კარდანახულსა
და მეტივეურსა ახლები
ნოტებში ამოკითხულსა.

ახლებს ვუყვარდით, გვხვდებოდენ.
პირზედ ამბორის ყოფითა.
ჩვენც „ვაშა!“ „ვაშას!“ ვაყრიდით
გადავიოდით ჰროშტითა.
ნეტამც სიზმარი არ იყოს,
გაქმდე იმათთან ყოფითა!

ალარ გვზარავდა სიკვდილი
მე და ჩემს ამხანაგებსა;
ალარ ვგონობდით სამარეს,
ქვა-მიწით ამონავებსა
და მგრძნობელ გულსა ქიათთვის
მიწაში გამოსადეგსა.

ჩვენი ჰოეტის არ იყოს:
„საფლავი დაკარგულიყო“.
სამშობლო—ერი წინ იყო,
ჩვენი სიოცხლევ იქ იყო.

ბაჩანა.

სოციოლოგია

II

სოციოლოგიური კვლევის საშუალებანი*)

ზირველ წერილში მე ვეცადე გამესაზღვრა სოციოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, შინაარსი და მისი მისწრაფებანი. ეხლა უნდა განვიხილოთ რა საშუალებას მიმართავს თავისი ველევა-ძიებაში სოციოლოგია. სოციოლოგია, როგორც მეცნიერული ცოდნა, ცდილობს აღმოაჩინოს ის დამოკიდებულებანი, რომელიც არსებობენ სხვა და სხვა მოვლენათა შორის. ასეთი დამოკიდებულება ხშირად დაფარულია, არა სხანს მამკებლისათვის, მაშინდავე უკანასკნელი ისე უნდა იქნეს შეიარაღებული, რომ აღმოაჩინოს კავშირი მოვლენებისა. მოვლენათა შორის კავშირის, დამოკიდებულების აღმოჩენა სავსარისი არ არის; მკვლევარმა უნდა გაითავლინოს სისათით და სურათით მოვლენათა კავშირის, ე. ი. უნდა შეიგნოს ის უზუჯესი, უმადლესი სული, რომელიც საფუძვლათ უდევს თითოეულ მოვლენას. თუ სოციოლოგია მიაგნებს მოვლენათა შორის არსებულ კავშირს, დამოკიდებულებას, შეიგნებს მიზეზს, ხასიათს კავშირისას, დარწმუნდება, რომ მიზეზი მოვლენათა დაკავშირებისას საზოგადო ხასიათისა არის, მაშინ სოციოლოგია აღმოაჩენს სოციოლოგიური მოვლენების **კანონს**, ე. ი. ისეთ აუცილებელ დამოკიდებულებას, რომელიც განისაზღვრავს მოვლენათა არსებობას.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში ბევრი ბანასი არის სოციოლოგიური კანონების შესახებ. არაინ ისეთი მეცნიერები, რომლებიც უარყოფენ სოციოლოგიურ კანონებს, ისინი იმ აზრისა არიან, რომ სოციოლოგიამ უნდა განისაზღვროს საზოგადოების, როგორც მთელის, ცხოვრება, მისი არსებობის ძალები, მხოლოდ კანონების აღმოჩენა, ამბობენ ისინი, შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არსებობენ ძალები, მოვლენანი, რომლებიც ძლიერ ხელა

და ნაკლებათ იცვლებიანო, როგორც ბუნების მეტეორელებში. სოციოლოგიის მცნების უმთავრესი სჯავია ადამიანი, ადამიანების კავშირი; ადამიანი კი თავისუფალი არსებაა, მამასდავე მისი მოქმედების, საქციელის შედეგი, უცვლელი მიზეზების აღმოჩენა შეუძლებელიაო. ამას თან დასძქენენ მეორე მოსაზრებას; ისინი ამბობენ, საზოგადოებრივი მოვლენანი რთული და დახლართული არიან, საზოგადოების შემადგენელი ნაწილების მოძრაობა და მოქმედება თვით ადამიანის სულის კვეთების, სულიერი არსების შედეგია, და მათი განსაზღვრა შეუძლებელია. ამ კითხვის განმკველევას აქ არ შეუდგებიან ამისათვის თავისი დრო დადებენ. მხოლოდ ხეობა აღნიშნული აზრის წინააღმდეგ ის თქმის, რომ სოციოლოგიური კვლევა და ძიების მასხანია რთულ და მრავალფეროვან სოციოლოგიურ მოვლენათა შორის აღმოაჩინოს ერთფეროვანი მოვლენანი; სოციოლოგია ცდილობს მოჭქებოს ისეთი მოვლენანი, ისეთი სურათები, რომლებიც შეიცვან ტიპიურ, საზოგადო თვისებებს. მამასდავე, ასეთი ძიებისათვის საჭიროა იარაღი, საშუალებანი. თუ ჩვენ სოციოლოგიას მეცნიერულ დროს რიცხვში ვაუქებთ, მამასდავე უნდა ვავითვალიწიროთ მისი ვლევების და ძიების იარაღები.

სოციოლოგია ასეთი მეცნიერებაა, რომელიც ცდილობს ასწერას, დასურათოს ცოცხალი თითოეული, კერძო მოვლენანი საზოგადოების სხეულისა; სოციოლოგია არა მარტო დაასურათებს მოვლენებს, არამედ დაუშირდაშირებს და დაუკავშირებს ერთმანეთს იმ მოვლენებს, რომლებს შემადგენელი ნაწილები აღმოაჩინა დასურათების, აწერის დროს. მამასდავე, უმათერესი საშუალება სოციოლოგიური კვლევის არის **დაკვიარება**. დაკვიარება აძლევს სოციოლოგს მოვლენის სურათს, მისი ნაწი-

*) იხ. „განათლება“ 1910 წ V—218.

ღების წარმოდგენას. თუ სოციოლოგმა დაკვირვებით აღმოაჩინა მოვლენის ნაწილები, იგი ცდილობს განსზღვროს და ერთად შეკრთოს სხვა და სხვა გვარი მოვლენების ერთფეროვანია ნიშნები, ე. ი. მეცნიერი მიმართავს **კლასიფიკაციას**. კლასიფიკაციას, მოვლენების თვისებების ურთიერთ შორის დაკავშირებას, დაზიარდაზიარებას თავისი მიზნის აქვეს; სოციოლოგი მოვლენათა თვისებათა შორის ეტებს საერთო, საზოგადო კავშირს, საზოგადო, საერთო კავშირის აღმოჩენა მისი არის შესაძლებელი, როდესაც მოვლენების თვისებებს, მის შემადგენელ ნაწილებს განვწმენდთ, მთავიშორებით შემთხვევითი ელფერს, ე. ი. ისეთ თვისებებს, რომელსაც აქვს მნიშვნელობა დროებითი. მაშასადამე, სოციოლოგია ჯერ გამოიკვლევს კერძო მოვლენათა თვისებებს და ხსიანს და შემდეგ კერძო მოვლენათა თვისებების განსზღვრვის, ცდილობს მიავსოს საზოგადო პირობებს და ძალებს, რომლებიც ამორჩავენ და ელფერს სდებენ სხვა და სხვა მოვლენებს. ცხადია, სოციოლოგიის სამეცნიერო აზრადია **ინდუქცია** და **დედუქცია**. სოციოლოგია, კერძო მოვლენათა შესწავლით, მათი განსაზღვრით მიმართავს საზოგადო საერთო მოვლენათა ახსნას, მხოლოდ, როდესაც შეკენებულნი არიან საზოგადო პირობები სოციოლოგიური მოვლენისა, მისი ასეთი ცოდნის შემწეობით შესაძლებელი ხდება კერძო და განცალკევებული მოვლენათა განმარტება. ცხადია, სოციოლოგია, გაითავალისწინებს რა კერძო მოვლენებს, მათი შეკენების შემწეობით მიმართავს უზღვევს წარტოლებს და ცდილობს შეიკნოს ის უზენაესი ძალები, რომლებიც შეადგენენ სოციოლოგიური მოვლენათა საფუძველს.

სოციოლოგია არ გამოყოფილდება დასახელებული საშუალების შემწეობით. სოციოლოგი იკვლევს მოვლენის თვისებას, მის ხსიანს ერთი ადგილზე, ერთი ხალხის შორის, ან სხვა და სხვა ხალხების შორის. ამასთან ერთად იგი ცდილობს გაავსოს რაზარათ იფუთა დასახელებული მოვლენა **დროთა მსვლელობის შემწეობით**. მაგალითად სო-

ციოლოგი იკვლევს დედაკაცის მღვთაშრომობას თვანში, იგი არ სჯერდება მხოლოდ ერთი ხალხის ან სხვა და სხვა ხალხების ცხოვრების მკაალითებს, არამედ იკვლევს რა მღვთაშრომობაში იყო დედაკაცი წარსულში და რა მღვთაშრომობაში არის, მკაალითად გამოკვლევის დროს. აქ სოციოლოგი **მიმართავს უკვე ისტორიას** და იქ ეტებს ზსუსხს. ამის გარდა სოციოლოგი არ სჯერდება მოვლენის გამოკვლევას ერთ ადგილზე, იგი იკვლევს იმავე მოვლენას სხვა და სხვა ადგილზე და სხვა ხალხთა შორის და, შედარებითი შესწავლის შემწეობით, გამოიკვლევს საკიისს. ამ შემთხვევაში გამოიკვლევს დროს დიდი ადგილი უზინავს **შედარებით გამოკვლევას**.

ამ უკანასკნელ დროს სოციოლოგიურ გამოკვლევაში დიდი ადგილი უზინავს **აღრაცხვას**, **სტატისტიკას**. მკვლევარი ცდილობს აღრიცხოს მოვლენანი, ცდილობს თავის ვილევას მიმართოს ანვარიუსს. მაგ. წევრ ვილეთ რა დამოკიდებულება არსებობს შურის ფასების შორის და ცოლ-ქმრობის კავშირის მომტებასა და ან შემტირებაში. ასეთი საზოგადოებრივი მოვლენის აღმოჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობის შემწეობით, რომ ადგილი შეიქნა საშუალო შურის ფასის გამოანვარიშება და საშუალოთ შეუღლების რიცხვის აღნიშვნა.

ზემო ნათქვამიდან სხნის, რომ სოციოლოგია თავისი ვილევას ძიების დროს მიმართავს სხვა და სხვა ხსიის საშუალებას: 1) ინდუქციას, 2) დედუქციას, 3) ისტორიულ მოვლენათა შესწავლას, შედარებით და სტატისტიკურათ. რასაკვირვებია დასახელებული საშუალებანი უფელოთვის ერთად გამოსადეგის არ არიან. უმჯობესია, სადაც შესაძლებელია, მკვლევარმა მიმართოს და იზმაროს ერთად დასახელებულნი საშუალებანი. ვინაიდან ეს უფელოთვის შესაძლებელი არ არის, სოციოლოგი მიმართავს იმ იარაღს, რომელიც უფრო ხელსაყრელი და გამოსადეგი არის.

სიმი. ავალიანი.

შინაური მიმოხილვა

საკითხი სტიჟენდების დასიშენის

ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანი და მრავალ შედეგადაა. ქართულ ჟურნალისტიკაშიც, როგორც გვახსოვს მიაქცია ყურადღება ამ საქირბოროტო და საშვილის-შვილო საკითხს, და ამ საშიოდე წლის წინედ „ამირანში“ ბ. თათარა-შვილის პირით (უიარაღო) გამოსთქვა პირუთენელი, სამართლიანი, მაგრამ მკაცრ-სასტიკი აზრი, რომ სტუდენტები, სხვა და სხვა მიზეზების გამო, არ ამართლებენ იმედ-მოლოდინს, მომეტებულ შემთხვევაში გამოდინ უსარგებლონი, გამოუსადეგარნი, სხვისი მონა-მოაჩინი და ამისათვის მათთვის აუარებელ საზოგადო ფულების დახარჯვა შეუწყნარებელი შეცდომა და თითქმის დანაშაულობააო. ბ. თათარიშვილის აზრით, ეს ფულები უნდა მოხმარდეს დაბალ სასწავლებლებს და იმ საქართველოს შვილებს, რომლებიც, სწავლის მიღება-შეძენის შემდეგაც; სამშობლოში, კერძოთ სოფლებში, დარჩებიან და თვის ცოდნას თანამომძეების განებრივ-ქუნებრივ გამ. გრეზას და განვითარებას მონახარებენ... ასე მკაუიოდ, გაბედულად და, ჩვენის აზრით, სამართლიანად აღძრულმა კითხვამ ვერ მიიქცია სამწუხაროდ, ჯგროვანი ყურადღება პრესისა და საზოგადოებისა და თითქმის მივიწყებას მიეცა... ამ დროს განმელობაში კი ჩვენი საზოგადოებრივი ვითარება, ჩვენი „ნასწავლთა“ და „ლიბლომიანთა“ ფუქსავატი, უშინაარსო და ეგოისტური ცხოვრება, სტუდენტთა უიდეალობა, მუქთა-ბორობა და ქარაფმუტულ დროს გატარება და სხვა ბევრი რამ ცხად ჰყოფუნენ და ჰყოფენ, რომ

„ლიბლომიანნი“ არ არიან „მარტილი“ ამა სოფლისა; რომ, უნიადაგონი და მოუმზადებელნი, პირად სარგებლობის მოტრფილენი და შეუგნებელნი, უენერგოზნი და ფუქსავატი—ისინი ღირსნი არ არიან, რომ მათთვის საზოგადო ფული იხარჯებოდეს... „კრმოცდა ერთი“ პეტერბურგელ სტუდენტების აწ ისტორიული საქციელი, რომელთაც პატივი არ სცეს ილიას ხსოვნას და უსირცხვილოდ, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ილია ღირსი იყო სიკვდილისაო; ბ. ფოცხვრა-შვილისაგან მხატვრულად გამოქვანებული ფაქტები სტუდენტების ინტიმურ ცხოვრებიდან; ამ მოკლე ხანში პრესაში აღნიშნული ფაქტი, რომ პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს სხდომაზე მხოლოდ ერთმა სტუდენტმა მოახერხა თვისი აზრი ქართულად გამოეთქვა, ე. ი. გაბმულად ელაპარაკა; —სუველეაფერი ეს იმის ნიშანია, რომ „ლიბლომების“ მადიებელნი და მათი მქონენი, მხოლოდ მცირე გამოჩაყლით, თანამომძეთათვის უსარგებლონი არიან; მათ არ შესწევთ ზნეობივი ძალა უნგარო მუშაობა—მოღვაწეობისთვის. არამც თუ სარგებლობას, ხშირად წუზბელასავით, ჩარჩ-ბაცაცა ვაქარსავით ისინი მძიმე ტვირთად აწევიან ქონებრივად ისედაც დაუძლურებულ-დაბენავებულ თანამემამულეთ. აბა რითი განირჩევა, გვიბრძანეო, „სერმიიანი“ მევახშე ვაქრისაგან? ვეკილი, რომელიც ღარიბ-ღატაკი, გაქირვებულ თანამომძეს უბრალო საქმისათვის, ორმოციოდ ვერსის მანძილზე მატარებლით გავლისათვის ექვსათ თუმნობით ართმევს და შეურაცხყოფათ

ჩასთვლის, თუ ერთი დღის შრომისათვის თუმანი შეაძლია; ან მასწავლებელი, რომელიც ბავშვის სწავლა-მომზადებისათვის საათში სამ-ოთხ მანეთს ითხოვს; ან ექიმი, რომელიც ღარიბ-ღატაკებს გაუზრის, არ კადრულობს და „ფულიან“ „პრაქტიკისათვის“ აქვს თვალეზი დაქვეტილი?.. ეს „დიპლომიანი“ ვაჟბატონი, შეიძლება ხალხის ფულითაც გამოზრდილი, აბა რით განსხვავდებიან, მართლაც ეპარჩარჩებინავან? „დიპლომი“ მათი „სერიმიია“, „დაკი უმოწყალოდ, გაუწითლებლად ღებულობენ გამოზრდელ დაბალ საზოგადოებისაგან შეუწყნარებელ პროცენტებს... ამისთვის გამოზარდა ისინი ხალხმა? ამისთვის სარგებლობდნენ ისინი საზოგადო დახმარებით, სტიპენდიებით? სად არის სინიღისი, მოვალეობის შეგნება?!

ჩვენ აქ არ შევუდგებით ჩვენ „დიპლომიანების“ უსაქმურ და ფულსაყვატ ცხოვრების დასურათ-ხატებას. ეს ჩვენ „განათლების“ იანვრის ნომერში შეძლებისა და გვარად ავწერეთ... დღეს ჩვენ გვინდა გადაჭრით აღვძრათ კითხვა და მივაქციოთ შეართველ საზოგადოების ყურადღება შემდეგს გარემოებას: ჩვენში ათი და თოთქმის ასი ათასობით დახარჯულა და იხარჯება ფულეზი უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიატებისათვის. თანხა დიდია; ამ თანხაში უდევს წილი ჩვენ ერს... მაშასადამე მოვალენი არიან თუ არა ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი (წ. კ. გ. ს., სათავადაზნაურო სადებუტატო საკრებულონი, ქიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო და კიდევ სხვანი) საზოგადო მოღვაწენი და ჟურნალ-გაზეთობა მიაქციონ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება, ჩაუკვირდნენ საქმის ვითარებას, გაათვალისწინონ ეროვ-

ნული მოთხოვნებიანი და ღირსეულად და სასარგებლოდ მოიხმარონ ამდენი ფული? დროა, ბატონებო, სეკტაკურად და კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს მოზარდ „დიპლომიან“ თაობას და შევივანოთ მწვავე, მაგრამ ცხადი, ქეშმარიტება, რომ ისინი მომეტებულს შემთხვევაში ჩვენთვის გამოუსადეგარნი არიან! ნუ შეგვეშინდება მათის წყარობისა, ნუ მოგვხიბლავს მათი ტაშის დაკვა; დეე, გვიძახონ „მრაკობესები“, ჩამორჩენილნი, უმაღლეს სწავლის უარმყოფნი... მართალია ზოგიერთებში ისინი იპოვიან თანაგრძნობას, მომხრებს. მაგრამ ჩვენ ამ „დიპლომის“ მაძიებელთ და მათი მომხრე-თანამგრძნობთ წინ უნდა დავუყენოთ უტყუარი, ცხადი და უსიტყვო მღალადებელი ფაქტები და მით ჩავაკმენდინოთ ხმა.

და ეს მაშინ შეიძლება, როდესაც რომელიმე ჩვენი ვაზეთი ან ჟურნალი იკისრებს მოიყვანოს ცნობაში, თუ დღემდის მთელს საქართველოში სხვა და სხვა დაწესებულებებში რამდენი ფული დახარჯულა სტიპენდიებზე, რამდენს ჩვენს სტუდენტს მიუღია განათლება ამ საზოგადო ფულით. უნდა გამოცხადდეს გაზეთებში ჯამი დახარჯულის ფულებისა და რიცხვი სტიპენდიანტებისა; კერძოთ უნდა გამოცხადდეს გვარები სტიპენდიანტებისა, და აგრეთვე სად მსახურობენ, რას აკეთებენ, ან სად სცხოვრობენ. აი მაშინ დაინახავს, ჩვენის ღრმა რწმენით, ჩვენი ერი ნათლად ვისთვის და რისთვის დახარჯულა ამდენი აუარებელი ფული და განცვიფრებას მიეცემა კიდევ; აი მაშინ დაინახავს ის იმასაც, რომ ასში მხოლოდ ერთს სტიპენდიანტს გაუმართლებია საზოგადოების ნდობა—იმედი და დაეკითხება თავის თავს: ღირსკი ერ-

თი და ორი პირისათვის ათი ათასობით და ასი ათასობით ფულების დახარჯვა? ასეთი მარტივი და მოკლე სტატისტიკური ცნობები შეურყეველად დაგვაჯერებს ჩვენ, საზოგადოებას, რომ ფულები უნაყოფოთ იხარჯება და აღვიძრავს დაუმრეტელ სურვილს ამ ბოლო დროს მაინც ნამდვილ საპირობისათვის მოვიხმაროთ ეს საზოგადო თანხა, ე. ი. კაპიტალიზმით მოგროვილი ფულები... ვიმეორებთ: ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა უნდა იკისროს ასეთი სტატისტიკური ცნობების შეკრება: ეს იქნება ნამდვილი ეროვნული საქმე, შინაური საქმეების ჯეროვანი აწონ-დაწონა, საქმის სასარგებლოდ მოგვარება და დიდი ღვაწლიცა, რადგანაც მითი ჩვენი დანაშაული ერის წინ მოისპობა...

სასიამოვნოა, რომ ახალმა ორგანომ „თემმა“ მიაქცია ამ საკითხს ყურადღე-

ბა და უძღვნა მას მოწინავე წერილი (№ 2). გაზეთი ამბობს; „სტიპენდიები, რომელიც დაარსებული გვაქვს, მეტად უსარგებლოა ჩვენთვის. ძლიერ გაფრთხილებით უნდა დინიშნოს ეს სტიპენდიები. ახლა ჩვენ ვზრდით მოხელეებს. ესე ნი ამ ეპოქაში რუსეთში რჩებიან, ან კავკასიის მიურუებულ კუნძულებში მიდიან სამსახურისათვის“... „თემის“ აზრით (რომელსაც ჩვენც სრულიად ვეთანხმებით) „ხალხის განათლებას უნდა შეესწიროთ უმეტესი ნაწილი ჩვენი კერძო და საზოგადო შემოსავლისა“.

როგორც ვხედავთ, „თემმა სეროიზულად შეხედა ამ საშვილო-შვილო საქმეს. მართლაც საპირო და ღირსიცაა ყველა შეგნებული წევრი ჩვენი საზოგადოების ამ საკითხს ღრმად ჩაუფიქრდეს და თვისი აზრი გამოსთქვას.

ი. ვართაგავა.

მცირე შენიშვნა

საყურადღებო საგანზე.

6 შირად, ძლიერ ხშირად შეხედებით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ქართულ ენის ქართველთაგან უცოდინარობაზედ. ამას მომეტებულად დედებს—ქალებს უსაყვედურებენ.

აბა გავითვალისწინოთ რა პირობებში იზრდებოდნენ და იზრდებიან ქართველი ქალები—მომავალი დედები და ჰათთან ერთად ვაჭები—შემდეგში მამები ყოველწელს.

ყოველ სწავლის წლის დასაწყისში მრავალი ქართველი ემაწვილობა (უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ არ ვებები აქ) მიემგზავრება რუსეთისკენ—სასწავლებლებში.

აი საიდგან იწყება სიმახინჯე. ერთს წელიწადში ისე ნაირად ავიწყებთ უსუსურებს ქართული ენა, რომ დაბრუნებისას (თუ მისში მოიყვანეთ ყოველწელი ინიც) წყალის სახელიც ვერ მოუგონიათ პატარებს.

აქ, კავკასიაში, ჯეროვან ნიადგაზედ სდგას ქართული ენა სასწავლებლებში? (სათავდაზნაურო სასწავლებელს არ ვებები) არა. განა შეიძლება ვუწოდოთ ქართულ ენის სწავლება მას, თუ თბილისის წ. ნ. სასწავლებელში მებუთე კლასში ცახელის ლექს „სურათს“ აზერებინებენ.

თუშები ქართლ-კახელებზე შორს მხე-

დევლენ გამოდგენენ. ისინი თავიანთ ქალიშვილებს არ აწვდიან გადამახინჯებულ განათლებას მათთვის უნიადაგო უცხო ენაზედ. და, ქართულ-თუშური დიახაკ დაკულია მათში. დედებმა მათმა იციან თვისი ენა და შვილებსაც გარდასცემენ.

დედა პირველი აღმზრდელია და მასწავლებელი თვისი შვილებისა. რაც იცის ხშირად იმასაც ვერ გადასცემს ხოლმე. და რაც არ იცის—აბა იმას როგორ ასწავლის!?

ქართული ენის დენა, ქართველ დედების გადაგვარების ცდა ახალი ხილი არ არის. მთავრობამ კარგად იცოდა ვინ უნდა გადაგვარებინა ჯერ და ისეც მოიქცა.

დედა ჩემი (მე 34 წლის ვარ) თელავის წ. ნ. სასწავლებელშია კურს დამთავრებული. დედა მისი ნამდვილი ქართველი ქალია, ოჯახი ძველებური ქართული ოჯახი ჰქონდათ, და მიანც აი სასწავლებელმა როგორ იმოქმედა იმ ოჯახის შვილებზედ:

დედ-მამას ჩვენ შვილები Мама—Папа-ს ვეძახდით. მერწმუნეთ, მრცხვენოდა მამაჩემისათვის მამა დამეძახა და არა Папа.

ხუთი წლის ბაღანა ვიყავ სოფელში, დედამ შობის ხე გაგვიპართა და იცით

გარს რომ ვუვლიდით შობის ხეს რას ვმღერდით:

О, безцѣнный нашъ папаша,
Ты веселье, радость наша,
Я люблю тебя порой,
Ты счастливишь насъ собой.

მეტი რაღა გადაგვარებ-გადარევა გინდათ. ეს რა ხნის ამბავია, და ეხლა უფრო უკეთესად არა აქვთ სისხლ-ხორცი გამოჯდარი ქართველ დედებს რუსული ენა და ქართული წმინდათ გამორცხილ-გაცირილი?!

ეს ისეთი სენია, რომელიც ეხლავე ძირიანად უნდა ამოიკვეთოს, ამოიქრას და აი წამალიც:

პირველი ოთხი კლასის კურსი ბევრ შემთხვევაში ქართულ ენაზედ უნდა შეისწავლონ, ვიდრე ქართული ენა სულ-ხორცში არ გაუჯდებათ მათ და მისი აღმოფხვრა ძნელი იქმნება. ქართველი მასწავლებლები ბლომად არიან. უნდა შეადგინონ ჯგუფები და მათ გაუადვილონ მშობლებს შვილების ასეთი მომზადება. ამის შემდეგ ბავშვი თამამად შეგვიძლიან მივაბაროთ სასწავლებელში. თორემ ბევრი წერეთ, ცოტა წერეთ, უსაყვედურეთ დედ-მამას ქართული არ იციოთ, არც შვილებს ასწავლითო; რა გამოავა?! დედა:

კიდევ დასაწეის სკოლების მასწავლებელთა ჰენსიის; შესახებ

ბევრს მასწავლებელს არც ჩვენში და არც რუსეთში ახალი კანონით ჰენსიის მიღების შესახებ ჯერჯერობით აზრი საცხებით გამოარკვეული არ აქვს; ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მასწავლებელთა და საზოგადოების საყურადღებოდ აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი განმარტება მასწავლებელთა მიერ ჰენსიის მიღებისა ახალის კანონით.

გაუმჯობესობა ჰენსიის საკითხისა შემდეგში გამოიხატება:

1. ყველა ძველი სამსახურის წლები მასწავლებლებს ჩაეთვლებათ ხაზინის ხარჯით. ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ გამხდარიყო საჰენსიო კასის მონაწილედ 1911 წლის 1 იანვარამდის.

2. ვისაც 25 წელიწადი უმსახურია დასაწყისის სკოლებში და საჰენსიო კასის

მონაწილეც ყოფილა, შეუძლია მიიღოს პენსია და სამსახურშიაც დარჩეს. ძველი წესით კი სამსახურიდან უნდა გამოსულიყო და პენსიას შემდეგ მიიღებდა.

3. გადასახადი გაუქმებულია კასაში ჩაწერის დროს.

4. ორი წლის შემდეგ კასაში მონაწილეობისა საკუთარი შეტანილი ფული უკანვე უბრუნდება.

5. ობლები პენსია გადაიღებულია და იმის მიღების შესახებ არ არსებობს არავითარი სამსახურის წლები.

6. ცოლის პენსია შეუძლია ქმარმა მიიღოს.

7. გაძლიერებული პენსია ეძლევათ ი წლის სამსახურის შემდეგ, როცა სამსახურს თავს ანებებენ სავატიო მიზეზების გამო.

8. ცოლზელიანებისათვის გაძლიერებული პენსია გაბეგრებულია.

9. სამინისტროს კასა ობლად დარჩენილ შეიღებს აძლევს პენსიას დედის სიკვდილის შემდეგ, თუნდაც მამა ცოცხალი ჰყავდეთ და შრომაც შეეძლოს.

10. ამას გარდა კასა აძლევს პენსიას იმ ბავშვებსაც, რომელთა მშობლები ცოცხალი არიან და გაძლიერებულს პენსიას იღებენ: ეს ბავშვები ობლებს უდრიან.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ რამდენად ხელსაყრელია ეს ახალი კანონი.

დასაწყის სკოლების მასწავლებელთა შორის (ქალაქის, სოფლის, რკინის გზის, კერძოს და სხ.) ბევრია ისეთები, რომელთაც ბევრი წელი უმსახურნიათ. თუ ისინი ჩაეწერნენ სპენსიო კასაში 1911 წლის 1 იანვრამდის, ხაზინა ჩაუთვლის უსასყიდლოდ ყველა წლების სამსახურს, სადაც უნდა იყოს. და რამდენი ხანიც

კი უმსახურნია მასწავლებლობის ასპარეზზე, რა გეგარ სკოლაშიაც უნდა იყოს, (პენსიას მიიღებს მხოლოდ 15 წლის სამსახურის შემდეგ), თუნდაც სამრევლო სკოლაში, მით უფრო ხელსაყრელია მასწავლებლისათვის.

განვმარტოთ ეს მაგალითებით.

მასწავლებელი ბოლშაკოვი მსახურებდა და სხვა და სხვა სკოლებში 27 წელს. თავის სამსახურისათვის ის მიიღებს რიაზანის საერობო კასიდან 120 მანეთს. თუ იგი 1911 წლის 1 იანვრისათვის ჩაეწერა სამინისტრო კასაში, ჩაუთვლიან 27 წლის ნამსახურს და მისცემენ პენსიას არა ნაკლებ 200 მანეთისა. მაშასადამე ერთი და იმავე სამსახურისათვის ბოლშაკოვს შეუძლია მიიღოს ორი პენსია: წესდება ამის ნებას იძლევა.

ამ ცოტა ხნის წინად სახალხო მასწავლებლების საპენსიო კასის სამმართველოდან ასეთი ცნობა იქმნა მიღებული: რიაზანის გუბერნიის ერთს მასწავლებელ ქალს ბოლოროდიცის, რომელსაც 43 წელიწადი უმსახურნია (ეხლაც მსახურობს და ჯან სადათაც არის), ჩაუთვალეს სამსახურის წლები და მისი პენსია 800 მანეთია წლიურად გამომანგარიშებული. აგრეთვე ჩაუთვალა სამსახური იმავე გუბერნიის სახალხო სკოლის მასწავლებელს ს. ტიმკოვს, რომელიც 31 წელიწადი მსახურებს და საერობო პენსიას 270 მანეთს იღებს, მაშასადამე მისი ორი პენსია 470 მანეთს უდრის.

ძლიერ სამწუხარო იქნება თუ რომელიმე მასწავლებელმა ვერ ისარგებლა ჩვენში ამ ახალის კანონით.

საპენსიო კასის მონაწილენი განიყოფებიან ვალდებულად და ნებაყოფლობითად.

ვალდებულნი არიან ის მონაწილენი

რომელთათვისაც ხაზინას, ერობას, ქალაქს, ან რომელიმე საზოგადოებას შეაქვს მასწავლებლის ჯამაგირიდან 6⁰/₀, ხოლო მეორე 6⁰/₀ შეაქვს თვითონ მასწავლებელს. მაშასადამე ის, ვისაც შეაქვს მასწავლებლის მაგიერ 6⁰/₀, ძალას ატანს მასწავლებელს კასის მონაწილე გახდეს (ეს არის ვალდებულება). მაგრამ, როცა მასწავლებელს არაინი შველის. არავის შეაქვს მის მაგიერ გადასახადი, მაშინ თვითონ მასწავლებელს შეაქვს თავის მხრით 12⁰/₀ თავის ჯამაგირიდან და ამნაირად ხდება ნებაყოფლობით მონაწილე.

ნებაყოფლობითი მონაწილეობისათვის საჭიროა:

1) თხოვნის მიცემა სახალხო სკოლების მასწავლებელთა საპენსიო კასის სამმართველოში. (С.-Петербургъ, у ЧСР-НЫШСЕВА МОСТА) რომ ჩარიცხონ საპენსიო კასაში ნებაყოფლობით მონაწილე. 2) შეიტანოს მახლობელს ხაზინაში თავისი ჯამაგირიდან 12⁰/₀ და კ) მიაწოდოს ცნობები თავის თავის შესახებ, სურათისა და საბუთის ქაღალდების წარდგენით: ა) მასწავლებლობის მოწმობა, ბ) სახალხო სკოლების ინსპექტორისაჲან მოწმობა სამსახურის შესახებ. გ) დაბადება ნათლობის—მოწმობა (შეიძლება მღვდლისა უმარკოდ), თუ ცოლშვილიანია საჭიროა ცნობები მათ შესახებაც.

